მთვარის მეთოთხმეტე დღე

ფანტასტიკური დეტექტივი

ვახო სალიასგან

თბილისი

2011

© *ვახო სალია*

მთვარის მეთოთხმეტე დღე

ფანტასტიკური დეტექტივი

პროექტის რედაქტორი:

ქეთი კობიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

თენგიზ ჩოლოყაშვილი

ნაწარმოების გმირი 1937-ში "გუბერნსკის" ციხეში აღმოჩნდა და იქ დახვდა 1898 წელს მოულოდნელად გაუჩინარებული ივანე მაჩაბელი . . .

ISBN 978-9941-0-3216-5

თავი პირველი

შავარშიაშემოვლებული წითელი დროშები და შოტლანდიური სეტერი

მაგდამ ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი, ასევე უჩუმრად ჩაიარა კიბე, სადარბაზოს კარი ჯაჯგურით გამოაღო და ქუჩაში გააბიჯა. თეატრალურ ჩიხში არავინ ჩანდა. აივნებზე გამოფენილი შავარშიაშემოვლებული წითელი დროშები კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც მოჟამულ გარემოს.

ორი წელიც და სამოცის გახდებოდა. ასაკს არ იმჩნევდა. მართალია, ჭაღარა თმას არ იღებავდა, დედისგან მემკვიდრეობით მიღებულ ლამაზ

სახეზე ნაოჭები ემჩნეოდა, მაგრამ კოხტა ლურჯი შიფონის გრძელი ქვედაბოლო, ცისფერდათეთრ-ზოლებიანი მაისური, რომელიც თეთრი ბატისტის კოფთის ქვეშ ეცვა, თეთრბაფთიანი კოპწია ჩალის ქუდი და საკმაოდ მადალქუსლიანი ფეხსაცმელები ელეგანტურობის ელფერს უნარჩუნებდა.

დაღმართს დაუყვა და უკვე მარცხნივ "სა-პიორნაიაზე" უნდა ჩაეხვია, რომ კუთხიდან მოუ-ლოდნელად გადმოხტა უცნაური არსება, რომელ-საც შარვლის მარჯვენა ტოტი მწვანე, ხოლო მარცხენა ყვითელი ნაჭრისგან ჰქონდა შეკერილი; პერანგის სახელო პირიქით: მარჯვენა – ყვითელი და მარცხენა მწვანე იყო; თავზე უზარმაზარი ვარ-დისფერი ქუდი ეხურა, რომელზედაც ფარშევანგის ბუმბული მიემაგრებინა; ცხვირს საკმაოდ მოზრ-დილი წითელი ბურთულა უმშვენებდა. სრულ სი-ჩუმეში მეხის გავარდნასავით გაისმა:

- "ოჰ, მაპატიე, მიწად ქმნილო, სისხლში მოსვრი-ლო,

რომ მე ამ ყასბებს ასე რბილად, ტკბილად ვექცევი!

შენ ხარ ნანგრევი იმ კაცისა, რომელსაც ტოლი

დასაბამიდან არ ჰყოლია მთელ ქვეყანაზე!.."

ელდისგან ადგილზე გაქვავდა, მაგრამ იცნო თუ არა, შიშმა მაშინვე გაუარა. მის წინ იდგა გა-რეთუბნის იდიოტი სიმონიკა, რომელსაც დედის მუცლიდან უცნაური ნიჭი დაჰყვა: სპექტაკლებიდან ზედმიწევნით ზუსტად იმახსოვრებდა ამა თუ იმ გმირის ტექსტის ორიოდე ნაწყვეტს და მთელი დღეების განმავლობაში იმეორებდა ხოლმე. სა-

წყალი რობინჰუდა გაახსენდა, ოპერის თეატრის კარისკაცი. მასაც ჰქონდა გარკვეული ნიჭი. იგი, გონებასისუსტის მიუხედავად, შაშს ისე კარგად თამაშობდა, რომ მთელ ქალაქში ცოტა ვინმე თუ გაუწევდა წინააღმდეგობას. საცოდავი რობინჰუდა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ალბათ არც სიმონიკას უწერია დიდი დღე. სამწუხაროდ, იდიოტები დიდხანს არ ცოცხლობენ, მხოლოდ არაიდიოტების იდიოტიზმია მარადიული.

– გაგიმარჯოს, ჩემო მშვენიერო. რა კარგი ბიჭი იქნებოდი, ასე ხმამაღლა და მოულოდნელად რომ არ აფრთხობდე ხალხს? – მაგრამ სიმონიკა შექსპირის პიესის "იულიუს კეისარის" ერთ-ერთი პერსონაჟის როლიდან გამოსვლას არ აპირებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა:

"ვაი იმათ ხელთ, ვინც დაღვარა ეს წმინდა სისხლი!

წინასწარმეტყველად გარდვიქცევი შენ ჭრილობათ წინ,

რომელთ ალისფრად შეღებილი მუნჯი ტუჩები

თითქოს ხმას მთხოვენ, მთხოვენ ენას და მეტყველებას!

კაცთა ნათესავს დაატყდება თავს საწყევარი

და იტალიას მუსრს გაავლებს თავით ბოლომდე

მედგარი შფოთი შინაური, ძმათა მტერობა;

ჩვენ, შევეჩვიეთ სისხლს და ხოცვას,

ისე რომ თითონ დედებიც კი არ შეკრთებიან,

რო დაინახვენ მათთა ნაშობთ ოთხად გაპობილთ!"

- ყოჩაღ, ნამდვილი ტრიუმვირი მარკოს ანტონიოსი ხარ, ოღონდ არლეკინის კოსტიუმში, – მაგდას გულს ძალიან ცუდად მოხვდა: “რო დაინახვენ მათთა ნაშობთ ოთხად გაპობილთ” – მაგრამ ყურადღების ღირსი არ გახადა. ცრუ რწმენისგან თავისუფალი იყო და თანაც სულით ავადმყოფის ნათქვამს რა მაგიური ან წინასწარმეტყველური ძალა უნდა ჰქონოდა?!

ჩვეულებრივი ზაფხულის დილა თენდებოდა. ცა მოწმენდილი იყო, მზე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ ნათელს უკვე დღის შუქი ეთქმოდა. ზუსტად ასეთივე ალიონი წინათ იგივე ქალაქს მხიარულ და ლაღ ფერებში ახვევდა, სრულფასოვანი სიცოცხლის არომატით ავსებდა, ირგვლივ ყოველივეს იმედის ძალით კვებავდა, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა.

ნაცრისფერი დილა, უკვე რამდენიმე წელიწადია, აქ არავის უკვირს. ორთაჭალის ბაღებიდან დაბრუნებული მოქეიფეების ღიღინს თან მოყოლილი მხიარულება, დიდი ხანია, ტკბილად არ აღვიძებს ღამის მუხამბაზის სიმღერის ჰანგების გარეშე ჩაძინებულ მოქალაქეებს. აღარც მეთევზეების, მემწვანილეების და მემაწვნეების ხმები ისმის მაამებლად. მტკვარზე ტივით მოსეირნე ყარაჩოხელების დილის საარი კი მოსაგონრადაც არავის ახსოვს. რომანტიკული ნისლით კარგად შეფუთული ლეგენდა წარსულში მხიარული ქალაქური ცხოვრების შესახებ უფრო შორეულ ბავშვობაში მოსმენილ ზღაპარს ჰგავს. ახლა აქაურობას წითელი ურჩხული დაჰპატრონებია და დაბეჩავებული ხალხისგან დროდადრო, თითქოს თავისი დროშის ფერის შესა-

ნარჩუნებლად, სისხლს ითხოვს, რომლის დაუოკებელი წყურვილი დღითი დღე უმძაფრდება.

დედამიწის ამ ნაწილისთვის წყეულ წლებში გამორჩეული 1937 მძვინვარებდა.

მზე ყოველ დილით ამოდის აღმოსავლეთიდან და ყოველ საღამოს ჩადის დასავლეთში. დედამიწის მანათობლის ამგვარი აღქმა უხსოვარ დროში იღებს სათავეს. მაშინ ადამიანებს ეგონათ, რომ დედამიწა ბრტყელია და, შესაბამისად, მზე სიბრტყის ერთ ბოლოში ამოდიოდა და მეორე ბოლოში ჩადიოდა. დროთა განმავლობაში ჭკვიანი არსებები ჩასწვდნენ ამ მოძრაობის ჭეშმარიტ არსს, გაარკვიეს, რომ დედამიწა მრგვალია, მბრუნავი და თანაც მზე კი არ ბრუნავს მის გარშემო, არამედ თავად ტრიალებს მზის ირგვლივ. ახლა, და თანაც უკვე დიდი ხანია, ეს ცოდნა ყველა ადამიანისთვის ანბანური ჭეშმარიტებაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აქაურები ჯიუტად ამბობენ: მზე ამოდის და ჩადისო. შორეულ წარსულში რომ დაიჩემეს, დღესაც იმავეს ამტკიცებენ. ანუ მოვლენას გონებით არ აღიქვამენ და თითქოს თვალით დანახულს ანიჭებენ უპირატესობას. მაგრამ ჩვენთვის არც თვალით ხილულს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მზიან ამინდს კარგს ვეძახით, წვიმიანს – ცუდს და უჟმურს. კარგ ამინდს ბევრი ცუდ ხასიათზე მყოფი ადამიანი ცუდად აღიქვამს და პირიქით – ზოგისთვის ცუდ ამინდში ირგვლივ ყოველივე სასიამოვნოა. სამყაროს და მოვლენებს თვალით კი არ შევიცნობთ, არამედ – ჩვენი სულიერი მდგომარეობით და განწყობით. ორჯერ ორი ოთხია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, ვინ

მოთვლის, რამდენჯერ მოგვინდომებია და დაგვიჯერებია, რომ ზოგჯერ მეტია ან ნაკლები?! თანაც ორჯერ ორი ოთხზე მეტია ან ნაკლებიაო თუ ვიტყვით, ცხოვრება უფრო საინტერესო გვეჩვენება და ვხალისობთ, ხოლო ორჯერ ორი ოთხიაო, – ეს მხოლოდ პირველკლასელი მოსწავლისთვის არის სიახლე და ჭეშმარიტება. ორჯერ ორი პირობითად, თორემ ხშირად შავს თეთრს ვეძახით, სიკეთეს – ბოროტებას, ლამაზს – უშნოს, უზნეობას – ზნეობას და პირიქით. ეს ყოველივე ჩვენი გონების კაპრიზებია.

სამყაროს და მოვლენების სწორად აღქმა მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ძალუძს. თუ ღვთის დარად შექმნილს თავისუფლება რაიმე ფორმით შეეზღუდება, მის მიერ დანახული სამყაროც შეუსაბამოა ანუ ის, გარდა იმისა, რომ თავისუფლების შეზღუდვის გამო დაშორდა ღვთისგან შექმნილ არსებას, იმავე დროს დაშორდა ღვთისგან შექმნილ სამყაროსაც; დაჰკარგა მისი სწორად აღქმის და, შესაბამისად, მასთან ჰარმონიაში ყოფნის ნიჭი.

მზის პირველი სხივები უკვე წითელი აგურით მყარად ნაგები მესანგრეთა ყაზარმის დასაწყისში დაეწია. ეს მტკიცე შენობა მუდმივად ახსენებდა, რომ მისი მეპატრონეები არსად აპირებდნენ წასვლას და ამგვარი სამხედრო სიმაგრეებით ცდილობდნენ მაგდას ბედკრული ქვეყნის თავისუფალი სულის გატეხვას. ბავშვობიდან აიკვიატა, გინდა თუ არა, აქაურობას სალდათის “პარტიანკის” სუნი ასდისო და ამ სიმყრალეს ყოველ ჩავლაზე გრძნობდა, მაშინაც კი, როდესაც სასწაუ-

ლი მოხდა და რუსები თითქმის ათასი დღით აიყარნენ ამ ქვეყნიდან. უცნაური დამპყრობლები აღმოჩნდნენ მართლმადიდებლობას ამოფარებული მონღოლურყვრიმალებიანი მატყუარა სლავები. თუ არაბებს და ოქროს ურდოს ამ ქვეყნის აოხრება-დაწიოკების შემდეგ ხარკის სახით გაჰქონდა ხვავი და ბარაქა, ოსმალო და სპარსი კი თავის ტერიტორიად მიიჩნევდა ბედკრულ საქართველოს, რუსული ოკუპაცია რუსი "სტარშინას" ფილოსოფიას არ სცდებოდა – "Пробежал несколько шагов , окопайся!" ეს პატარა ქვეყანა მათთვის სანგარი იყო, სადაც მორიგი დამპყრობლები "окопались", რათა შემდეგ სხვა ქვეყნებისკენ გაელაშქრათ. აქაურებს რომ სამშობლო ეგონათ და ეამაყებოდათ, რუსებისთვის მხოლოდ ქვაღორღიანი, მთიანი და ჭაობიანი სანგარი ანუ, როგორც თვითონ იტყოდნენ, "ოკოპი" იყო. აქ ცელქი, ველური ადამიანები ცხოვრობდნენ და თუ მათი ბელადების მოსყიდვას მოახერხებდნენ, მეზობელი ტერიტორიების დასაპყრობად კარგ მეომრებსაც შეიმატებდნენ.

შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის მეორე განყოფილებას ჩაუარა. ამ მრავალჭირგამოვლილი ნაგებობიდან ბოლო დროს შედედებული სისხლის სუნი გამოდიოდა, აი ისეთი, ბოინში რომ დგას.

მარჯვნიდან სალდათის "პარტიანკის", მარცხნიდან სასაკლაოს არომატი. დილაც ასეთი უნდა!

მტკვრის სანაპიროს მხრიდან მაწანწალა სამფეხა ძაღლების ხროვამ წვალებით, თამაშ-თამაშით, კუდის ქიცინით, ერთმანეთთან ალერსით ამოირბინა, ნაღვლიანი თვალებით პურის მაღაზიას ერთი კი გახედა და იქვე თეატრალურის ჩიხში სასწრაფოდ გაუჩინარდა. ამ სამფეხა ცხოველების არსებობა სრულიად შეუმჩნევლად ჩაივლიდა, რომ არა უბნის ექიმის ნიკოლოზ ანდრიაძის შოტლანდიური სეტერის უცაბედი დაკარგვა და შემდეგ ასევე მოულოდნელი გამოჩენა. დარბოდნენ ეს სამფეხა ძაღლები უბანში, არავის უკვირდა მათი სამფეხობა; ხალხს ნელ-ნელა დაავიწყდა ძაღლების პირვანდელი ბუნებრივი მდგომარეობა, თანდათან მკვიდრდებოდა აზრი, რომ ისინი ასეთები არიან; უბნის პატარებს ეცოდინებოდათ, რომ ეს ადამიანის მეგობარი ცხოველები სამფეხებად შეიქმნენ. შემდეგ გაიზრდებოდნენ, სხვა უბნებსა თუ ქალაქებში ნახავდნენ ოთხფეხა ძაღლებს; ერთს კი გაიკვირვებდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც არ მიაქცევდნენ. პირიქით, იამაყებდნენ, რომ უბანში თავისებური ცხოველები ბინადრობენ. აქაურების წინაპრები ხომ უამრავ პათოლოგიას შეეჩვივნენ. თაობებს ეგონათ, რომ მონობაში ცხოვრება ნორმაა; რომ სახელმწიფო მოხელეებისთვის ქრთამის მიცემა ჩვეულებრივი ცხოვრების წესია; რომ კანონი და წესრიგი სხვებისთვის არსებობს და თუ საქმე მათ ახლობელს

ეხება, მაშინ ყველაფერი ისე უნდა მოგვარდეს, რომ ეს ახლობელი ცამდე მართალი იყოს.

ერთ მშვენიერ დღეს კი სახლიდან გასასეირნებლად გამოყვანილი ექიმ ანდრიაძის ძაღლი უკვალოდ გაქრა და ორი კვირის თავზე შინ სამფეხა დაბრუნდა. ნახა ნიკოლოზ ექიმმა თავისი საყვარელი ცუგა და, ჰოი საოცრებავ, მარჯვენა წინა კიდური, ბეჭის ჩათვლით, ამპუტირებული აღმოაჩნდა. ნაკერები, რომლებიც უკვე თითქმის შეხორცებოდა, პროფესიონალი დასტაქრის მიერ უნდა ყოფილიყო დადებული. მაშინ კი იკადრა ექიმმა და უბნის ბიჭებს ძაღლების ხროვიდან სამი თუ ოთხი ეგზემპლარი დააჭერია. დათვალიერებამ იგივე შედეგი აჩვენა. ყველა ცხოველი პროფესიონალი ქირურგის მიერ იყო ოპერირებული. ამ ამბით თავიდან ექიმი და უბნის ჭორიკანები დაინტერესდნენ, მაგრამ თემა იმდენად უცნაური და საინტერესო გამოდგა, რომ თითოეულმა მოქალაქემ გადაწყვიტა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი საკუთარი, რა თქმა უნდა, უაღრესად კომპეტენტური აზრი ჰქონოდა. უამრავ ჭორს შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო რამდენიმე ვერსია, რომლებიც ერთდროულად და, როგორც თვითონ ეგონათ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაუჩნდათ უბნელებს. მაინც რას ნიშნავს, რომ ერთ შეზღუდულ სივრცეში ცხოვრობდნენ, ერთი ჰაერით სუნთქავდნენ, წამდაუწუმ ქეიფობდნენ და სიმთვრალეში

სულელურ აზრებს ერთმანეთს თავს ახვევდნენ?! მავანნი უდრეკი სიჯიუტით ამტკიცებდნენ, რომ თავის დროზე, ანუ 1888 წელს, ლონდონელი მფატრავი ჯეკი ინგლისიდან პოლიციას გამოექცა, საქართველოში შემოიპარა და ამ უბანში დაბინავდა. თურმე ლონდონური ვაითჩეპელი და თბილისური გარეთუბანი ძმებივით ჰგავს ერთმანეთს. აქაურმა ჰავამ, არაჩვეულებრივმა თბილმა კლიმატმა, ადგილობრივმა კერძებმა, განსაკუთრებით შავპილპილმოყრილმა ცხელმა ხინკალმა და, რა თქმა უნდა, აქ მცხოვრებ კეთილ ადამიანებთან კახური ღვინის, გინდა თეთრის, გინდა წითლის, ხშირმა სმამ სრულიად გამოასწორა – გადააჩვია ადამიანების ფატვრას; ჯეკმა მართლმადიდებლობა მიიღო, მოინანია წარსული ცოდვები და უკვე ლამის ნეტარი მოუსვლელ ქვეყანაში აპირებდა სამუდამოდ გამგზავრებას, რომ სიბერეში მორიგი პათოლოგია შეეყარა და ძაღლების წინა კიდურების ამპუტაციის მანიით დაავადდა. ეს ადამიანები სრული სერიოზულობით ამტკიცებდნენ რომ “Jack the Ripper”-ის ბოლო საქმიანობა თბილისში, მთაწმინდაზე, გარეთუბნის რომელიღაც მიყრუებულ სარდაფში, ძირითადად მაწანწალა და შიგდაშიგ ოთახის, ძაღლების წინა კიდურების ამპუტაცია იყო. არც იმ კაცს დაუჯერეს, რომელიც მორცხვად ამბობდა, რომ უბანში ინგლისელები ბოლოს 1920 წელს ნახეს; ისინი იყვნენ, ბრიტანეთის მეფეს და იმავ-

დროულად ინდოეთის იმპერატორ ჯორჯ მეხუთეს ერთგულებას შეფიცული, კადეტთა კორპუსში მცხოვრები ჯარისკაცები, რომლებმაც დამოუკიდებელ საქართველოს თავი იმით დაამახსოვრეს, რომ რუსთაველის გამზირზე პირველებმა გამოფინეს გასაშრობად თავისი ქვედა საცვლები, რითაც პატიოსანი მოქალაქეების შეშფოთება გამოიწვიეს. თანაც ეს შეშფოთება ვირუსული გრიპივით გადაედოთ, ბრიტანეთში თან წაიღეს, იქაურებს შეჰყარეს და, როდესაც არასირცხვილისგან გაწითლებულმა რუსეთმა საქართველო 1921 წელს მორიგ ჯერზე დაიპყრო, განახლებული ძალით საჯაროდ გადმოაფრქვიეს თავისი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. მართალია, ევროპელების მიერ გამოთქმული ნებისმიერი შეშფოთება მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსებს ამგვარი პროტესტი ფეხებზე ჰკიდიათ.

მეორე მოარული ვერსიით კი, რომელსაც თავად ექიმი ანდრიაძეც იზიარებდა, ძაღლებს წინა კიდურებს აჭრიდა სამედიცინო პრაქტიკის მქონე, სავარაუდოდ, ადრე ციმბირის ციხეებმოვლილი, იქ ტუბერკულიოზაკიდებული მანიაკი, რომელიც თან ძაღლის ხორცს მიირთმევდა თავისი ავადმყოფობის სამკურნალოდ, თანაც ეს ცხოველები ისე უყვარდა, რომ მათ სასიკვდილოდ ვერ იმეტებდა და ოპერაციის შემგომ აუცილებელ მკურნალობის სრულ კურსსაც უტარებდა. ამ ორი ვერსიის გადამოწმება უბნის ბიჭებმა სცადეს, გადააქოთეს ყველა სარ-

დაფი თუ სარდაფებს ქვეშ არსებული მიწურები, მაგრამ ვერც ჯეკ მფატრავს და ვერც ჭლექით დაავადებულ ქირურგს მიაგნეს. სამაგიეროდ იპოვეს ერთი ვიწროთვალება, უსახლკარო, ჯერ კიდევ ნიკოლოზას ჯარს ჩამორჩენილი მოხუცი დეზერტირი, რომელზედაც ვიღაცამ თქვა კორეელია, ხოლო კორეელები, როგორც ცნობილია, ძაღლისხორცმჭამელები არიანო და საწყალი დიდხანს აწამეს, სანამ არ "აღიარა," რომ ძაღლებს მართლაც აჭრიდა ფეხებს. მოუყვანეს ექიმს, რომელმაც ნასალდათართან საუბრის შედეგად გაარკვია, რომ იგი იაკუტია და არა კორეელი და, რაც მთავარია, არა თუ ჭრილობაზე ნაკერის დადება, არამედ სიტყვა სკალპელის მნიშვნელობაც არ იცოდა და საერთოდ იყო ტლუ და წერაკითხვის უცოდინარი; თანაც არც ჭლექიანი აღმოჩნდა. ხოლო რაც შეეხება ხორცს – თურმე ბოლო წლებია საერთოდ არ უჭამია არა თუ ძაღლის, არამედ ქათმისაც კი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კბილები არ ჰქონდა.

იყო სხვა მრავალი ვერსია, რომელთაგან განსაკუთრებული ბოროტებით გამოირჩეოდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ძაღლებს ფეხს თავად ექიმი ნიკოლოზ ანდრიაძე აჭრიდა. ამის გაფიქრებაზე მაგდამ შიშნარევი სირცხვილის გრძნობით გაიხედა დასტაქრის სახლისკენ. უცნაურია, მაგრამ ამ დილით ფანჯარასთან ჰანტელებით მოვარჯიშე ნიკოლოზი არ ჩანდა. ალბათ უთენია წაიყვანეს მაღალი რანგის ბოლშევიკის მძიმე "პახმელიის" სამკურნალოდ. ნეტავი გამაგებინა, ვინ ტვინით ავადმყოფმა მოიფიქრა, რომ ექიმი ანდრიაძე ლა-

ვრენტი ბერიას ჭლექის სამკურნალოდ მაწანწალა ძაღლების ბეჭის ხორცს აჭმევდაო? ბოლოს ქართველი ბოლშევიკების ლიდერს თავად ექიმის ძაღლი მოსწონებია, მისი ბეჭი მოუთხოვია და ნიკოლოზმაც უარი ვერ შეჰბედაო. უსაზღვროა ბოროტი ადამიანების ფანტაზია.

ცხოვრება თავისას მოითხოვდა. ძაღლების ამბავი თანდათან მივიწყებას მიეცა. ექიმ ნიკოლოზ ანდრიაძის ძაღლმა ფეხის დაკარგვა იდარდა და ამ დარდს გადაჰყვა. დარჩნენ მხოლოდ მაწანწალა სამფეხა ძაღლები, რომლებსაც ზოგჯერ ოთხფეხაც გამოერეოდა და ჩაისახა იმედი, რომ მფატრავი ჯეკი და ჭლექიანი მანიაკი თავისი სიკვდილით გარდაიცვალნენ და გარეთუბანში ძაღლების პოპულაციაც ნელ-ნელა ევოლუციის აქამდე მიღწეულ ეტაპს დაუბრუნდებოდა.

გამოჩნდა პურის რიგი, რომელიც უკვე ოცდაათამდე ადამიანისგან შედგებოდა. ზოგს – ხაკისფერი გალიფე, კავკასიური პერანგი და შავი ჩექმა, ზოგს – თეთრდაყავისფერზოლებიანი პიჟამა და ნახევარკედები, ზოგსაც ჭრელი საშინაო ხალათი და ფლოსტები ეცვა.

დილის ნიავმა დაუბერა და მაღაზიის თავზე მილურსმნული შავარშიაშემოვლებული წითელი დროშა ოდნავ შეარხია.

- დილა მშვიდობისა, – ყველას ერთად მიესალმა და რიგის ბოლოს დადგა.

წყეული წლის 13 ივლისია, თექვსმეტი წელია, რაც ქართველ ბოლშევიკებს დააპყრობინეს

საკუთარი ქვეყანა; უკვე მეთექვსმეტედ იღებენ ამ ოდესღაც ბარაქიანი მიწის ხორბლის მოსავალს, მაგრამ ჯერ პურის პრობლემა ვერ მოაგვარეს. კიდევ ერთხელ შეავლო რიგს თვალი და შეამჩნია, რომ ძია ავქსენტი, ოთხმოცს გადაცილებული, მუდამ რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი, სათნო მოხუცი, რომელიც ყოველთვის პირველი იდგა მაღაზიის კარებთან, არსად ჩანდა. ეს ხომ მარგოა, ავქსენტის კომუნალური ბინიდან, ჩემი ყოფილი მოწაფე? თითქოს გუშინ იყო 8 წლის მარგოს პირველი ნოტები რომ ასწავლა . . . მივალ ვკითხავ, რა ხდება.

- Ты куда без очереди, сука старая?

- რას ბრძანებთ, ქალბატონო? Я всего на пару слов. У меня и в мыслях не было нарушить очередь, ღმერთო, შენ მიშველე! – ყოფით გარემოებებში ზოგჯერ მაგდაც სცოდავდა, მაგრამ რიგის დარღვევა ყოველთვის ქურდობის ტოლფასად მიაჩნდა და არასოდეს გადადგამდა ამგვარ ნაბიჯს. ასეთი საქციელით ხომ მის წინ მდგომის სიცოცხლისთვის განკუთვნილ დროს მოიპარავდა. ეს დრო კი ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებული ყველაზე ძვირფასი ამქვეყნიური განძია. ნემსის ქურდი თუ ქურდია, დროს ანუ სიცოცხლის ნაწილის მომპარავი, ხომ ათიათასჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ ქურდი გამოდის?!

- Нука, на место, контра ряженая, – არ ცხრებოდა გრძელხალათიანი თმაგაბურძგნილი ქალი, რომლის მსგავსი უამრავი არსება ჩამოყვა ამ ქალაქში 1921 წელს დაბრუნებულ სალდათებს.

- მარგო, შვილო, გამოდი, გვერდზე დავდგეთ, თორემ შეგვჭამს ეს ქალბატონი.

- Ты по вашему не ругайся. Знаю Я Чингиз Хана и вашего Могит Хана, басурманка! – ვერ ინელებდა გუშინდელ ბრაგას. უცნაურია, ამ ღვინის და ჭაჭის ქვეყანაში ეს ოხრები თავისას არ იშლიან და მშობლიური აქოთებული სასმელების დაყენების ტრადიციას არ ღალატობენ. არადა პირზე სულ "ჩაჩა-ჩაჩა" აკერიათ, დილდილობით კი ბრაგას ან სიუხას სუნით ყარან.

- Ты мне не тыкай, Я с тобой гусей не пасла, сейчас милицию позову, по тебе вытрезвитель плачет! –ამ ყაიდის ადამიანებთან კონტრშეტევა კარგად ჰქონდა დაცდილი.

აფოფრილი დედაკაცი მოიკუტა და უწყინრად შეიყუჟა რიგში. ეშმაკმა იცის, რა მოგონებები გაცოცხლდა მილიციის ხსენებაზე მის ალკოჰოლით გაბრუებულ თავში:

- Ну ладно, ладненко….

- თქვენი ჭირიმე, მაგდა მასწ, ნუ აჰყვებით, ხომ ხედავთ, გიჟია, – ფერი არ ედო მარგოს.

- რა გჭირს, რად ცახცახებ, ხომ მშვიდობაა? ავქსენტი პაპა არ ჩანს. შეუძლოდ ხომ არ არის?

- რა მშვიდობა, რის მშვიდობა?! – ხელკავი გამოსდო, გვერდზე გაიყვანა და ჩურჩულით დაიწყო გოგონამ. – ხომ იცით, ახლა რა დროა? დილის ოთხის ნახევრისთვის ჩვენ სახლთან მანქანა გაჩერდა. მერე დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, პაპა ავქსენტის კარებზე ჩუმად დააკაკუნეს, იმანაც გაუღო. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ოთახში მიდიმოდიოდნენ. გამოსვლა ვერ გავბედეთ, დედაჩემი

შიშისგან კინაღამ მოკვდა. მამა ამბობდა, ჩუმად იყავით, თორემ ყველას დაგვიჭერენო. ცოტა ხანში ოთახიდან გამოვიდნენ, დერეფანი გაიარეს, მერე "ჩორნი ვორონოკის" ძრავი ათუხთუხდა. მამამ თქვა, ავქსენტი წაიყვანეს და დახვრეტენო, მაგრამ მალე ისევ ფეხსაცმლის ბაკუნი გავიგონეთ. მერე ავქსენტი პაპას ოთახის კარი გაიღო და იქიდან სიარულის და ფაჩუნის ხმა გამოდიოდა. მამამ თქვა, ხომ ვამბობდი, ეგ მოხუცი დამსახურებული კაცია, ეტყობა, გაიგეს და გამოუშვესო. მინდოდა გასვლა, მაგრამ მამამ ისევ გამაჩერა, რა იცი, იქნებ მართლა ხალხის მტერია, სპეციალურად "პრიმანკად" დატოვეს, რომ ვინც მიაკითხავს ისინიც დაიჭირონო. ოთხი საათისთვის კარმა დაიჭრიალა და დერეფანში ვიღაცამ გაიარა, პაპა ავქსენტი ყოველ დილით ამ დროს გადიოდა სახლიდან. ჯერ სეირნობდა და ხუთიდან უკვე პურის რიგში პირველი დგებოდა. დედას და მამას ეძინათ, მე კი ვერ დავიძინე, ჩემ სერგოზე ვფიქრობდი, მალე უნდა დავქორწინდეთ, ისიც რკინიგზაში მუშაობს და რომ წაიყვანონ, რაღა მეშველება? ახლა ხომ ყველას იჭერენ?!

- მოიცა, გამაგებინე დაიჭირეს თუ არ დაიჭირეს, დალაგებულად მითხარი.

- არ ვიცი, არაფერი ვიცი . . . "რიო-რიტა, მარგა-რიტა, უჩემობას როგორ იტან" . . . – მარგომ ცალი ხელი წელზე მოჰხვია, მარცხენა მარჯვენაში ჩაავლო, გააშლევინა, მაგდა უნებლიეთ აჰყვა და ვალსის ცეკვა დაიწყეს. – ერთი-ორი-სამი, ერთი-

ორი სამი. . . კარგია, მაგდა მასწ, ძალიან გთხოვთ ნუ გაჩერდებით.

– შენ რა, გაგიჟდი? რა გაცეკვებს ამ უთენია? – მოისმა მაგდას ზურგს უკან მბრძანებლური მკივანა ხმა.

– სალამი, ამხანაგო როზა, ეს ჩემი მუსიკის მასწავლებელი ქალბატონი მაგდაა, – მარგომ საუბრის თემა შეცვალა და თავზე წამომდგარ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მბეჭდავ-მემანქანეთა უფროსს მიესალმა.

- ამხანაგო მარგო, რვა საათზე “შტიკივით” დაერჭობი სამსახურში. დღეისთვის ბევრი საბეჭდი დაგვიგროვდა, – როზამ ზედაც არ შეხედა მაგდას.

ყოჩაღ მარგო! სხარტად შეაფასა სიტუაცია. ვინ იცის, თუკი ავქსენტი მართლა დაპატიმრებულია, რა კუდს გამოაბამდა ჩეკისტი მათ საუბარს?! მაგდამ ინტერესით შეათვალიერა აწოწილი საკმაოდ ასაკოვანი ქალი, რომელზეც ამბობდნენ, ახირებული ადამიანია, შინსახკომის მუშურგლეხური მილიციის მეორე განყოფილების მასზე ბევრად ახალგაზრდა უფროსს – პოლიკარპეს – ხან უშიშროების სამმართველოში თავის კაბინეტში იბარებს და ხანაც მასთან მიდის განყოფილებაში და ორივეგან თანამშრომლების გასაგონად სიყვარულობისგან ოხრავენ და ხვნეშიანო. აი ასეთი უშნო ზნე სჭირს თურმე როზას. პოლიკარპე ერთ დროს მაგდას შვილის ამხანაგი იყო და ახლა ამ ქალის შემყურეს მაგრად დაწყდა გული.

მუშურ-გლეხური მილიციის კარის თავზე, შავარშიაშემოვლებული დროშის გვერდზე მიმაგრებული რადიოდან საბჭოეთის ჰიმნმა – “ინტერნაციონალმა” - დაიქუხა, პურის მაღაზია გაიღო და ქუჩაში მდგომი ხალხიც გამოცოცხლდა; რიგი, თითქოს გველიაო, ჯერ გაიზმორა, მერე ისევ შევიწროვდა და თავით ღია კარებში შეძვრა.

მაგდამ იცოდა: ფაციფუცით, უკანმოუხედავად პურის მოსაპოვებლად რიგში დაბრუნებულ მარგოს ამ წუთიდან აღარც პაპა ავქსენტი ახსოვდა, არც მაგდა მასწავლებელი, არც დედა და არც მამა. იგი მხოლოდ პურზე ფიქრობდა და ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან სხვა თემაზე საუბარს აზრი არ ჰქონდა. ახალგაზრდა ბოლშევიკები კი ამბობენ: მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას, თუ პარტია მეტყვის ამასო, მაგრამ ამ ქვეყანაში პარტიაზე მაღლა მაინც კუჭი დარჩა და ის გაბატონდა უმრავლესობის გონებაზე. კუჭი გახდა სოციალისტური ქვეყნის მთავარი ორგანო და სინამდვილეში სწორედ ის, და არა პარტია, იყო წითელი ეპოქის გონება და სინდისი. პური, რომელსაც ბოლშევიკები ხალხს მუცლის ამოსაყორად სთავაზობდნენ, ღვთისგან ბოძებულს არაფრით ჰგავდა და მაგდას, დაყნოსავდა თუ არა, ეჩვენებოდა, თითქოს ცომის საფუარად ციხეების ობი იყო გამოყენებული.

მის გარდაცვლილ ქმარს და რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ მოხუცს, რომ რაღაც უხილავი, საიდუმლო ძაფი აკავშირებდათ, ამის შესახებ იმ დღიდან იცის, როცა ორი წლის წინ რუ-

სეთიდან გადმოსახლებულ დამსახურებულ რკინიგზელს ლუნაჩარსკის და ძნელაძის გადაკვეთაზე, ძირითადად სამხედრო მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახებით დასახლებულ სახლში, კომუნალურ ბინაში, მორიგი "უპლოტნენიეს" შედეგად, "ბაგდადკით" გატიხრული ერთი ციცქნა ოთახი გამოუყვეს თუ არა, ორ დღეში თერთმეტი წლის უნახავი სპირიდონი გამოეცხადა და ავქსენტის ამბავი იკითხა.

სპირიდონი ჯვრისწერამდე აფრთხილებდა, რთული ცოლ-ქმრობა გვექნებაო, მაგრამ განა ასეთი?! უცებ სადღაც გაქრებოდა, შემდეგ გამოჩნდებოდა თუ არა, აუცილებლად რაღაც უბედურება დატრიალდებოდა. პირველად 1907 წლის 7 მარტს, მალაქიას დაბადებიდან ერთი თვის თავზე, სადღაც წავიდა და მხოლოდ 31 აგვისტოს მოლასლასდა შეშლილი სახით, ჩემი ბრალია ყველაფერი, ერთი დღით დამაგვიანდაო. 1915 წელს კვლავ დაიკარგა. თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა დაჭრილმა უცნობმა ჯარისკაცმა ამბავი მოუტანა – ერზერუმთან ვნახე, თქვენთან მოკითხვა და შვილის აღზრდის რჩევების ნუსხა გამომატანაო. 1918-ში ჩამოვიდა და 1921 წლამდე ყველა ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მერე ისევ დაიკარგა. 1924-ში გამოჩნდა და მალევე გაქრა, ალბათ დაიჭირეს. მაშინ ბევრი დახვრიტეს ან გადაასახლეს. ვერ მიაკვლიეს მის ასავალ-დასავალს. ან როგორ იპოვიდნენ? კაცი ერთი იყო და სხვადასხვა სახელზე და გვარზე გაცემული დოკუმენტები ათასი ჰქონდა. უკვე მისი ნახვის ყველა იმედი გადაეწურა, როდესაც 1935 წლის 28 ოქტომბერს დილით კარებთან

იპოვა ცოცხალ-მკვდარი. სწორედ მაშინ ჩაიჩურ-ჩულა – ავქსენტი უნდა ცხოვრობდეს ჩვენს მე-ზობლადო. რამდენიმე წუთს იცოცხლა. დამბლა-დაცემული მარცხენა ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა, ენაც წაერთვა. გარდაცვალებამდე ფურცელი და ფანქარი მოითხოვა; ანდერძის წერა დაიწყო, მა-გრამ გონება უბნელდებოდა და რამდენიმე წინა-დადების მერე რაღაც აბდაუბდა ციფრებს კორიან-ტელი დააყენა. სიკვდილის წინა წამს თვალებში შუქი ჩაუდგა, მეტყველების უნარი აღუდგა და სავ-სებით ნათლად წარმოთქვა: “ახლოს არ გაეკაროთ, შორიდან უპატრონეთ, დავალებას მისგან მიიღებთ. ავქსენტი ივანე . . .” და გვარი, რომელიც მაშინ მოისმინა იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ მისი გაფიქრება მუდმივად შიშის ზარს სცემს.

მეუღლის სიტყვები არავისთვის გაუმხელია. თავიდან იფიქრა, აგონიაში მყოფი კაცის ბოდვაა და ყურადღება არ მიაქცია. ან სად ეცალა, ცის-იდან გამოქცეული ქმარი ფარულად უნდა დაე-საფლავებინა.

. . .

მალაქიამ სახლის აშმორებულ, ბნელ სარ-დაფში ორმო ამოთხარა და დედა-შვილმა სპირი-დონის გვამი ღამით ქურდულად მიაბარეს მიწას. მიწას ეტყვიან, თორემ საწყალ სპირიდონს გარე-თუბნის ქვეშ გამდინარე წყლებსა და კლდის ნამსხვრევებში მიუჩინეს სამუდამო სამყოფელი.

. . .

ახლა მოგონებებისთვის არ სცალია.

სიტუაცია ასეთია:

თუ ძია ავქსენტი ჩეკისტებმა წუხელ დაა-პატიმრეს, მაქსიმუმ სამ დღეში განაჩენს გამოუტა-ნენ და ან დახვრეტენ, ან გადაასახლებენ მიმოწე-რის უფლების გარეშე; რაც, კაცმა რომ თქვას, ერთი და იგივეა. ბოლო თვეების გამოცდილებით, სამწუხაროდ, სხვა შედეგი გამორიცხულია; ანუ მასთან კონტაქტის დასამყარებლად მხოლოდ ორიოდე დღეა.

თუ მოხდა სასწაული და, როგორც მარგო ვარაუდობს, სახლიდან გაყვანილი მოხუცი შინსახ-კომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა უკან გამოუშვეს, იგი მაინც უკვალოდაა გამქრალი.

ორივე შემთხვევაში მოხუცის პოვნა და მასთან კავშირის დამყარება მაგდას შესაძლებლო-ბებს აღემატება. საჭირო ხდება ამ საქმეში შვილის ჩართვა. დღეს უნდა გადაწყვიტოს – ან საბოლოოდ განუდგეს მეუღლის არჩევანს, ან შვილი დააყენოს იმ გზაზე, რომელმაც მათ ოჯახს მხოლოდ ტკი-ვილი და განშორება არგუნა; ვინ გასწიროს, უც-ნობი ადამიანი, რომლის ვინაობაში ეჭვი ეპარება, თუ საკუთარი შვილი? თანაც ვის გამო უნდა გაირთულოს ცხოვრება? ესენი ხომ იმ ერის უმრავლესი წარმომადგენლები არიან, ვინც 1921 წლის თებერვალში საკუთარ პირტიტველა იუნკე-რებს კოჯორში რუსებთან საბრძოლველად ზარ-

ზეიმით აცილებდა და 1922-ში და შემდეგი წლების 25 თებერვალს ამ ბიჭების ამომჟუჟავების აღლუმს ყვავილებისა და წითელი დროშების ფრიალით ხვდებოდა; ესენი ხომ იმ ერის უმრავლესი წარმომადგენლები არიან, ვისაც მართლა სჯერა, რომ ვიღაც აგრონომი მოწამლული სიმინდის თესლის მრავალ ჰექტარზე დათესვას აპირებდა, რათა ასევე მოწამლული მოსავალი მიეღო და იმ ცომით გამომცხვარი მჭადით საბჭოთა მშრომელები დაეწამლა; ესენი ხომ "ტროიკებს" უდანაშაულო ადამიანების დახვრეტისათვის კოლექტიურ მადლობებს უხდიან; ესენი ხომ პოეტებს და მეცნიერებს მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტებად აცხადებენ, ხოლო მათ უმწეო ბალღებს ხალხის მტრის შვილებს ეძახიან! ესენი ხომ იმასაც კი ვერ ბედავენ, რომ ხუთი დღის წინ მთაწმინდაზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალულ იოსებ სტალინის ბოზ დედა კეკეზე გლოვის ნიშნად მთელ ქალაქში გამოფენილი შავარშიაშემოვლებული წითელი დროშები ახლა მაინც ჩამოხსნან; ემანდ ვინმემ ბელადს არ აცნობოს და თავი არ წაგვაგდებინონო; ვისაც დროშების ჩამოხსნის ბრძანება უნდა გაეცა – ლავრენტი ბერიას – კი ვერ დაეჯერებინა, რომ კობა ჯუღაშვილი დედის საფლავზე ერთი მუჭა მიწის მისაყრელად არ ჩამოვიდოდა თუნდაც დაგვიანებით, პომპეზური ცერემონიალების გარეშე და ქალაქს სამგლოვიარო იერს ამიტომაც არ უცვლიდა; ესენი . . . მოიცა! შეჩერდი! შეჩერდი!!! ეს ხომ თვითმომართვის რეჟიმია?! ასე ის სუსტი ადამიანები იქცევიან, ვისაც თავისი უბადრუკი საქციელის გასამართლებლად თითიდან

გამოწოვილი არგუმენტები სჭირდება. მაგდას შერცხვა თავისი გონების ამ კაპრიზისა, რომელიც ქვეცნობიერად ცდილობდა დედა აეძულებინა შვილისთვის ხიფათი აეცილებინა, თუნდაც ტენდენციური დასკვნებით. ვინ-ვინ და მაგდამ იცოდა, რომ იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ვინც წითელი არმიის 25 თებერვლის აღლუმს ესწრებოდა, იძულებით იყო იქ მირეკილი საოკუპაციო რეჟიმის მიერ და ამგვარად ახერხებდა ფიზიკურ გადარჩენას; მოწამლული სიმინდის ამბავი იმ დაუჯერებელი ჭორივით იყო, შავი ჭირივით რომ მოედება კოლექტიურ ცნობიერებას. მოწამლული თესლით შხამიანი მოსავლის მიღება და ამგვარად ხალხის დაწამვლა რომ აბსურდია, ყველაზე უკეთ ამხანაგ სტალინს მოეხსენებოდა, მაგრამ ეს გენიოსად შერაცხული მამაძაღლი სრულიად შეგნებულად ტკბებოდა ამგვარი ბრალდებებით დახვრეტილი უამრავი ადამიანის უბედურებით; მადლობის კოლექტიურ წერილებს კი ბოლშევიკი აქტივისტები წერდნენ პარტიის დავალებით და, აბა, კარგი დედის შვილი იყავი, ხელი არ მოგეწერა?! ეგ ხომ თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ყველას რომ გმირობა მოეთხოვებოდეს, მაშინ გმირობა რაღა იქნება?! რაც შეეხება ხალხის მტრების შვილებს?! მათ ხომ მარჩენალი დედ-მამა დაუხვრიტეს და მაინც არსებობენ და თავი გააქვთ. ესე იგი, ვიღაც ეხმარებათ ლუკმა-პურის, ტანსაცმლის და წიგნების შეძენაში. სწორედ ეს ვიღაც არის ის ფარული გმირი, ვინც ეს ქვეყანა და ერი დღემდე მოიტანა. სწორედ მათ გამო და მათი იმედით ღირს ბრძოლა. ბოლოს და ბოლოს, კეკეს პატივსაცემად

დროშებზე მიმაგრებული შავი არშიის ნაჭრები მზის სხივების ზემოქმედების შედეგად გახუნდება, ფრიალით გაცვდება და მოშორდება ბოლშევიკურ ალამს, რომელსაც ოდესმე თავადაც გაუვა ყავლი.

მაგდა თავის შესახვევს მიუახლოვდა, გაახსენდა სიმონიკას ოინები და მასთან შესახვედრად მოემზადა, მაგრამ კუთხეში არავინ დახვდა. სადარბაზომდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა. შიშის გრძნობა დაეუფლა – შვილთან ურთიერთობის შიშის?! უკვე კარგა ხანია ხვდებოდა, რომ მალაქიასთან ადრინდელი სულიერი სიახლოვე დაუკარგავს. ეს გაუცხოება კი მაშინ დაიწყო, როდესაც საკუთარ ნაშიერს მამის საიდუმლო ვერ გაუმხილა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს. ახლა გრძნობდა, თუ რა მძიმე იქნებოდა მოსალოდნელი საუბარი.

სადარბაზოს კარი ჭრიალით შეაღო, იქიდან ვიწროთვალება და წითელლოყებიანი იდიოტი გამოეფეთა:

“სარდალს თქვენი საკრავები ისე მოსწონს, რომ უმორჩილესად გევედრებათ ხმა აღარ ამოაღებინოთ.”

- სიმონიკა, რა საკრავები მოსწონს შენს სარდალს?! მე ხომ მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრას ვასწავლი?!

- “თუ უხმო საკრავები გაქვთ, რამდენიც გინდოდეთ, დაუკარით: ხმიანები კი ჩვენს სარდალს არაფრად ეპრიანება.”

- ეგ რომელი პიესიდანაა, ჩემო სიმონიკა?

- აი, არ იცით! სიმონიკამ კი იცის. ეს არლეკინის სიტყვებია “ოტელოდან”. თქვენ ხომ მითხარით, მასხარა ხარო?!

ბედნიერი იდიოტი ქუჩაში გავარდა, რუსთაველისკენ გაიქცა, ხუთიოდე მეტრში მოულოდნელად გაჩერდა, შემოტრიალდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შესძახა:

“რად არ მეშლება ეს სხეული, ესრეთ მაგარი?

რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა? . .

ცუდ ამბებს ვხედავთ და კვლავც უნდა ცუდს მოველოდეთ,

გაიპე, გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს.”

სიმონიკა მართლაც დადუმდა, შეტრიალდა, პატარა აღმართს დინჯად დაადგა და ვინ იცის, რომელი სპექტაკლიდან, ვის სიტყვებს იხსენებდა მისი ამ სოფლისთვის დაბურული გონება?!

მაგდა მძიმედ აუყვა კიბეს. სადარბაზოში ძველი და ობიანი გაჯის სუნი იდგა. რაც ბოლშევიკებმა აქედან სამასიოდე მეტრში მდებარე მტკვრის მარჯვენა ტოტი ამოავსეს და ორბელიანების კუნძული, რომელსაც დღევანდელი ქალაქელები რატომღაც მადათოვის კუნძულად იხსენიებენ, მოშალეს, მაგდას სახლი უფრო დაშორდა

მდინარეს და თითქოს ნესტიც ნაკლები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ქმედებამ, ისევე როგორც ამათი ხელიდან გამოსულმა სხვა ყველაფერმა, საპირისპირო შედეგი გამოიღო. სისველემ იმატა, სახლის საძირკველს ამოსცდა და ახლა კედლებს თანმიმდევრულად მიუყვებოდა მეორე სართულისკენ.

მაგდა ბინის კარებთან შეჩერდა; კიდევ ერთხელ დაფიქრდა. მიხვდა, რომ მხოლოდ ერთი რამ იცოდა ზუსტად – იდეას, რომელსაც მისი მეუღლე და სხვა შეფიცულები ემსახურებოდნენ, ჯერჯერობით, ყველასთვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. სწორედ ამ ცოდნის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, როგორ მოიქცეს . . .

თავი მეორე

შანელი, ლენინგრადის პარფიუმერიული ფაბრიკა და ჯადოსნური საკვიპაჟი

- გაიღვიძე, შვილო, გათენდა.

- არა, რა დავაშავე, რა ღვინო შემოგვმატა ბოლოს სუფრაზე იმ შეჩვენებულმა?! ხომ ვიცი, რომ მამამისი სამხედრო ნაწილში, ჯარისკაცების ულუფიდან, მოპარული შაქრით აყენებს შხამს და უსინდისოდ იძახის: მირონია, მირონიო! რამდენჯერ ვთქვი, ცუდ ღვინოს არ დავლევ-მეთქი, – გაწებილი თვალების გახელა უჭირდა მალაქიას.

- ადექი, წყალი შეისხი, გამოფხიზლდი, საქმე მაქვს შენთან.

- რა გჭირს, დედა, რამ შეგაშინა, რა სახე გაქვს? აჰა, ხომ არ დავიღუპეთ, ხომ არ ჩაგეძინა

და ბოლშევიკების დილის საარი – “ინტერნაციონალი” – ხომ არ გამოგრჩა? გინდა გიმღერებ : Вставай, проклятьем заклейменный, Голодный, угнетенный люд! – ამის ავტორი, მე მგონი, ჩემი გასახეთქი თავის ამდილანდელ მდგომარეობაზე წერდა. ნახე, როგორ გრძელდება: Наш разум _ кратер раскалённый... “раскалённый” და ჯანდაბა!

- შეიძლება, ადამიანი მუდმივად მაიმუნობის ხასიათზე იყოს?

- რა გინდა, დედა?

- რა მინდა და, შენი კარგად ყოფნა. მგონი, ძია ავქსენტი დაიჭირეს. წუხელ ჩეკისტები ყოფილან მასთან.

- ვინ ავქსენტი? მოიცა. აჰა, ის მოხუცი, ჩუმ-ჩუმად რომ უთვალთვალებ, არა?

- შენ რა იცი, მე ვის ვუთვალთვალებ?

- არ დაგავიწყდეს, ჩემი ჭყონდიდელი მამიკოს გენიალური პედაგოგიური ინსტრუქციებით ვარ გაზრდილი. აბა, კარგად დაძაბე გონება: ერთხელ ისე გაგიტაცა გარე დაზვერვის ოპერატიული თანამშრომლის როლმა, რომ არა ხანშიშესული, მაგრამ საოცრად სხარტი უცნობი კუზიანის ოსტატობა, ტრამვაი გაგიტანდა. გახსოვს, როგორ ეხვეწებოდი: თქვენი სახელი მაინც მითხარით, სანთელს დაგინთებთ და თქვენთვის ვილოცებო?

- არა! . . შე-ენ?!

- დიახ, უცნობ გმირად ვარჩიე დარჩენა და სახელიც ამიტომ არ გაგიმხილე. რომც მეთქვა – არ დამიჯერებდი! ისე როგორი სკოლაა? ბავშვობიდან, თქვენი წყალობით, სახაზინო და ოპერის თეატრების გრიმიორები მასწავლიდნენ გარდასახვის ოსტატობას. კუზიან მოხუცად კი არა, თუ გინდა, ხეოფსად ან უფრო მეტი – ჩოფურა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადად და ერების მამად გადავიქცევი.

- ხეოფსი ვინდაა?

- ვინაა და, ვინც რუსთაველზე წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი – "სობორო" – დაანგრია და მის ადგილზე ხეოფსის თაღებიანი პირამიდა ააშენა სახალხო დეპუტატებისთვის, "ჩქინ ლავრენტი ბერია."

- ჩუმად მაინც ილაპარაკე და ძალიან გთხოვ, დაუკრეფავში ნუ გადადიხარ!

- მაგათ გადამკიდეს ცოტა ხანში ყველას გვექნება გულზე ხელები დასაკრეფი. სად გაგონილა ეკლესია დაანგრიო და ღვთის ნასახლარზე ამპარტავნების სასახლე ააგო?! არ იქნება ეგ ადგილი მადლიანი. ბორჯომი გვაქვს?

- გვაქვს!

- საოცარი სითხეა, ნაღვინევზე უებარი წამალია! . . ადრე ეკატერინეს წყაროს ეძახდნენ

თურმე. წყალი რა მშვენიერია და ქალი როგორი იქნებოდა – კნიაზ გოლოვინის ქალიშვილი, კნიაგინია კატერინა, ჰა?!

- მოასვენე საფლავში ის ქალბატონი. შენ რომ ქალი გინდოდეს, აქამდე ცოლსაც მოიყვანდი და მეც მშვიდად ვიქნებოდი.

– აჰა, დაიწყო! . .

ღიანაცრისფერი მარმარილოთი მოპირკეთებულ ხელსაბანთან პირი დაიბანა, წვერი გაიპარსა, სახეზე ოდეკოლონი "შიპრი" შეისხურა, სველი თმები უკან კოხტად გადაივარცხნა. ყავისფერ შარვალში, მუქ პერანგზე თეთრ ჰალსტუხში, შავ თეთრყელიან ფეხსაცმელებში გამოიწკიპა და საბრძოლო განწყობით მიუჯდა მაგიდას, რომელზეც მაგდას უკვე გაეშალა კუნელის ჩაის, ხურტკმელისა და ქერის ფაფისგან შემდგარი საუზმე. რადიოს მისწვდა, ჩართო. შიშინი გაისმა, მერე – ხრიალი და მხოლოდ ამის შემდეგ ალაპარაკდა: "დიახ, ამხანაგებო, სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე მიღწეული არნახული წარმატებების შედეგად მშრომელებს იმდენი კვების პროდუქტის ნარჩენი უგროვდებათ, რომ დაუღალავად უწევთ მუშაობა ჩვენს სახელოვან მენაგვეებს და აკი გაივსო კიდეც ძველი ნაგავსაყრელი. ახალმა დროებამ დღის წესრიგში ახლის გახსნა დააყენა. აი აქ ეყრება მას საფუძველი – ახალი დროების ახალ ნაგავსაყრელს. ადგილი საგანგებოდ შეირჩა. როგორც ხედავთ, ამ ტრიალ მინდორზე ქარი ქალაქის საპირისპირო მხარეს უბერავს და აქაური სიმყრალე აღარ შეა-

წუხებს ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებს. . .”

– ხედავ, დედა, ამათ მართლა ჰგონიათ, რომ ქარი ყოველთვის ერთი მიმართულებით უბერავს და, რაც მთავარია, თურმე იმდენი დოვლათი შეუქმნიათ, რომ ხალხი ნაგავში ყრის კიდეც ზედმეტ საკვებს. ასეა, ბატონო, როცა ქვეყანას სათავეში სასულიერო სასწავლებლიდან აკადემიური ჩამორჩენის გამო გარიცხული ადამიანი უდგას, მისი უშველებელი იმპერიის ერთ-ერთი პროვინციული ქალაქის მოხელეს რა განათლება მოეკითხება?!

– შენც ჩემსავით ფიქრობ, რომ ხელისუფლების უბედურების თავიდათავი გაუნათლებლობაა?

– ვის ეძახი ხელისუფლებას? ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას ასე არ ექცევა. ესენი ნამდვილი დამპყრობლები არიან. განა აღა-მაჰმად-ხანის ჯარმა ამათზე მეტი ქალი გააუპატიურა?! ერთი კია, შეურაცხყოფილი მანდილოსნებისთვის კოჭის მყესები არ დაუჭრიათ. ამისთვის დიდი მადლობა. რადიოში მოლაყბე მოხელეს, წესიერი განათლება რომ მიეღო, ეცოდინებოდა, ქარი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებით უბერავს და, რაც მთავარია, ნაგავსაყრელისთვის ღია ადგილს კი არ შეარჩევდა, არამედ სამარხს გათხრიდა. დედა, განათლებას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ნუ გეწყინება და ვერ დაგეთანხმები, რომ – გადამწყვეტი. ბაბუაჩემის მამას უნივერსიტეტში არ უსწავლია, მაგრამ მის გამჭრიახ გონებაზე, ზრდილობაზე, კაცობაზე და ზნეობაზე ლეგენდები და-

დიოდა. განათლებული და ნიჭიერია ფრანგი მწერალი ლუი არაგონი, მაგრამ ხომ ხედავ, რა გონებადაბინდული უმღერის ბოლშევიკებს დითირამბებს?!

- ლუი არაგონი სულ სხვა ფენომენია. ჯერ ერთი, ის ადამიანი რწმენით კომუნისტია, მეორე – ჩამოიყვანეს საბჭოეთში, არყით უმასპინძლეს, მთვრალს აჩვენეს ურალის შთამბეჭდავი მშენებლობები და დააბნიეს კაცი.

- აჰა! ეგ ოდესმე გამოფხიზლდება და აუცილებლად მიხვდება შეცდომას, მაგრამ ჯერჯერობით ხომ ცდილობს საბჭოეთის ძლევამოსილი იდეების პროპაგანდას თავის რევოლუციების სამშობლოში?! ნეტავი გამაგებინა, მართლა რამ დააწერინა "ვაშა, ურალო!" ლუი არაგონს და საფრანგეთს არაფერი უჭირს?! აი გედევანს და ერასტის რა ეშველებათ, ნამდვილად არ ვიცი; დედა, ხომ გახსოვს ეგენი?

- მაგათ რა დამავიწყებს? ამ ბიჭების დამსახურებაცაა შენი განსწავლულობა. ისეთი ჭკვიანი ბავშვები იყვნენ, ზოგ საგანში შენ გჯობდნენ და სწორედ მათთან შეჯიბრში გაიზარდე და განვითარდი. განათლების თამასას ერთმანეთს სულ მაღლა და მაღლა უწევდით. მათი მადლობელი ვარ.

- წიგნიერებაზე არც ახლა ამბობენ უარს, მაგრამ ცოდნის გამოყენების თამასა ამჟამად ისეთ სიმაღლეზე აუწევიათ, რომ ვერაფრით შევწვდები.

- არ გეკადრება ბავშვობის ამხანაგებზე ცინიკური საუბარი. პირდაპირ მითხარი, რა მოხდა, რამ გატკინა გული.

- რამ მატკინა და?! – ორივე ჩემი გიმნაზიის ამხანაგი ახლა ამხანაგ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სამსახურში ჩამდგარა. ერთი ამხანაგი გედევანი ცეკას აპარატში მაღალ თანამდებობაზეა, მეორე ამხანაგი ერასტი კი კომკავშირის რაიკომში იდეოლოგიური ბრძოლის ავანგარდში. ამათმა სამსახურებრივმა მდგომარეობამ იმდენად არ შემაშფოთა, რამდენადაც – იმ აღტყინებამ, რითაც ცდილობენ ბერიას პირადი მონის მოვალეობის შესრულებას და ერთმანეთს პირველი მსახურის წოდებისთვის ბრძოლაში ეჯიბრებიან. არადა, ამათ არა თუ გაუნათლებელი, არამედ სწორედ რომ განათლებული და წიგნიერი ადამიანები ჰქვიათ.

- მაინც რა მოხდა, რა დააშავეს ასეთი?

- მაგათ კერპ ლავრენტი ბერიას ცეკას პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძისთვის მიუკუთვნებია მწერალ გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამი. ბერიასთვის მწერალი მწერალია. რა მნიშვნელობა აქვს ლორთქიფანიძე იქნება თუ რობაქიძე?! მაგრამ, ნახე, სად იმალება ეშმაკი! გრიგოლ რობაქიძე ამჟამად ხალხის მტრადაა გამოცხადებული და მისი ციტირება მაღალი რანგის ბოლშევიკის მიერ მთლად კარგ საქციელად ვერ ჩაითვლება; თუ გაუგეს, რა თქმა უნდა. ლავრენტის ამ იაღლიშს სრულიად სერიოზულად განიხილავდნენ უკვე კარგად შეზარხოშე-

ბული გედევანი და ერასტი. გედევანმა, რომელსაც თანამდებობრივად ევალება ცეკას მდივნის მოხსენების მომზადებაში მონაწილეობა, განაცხადა, რომ ეს უზუსტობა სულ სხვა მოხელის ბრალია, რომელიც თურმე ისე ახლოსაა ბერიასთან, რომ ბელადის სრული ნდობით სარგებლობს და სხვებს არ აკარებს მის მიერ მომზადებულ ტექსტებს, რომლებსაც ბერია საკუთარ ნააზრევად წარუდგენს საზოგადოებას. გედევანმა ცეკას მდივნის სამზარეულოს ეს ნიუანსები გაგვაცნო და განაცხადა, რომ შეცდომა მან კი არა, ან ბერიამ კი არა, არამედ ცუდმა მრჩეველმა დაუშვა; და, რა თქმა უნდა, ყველაფერში დამნაშავე სწორედ რომ ის ცუდი ადამიანია. ის კი არა თქვა, ლავრენტი ჩვეულებრივი მოკვდავია და რა ვუყოთ?! – ზოგჯერ მასაც ეშლებაო. დედა, ჯერ სად ხარ?! ახლა ნახე, რა ბრძანა ამხანაგმა ერასტიმ?! ამხანაგმა ერასტიმ განაცხადა, რომ ამგვარი შეცდომები უბრალო შეცდომები კი არა, არამედ შეგნებული საბოტაჟიაო! ნახე, რა სიტყვა უსწავლია! თან გედევანს იქვე, სხვათა შორის, ღრიანკალივით უკბინა და შეახსენა, რომ როდესაც იგი, ანუ ერასტი, ყოველთვის ბოლშევიკების ერთგული ადამიანი იყო, ამხანაგი გედევანი სიყმაწვილეში მენშევიკებს თანაუგრძნობდა და მხოლოდ შემდეგ აეხილა თვალი. რაც მთავარია, არც ამხანაგმა ერასტიმ აღიარა, რა ვქნათ, კაცნი ვართ და შეცდომისგან თვით ამხანაგი ბერიაც კი არ არის დაზღვეულიო. ორივემ იცის, რომ სწორედ ბერია შეცდა და თავისი მსჯელობით იმას კი არ არკვევენ, სინამდვილეში შეცდომა ვინ დაუშვა, არამედ ერთმანეთს და მთავრობას ეუბნებიან: მე

ბოლშევიკი ვარ, ბოლშევიკების მხარეს ვარ, ჩვენიანი ვარ, ბატონოო! ამგვარი ქცევა უფრო ცხოველებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე – ადამიანისთვის. თუ ძაღლი გარკვეული ტერიტორიისადმი მის კუთვნილებას გამოხატავს, როდესაც ფსელით და განავლით ახერხებს ამ სივრცის მონიშვნას, მერე კუდს ააქიცინებს და ასე ცდილობს ძაღლური ერთგულება აჩვენოს პატრონს, გედევანი და ერასტი ძაღლის ქცევას იმეორებენ არა ფსლით, განავლით და კუდის ქიცინით, არამედ უფრო მაღალი არსებისთვის დამახასიათებელი მეტყველების უნარის მეშვეობით. ისინი ძაღლურ კუთვნილებას და ერთგულებას უმტკიცებენ პატრონს. ძაღლურ ერთგულებას იმიტომ ვეძახით ძაღლურს, რომ ადამიანური ერთგულებისგან განვასხვავებთ. დალოცვილის შვილო, უფალმა აზროვნება და ენა იმიტომ მოგცა, რომ ადამიანურად უერთგულო მას, ვინც ამას იმსახურებს. ნეტავი იმის ეშმაკიც გამხადა, ბერიას რაღაში სჭირდება ადამიანების ცხოველური ერთგულება? ვინ-ვინ და, მაგან ხომ მაინც იცის, რომ შინაური ცხოველი კი გიერთგულებს, მაგრამ მოკვდები თუ არა ცხვირს და ყურებს მოგაჭამს.

– რაც შეეხება გედევანს და ერასტის, შვილო?! აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ თუ შენს საცხოვრებელში ძალით შემოსახლებულ მეზობელს ვერ ერევი და სახლიდან ვერ აგდებ, მასთან ჩხუბსა და დავიდარაბაში მუდმივად ყოფნა შენსავე ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებს და მტერზე მეტად გავნებს. ამიტომაც ჯობია, თავს გაუფრთხილდე, წაგებულ ომში არ ჩაება, დროებით მშვიდობიანად იცხოვრო, მისი ყურადღება მოადუ-

ნო, თანდათან გაძლიერდე. ამგვარად გარკვეულ სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებ და სიცოცხლესაც არ გაიმწარებო.

– აღმოსავლეთში კი ამბობენ, მტერი თუ შენზე ძლიერია, მოითმინე, უაზროდ ნუ დახარჯავ მასთან ბრძოლაში დროსა და ენერგიასო, თორემ მტრის სამსახურში ჩადექი და მისი ერთგულებით გადაირჩინე თავიო, არსად უთქვამთ.

– რას გერჩი?! აზროვნებ, კამათობ ესე იგი ებრძვი ნადვინევის გაბრუებას, მაგრამ მთავარი მაინც გამოგრჩა. ერასტის და გედევანის ძირითადი შეცდომა ბერიას მიერ ლორთქიფანიძის და რობაქიძის ერთმანეთში არევის ვიდაც მოხელისთვის გადაბრალება ან ამ საკითხზე მსჯელობისას ბოლშევიკებისთვის ერთგულების მტკიცება კი არ არის, არამედ – ლავრენტი პავლეს ძის მიერ ჩადენილი უსაშინლესი დანაშაულებიდან განხილვის საგნად სწორედ ეს უმნიშვნელო ეპიზოდი რომ აქციეს. აი ამაზე უნდა გაბრაზებულიყავი. ასეა, ჩემო კარგო, კიდევ ერთხელ აღიარე: ღვინის ზედმეტად დალევა მავნებელია გონებისთვის; მთვრალი კაცი სწორად ვერც სამყაროს აღიქვამს და მოვლენებსაც სათანადოდ ვერ აფასებს.

– დედა, ღვინო კი არა, შხამი დავლიე, შხამი. ეგ შენი მწარე შეძახილი კი შხაპია, ცივი შხაპი. მართალი ხარ. მე მგონი, უკვე საბოლოოდ გამოვფხიზლდი და ახლა მთავარ საქმეს დავუბრუნდეთ.

- რა მთავარ საქმეს?

- ისე სწრაფად დაბრუნდი მადაზიიდან, აშკარაა შენი დაპატიმრებული მეგობრების შვილებისთვის პური არ შეგიძენია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხუცი რკინიგზელის ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი კუჭი.

- ჩემი კუჭი რა შუაშია? რა ცეცხლი და ნავთი დალიე გუშინ ასეთი, ისევ არეულად რომ ლაპარაკობ?

- სწორედაც შუაშია. იმ ბალღებს ხომ არ დააკლებ ლუკმას და დღეს ვერნაყიდი პურის ნაცვლად შენი ულუფიდან გამოუყოფ ცოტა ქერხორბალს. მოიცა, როგორ თქვი რკინიგზელზე – მგონი, დაიჭირესო? ეს “მგონი” რას ნიშნავს?

- შენ თუ კვლავ ხუმრობის და ტინგიცობის ხასიათზე ხარ, უმჯობესია, საერთოდ ნუ ვისაუბრებთ. ჩემთვის ამ მოხუცს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ რომ, რაც მისი ამბების გასაიდუმლოება დავიწყე, შენთან ურთიერთობა მიჭირს. როდესაც შვილს რაიმეს უმალავ, მასთან სხვა საკითხებშიც ვერ ხარ გულწრფელი. თანაც ირკვევა, ბოლომდე ვერც ვერაფერი დაგიმალე და ზოგჯერ თურმე კომიკურ სიტუაციაშიც მოვხვედრილვარ. ისე არც შენ გამოგიჩენია გულწრფელობა და საკუთარ დედას უთვალთვალებდი თურმე.

- უკაცრავად! ხარი ხართან რომ დააბა, შენგან მისწავლია, ორი ხარი იქნებაო! რაც – დედა, ის – შვილი! დედა! მამაჩემმა სიცოცხლეში ხომ გაგამწარა თავისი აკვიატებული იდეებით?! დაანებე

ახლა თავი, მოვრჩეთ ამ თემას ერთხელ და სამუდამოდ. შენ ამბობ, ჩვენს შორის შავმა კატამ ვითომ რაღაც საიდუმლოს გამო გაირბინაო. კეთილი და თვალი პატიოსანი. ახლა ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე. მოდი, შევრიგდეთ და მხარდამხარ გავაგრძელოთ სოციალიზმის მშენებლობა.

კარი გაიღო, ოთახში შემოპარტყუნდა მწვანეზოლებიან პიჟამაში ჩაცმული, ფეხშიშველა, ლოყებღაჟღაჟა, გრძელცხვირა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც საოცრად ჰგავდა პროპორციულად გადიდებულ კუდშეკრეჭილ თუთიყუშს და თან შემოაფრქვია გამოურეცხავი ღვინის კასრის და მუნდშტუკის წეკოს ნაზავის არომატი:

- დილა მშვიდობისა, მაგდა დეიდა, როგორ ბრძანდებით? მალაქია ხომ არ გაბრაზებთ? სოციალიზმის მშენებლობას მოვკარი ყური. ჰა, რამე ცუდი არ წამოგცდეთ. ვენაცვალე წითლებს! მაგათ ისეთი ორი კარგი საქმე გააკეთეს?!

- შენ რაღა გაგიკეთეს კარგი, ჩემო ამბაკო, შვილო?

- რას ამბობთ, ქალბატონო მაგდა?! მაგათ დაამკვიდრეს ჩვენში რამი და ჩაი. რასაკვირველია, რამის მოყოლილი ინდური კანაფის პლანტაციების ნაყოფით მე ვერ გავძეხი, რადგან თითო-ოროლა ბუჩქიდა შემორჩა დასავლეთში, ხოლო ჩაი გამამხნევებელი სასმელია. მაგდა დეიდა, ჩვენ გაგვითავდა ეგ მწვანე ოქრო და იქნებ გვასესხოთ ორი მუჭა?

- ამბაკო, არ ვიცი კანაფი რაში გარგია, მაგრამ ამდენი ჩაი, შენ რომ სვამ, გულს არ უხდება, შვილო. ამ დილით ჩავიხედე ტომსიკაში და, სავსე რომ მეგულებოდა, კი დაგიყვანია ძირამდე. მიდი, იცი შენ, სადაც არის და აიღე იმდენი, რომ ცოტა ჩვენც დაგვრჩეს.

ჩაი პიჟამას ჯიბეში ჩაიყარა, გახარებული გავარდა ოთახიდან, კარი მიიხურა და მერე ისევ შემოაღო:

- მაგდა დეიდა, რასაკვირველია, თქვენ პრიმუსზე მოვადუღებ!

- ამბაკო! – ვეღარ მოითმინა მალაქიამ.

- ჰამე?

- რა ჰამე, შე იდიოტო? გრიგორიანულ რჯულზეც ხომ არ გადაგიყვანა არტურამ? ვერ ხედავ, უკვე უცხო კილოზეც ამეტყველდი? ჯერ სადა ხარ, გაგიხმობს ისედაც ფუყე ტვინს ეგ ბოლი და ჩეფირი?! ახლა გამასწარი, თორემ. . .

- ვინც “პახმელია” არ იცის, ის ჩვენი მეგობარი არაა, – ამბაკო უკვე ეზოში ჩარბოდა.

- მამის ანდერძს როგორ ეძახი აკვიატებულ იდეებს? – მიუბრუნდა შვილს მაგდა.

- აბა რაა ეს ნაჯღაბნი, თუ არა ახირება და ბოდვა? – მალაქია სკამიდან აუდგომლად მისწვდა კომოდს, უჯრა გამოსწია და იქიდან ამოღებული

ფურცლის ნაგლეჯი დედას დაუდო მაგიდაზე. – აჰა, შეხედე. შეიძლება, ეს აბდაუბდა, რაც არ უნდა საყვარელი ადამიანის დაწერილი იყოს, ანდერძად ჩათვალო:



- იქნებ შეგეწუხებინა თავი და გაგეშიფრა ციფრები. შვილო, ეგ მამაშენის დაწერილი ბოლო სიტყვებია.

- ხომ იცი, ვცადე. ციფრებით ანბანის დაშიფვრა ცნობილი ხერხია; თერთმეტი წლისას პირადად მასწავლა. მოდი, ერთად ვცადოთ. აჰა, ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობა:

ა-1, ბ-2, გ-3, დ-4, ე-5, ვ-6, ზ-7, თ-8, ი-9, კ-10, ლ-20, მ-300, ნ-40, ო-50, პ-60, ჟ-70, რ-80, ს-90, ტ-100, უ-200, ფ-300, ქ-400, ღ-500, ყ-600, შ-700, ჩ-800, ც-900, ძ-1000, წ-2000, ჭ-3000, ხ-4000, ჯ-5000 და ასე შემდეგ.

“შვილო მალაქია!

მემკვიდრეობით საქართველოს მცველის წოდება გადმოგეცემა. ბრძანებებს მეკავშირეებისგან მიიღებ. უშუალოდ დაცვის ობიექტთან კონტაქტის უფლება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში გეძლევა.

ამჟამად დაცვის ობიექტია: 100 20 10 50 10 3 7 5 30 10 ჯადოსნური სიტყვებია: 100 4 1 ჯ – 88 ”

გამოდის: 100//ტ 20//ლ 10//კ 50//ო 10//კ 3//გ 7//ზ 5//ე 30//მ 10//კ ანუ “ტლკოკგზემკ”; 100//ტ 4//დ 1//ა ჯ//5000 – 88//რთ ანუ “ტ დ ა 5000 – რთ.” ბოლო წინადადება სრულად ასე გამოიყურება: “ამჟამად ჩემი დაცვის ობიექტია ტლკოკგზემკ ჯადოსნური სიტყვებია: ტ დ ა 5000 – რთ.” გამოგაქვს რამე აზრი? ვცადე რუსული და ლათინური ანბანებიც. მაინც მიეთ-მოეთი მივიღე. არაერთხელ მითქვამს, ექიმებმა დამიდასტურეს, რომ თავში სისხლჩაქცევის შემთხვევაში ადამიანებს ან გონება ემღვრევათ, ან წერის დროს ანბანი ეშლებათ, ან კიდევ ორივე ერთად და მსგავსი ჩანაწერები ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც ჩანს, თავიდან გონება დაებინდა და რაღაც ზღაპარი შეთხზა, ბოლო წამს კი ასოები და ციფრებიც აერია. შენ კი აგონიაში მყოფი კაცის ნაცოდვილარში საიდუმლო ანდერძს დაეძებ. მარტივია, დედა, ყველაფერი, ძალიან მარტივი. არავითარი შეფიცულები არ არსებობენ, არც შენი ქმარი ყოფილა რაიმე საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. იგი ჩვეულებრივი ქართველი მოხეტიალე რაინდი იყო და ცნობილი ესპანელი კოლეგისგან მხოლოდ ეროვნებით და ეპოქით განსხვავდებოდა. ეგ იყო და ეგ! მთელი ცხოვრება გამოგონილ სამყაროში გააატარა, გამოგონილი კაცის რო-

ლი ბოლომდე ერთგულად ითამაშა და ახლა მარადიული ქვეყნიდან ცდილობს ჩვენც მისი ოცნებების გზაზე გვატაროს.

- იქნებ ის ომებიც გამოგონილი იყო, რომლებშიც იბრძოდა?! იქნებ არც ის ციხეები არსებობდა, რომლებშიც აწამებდნენ?! იქნებ იგი საერთოდ არ ყოფილა და მხოლოდ ჩემი და შენი ცნობიერების ავადმყოფური ნაყოფია. იქნებ ჩვენს სარდაფში დამარხული გვამი ცვილისაა?! ბარემ მითხარი, რომ გიჟი ვარ და ორივე დავისვენებთ!

- გეწყინა?! მე კი გავბრაზდი. ოცდაათის გავხდი და, მგონი, ერთი დღეც არ მიცხოვრია ჩემი ცხოვრებით. რაც თავი მახსოვს, სულ მამაჩემის რჩევებს ვასრულებდი. ეს შენიღბვის და გარდასახვის ოსტატობაო, ეს საიდუმლო მიმოწერის ხელოვნებაო, ეს ხრიდოლის ილეთებიო, ეს გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული ენების შესწავლაო; ზედ ფორტეპიანო და სიმღერა დაერთო. ალბათ – შენი ინიციატივით, არა?! პროფესიის არჩევის უფლებაც არ მომეცა. გინდა თუ არა ვექილი უნდა გამოხვიდეო და აჰა, ვარ ახლა ადვოკატი იმ ქვეყანაში, სადაც ეს სიტყვაც კი წარსულის გადმონაშთად ითვლება. თანაც დამცველთა კოლეგიის წევრი რომ გავმხდარიყავი, ორი წელიწადი სახალხო გამომძიებლად მამუშავე შინსახკომის მუშურ-გლეხურ მილიციაში. აქაოდა საბოლოო მიზნის მისაღწევად დასაშვებია ზნეობრივი პრინციპების დარღვევაო. გამაგებინე ერთი, მართლა გჯერა, რომ უზნეობით ზნეობრივი საქმეების კეთება შეიძლება? იცი – რა გადავიტანე იმ ორი წლის მანძილზე? რამდენ სი-

ბინძურეზე დავხუჭე თვალი? ადამიანი კი არა მონა ვარ, მონა და ამ მდგომარეობამდე საკუთარი მშობლების სურვილითა და მონდომებით მივედი. ამბობენ, ჯაჭვის სიმტკიცე მისი ყველაზე სუსტი რგოლის გამძლეობით განისაზღვრებაო. ჰოდა, მოდი, ჩვენს ოჯახში ეს სუსტი რგოლი მე ვიქნები, მე გავწყვეტ ჯაჭვს, მე დამბრალდეს ყველაფერი, ოღონდ დასრულდეს ეს დაუსრულებელი ილუზორული ყოფა.

- არ იცი, რა ძნელი იყო, ჩემი ნებასურვილით საბოლოოდ დამეყენებინე მამის გზაზე?! მე ხომ მთელი ცხოვრება ვევედრებოდი უფალს შენთვის აერიდებინა ამ, ფაქტობრივად, ომის ბილიკზე შედგომა. არ იცი, რა ძნელი იყო თითქმის ორი წლის განმავლობაში გულში მეტარებინა საიდუმლოს ის ნაწილი, რომლის გამხელითაც შენ აუცილებლად გახდებოდი მამის ანდერძის ერთგული?! ის კი რა ვიცოდი, თურმე, სადა ბანაობ?! შენთვის სრული სიმართლე რომ მეთქვა, ბევრად უფრო სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ვგრძნობდი, მარტოქალი ვერ შევძლებდი სპირიდონის საქმის გაგრძელებას და სინდისი მქენჯნიდა. ახლა ვხედავ: არ ყოფილა ეგ შენი საქმე და მადლობა ღმერთს – შეუსმენია ჩემი ლოცვები.

- აჰა! ძალიანაც კარგი! შენც გეშველა და მეც.

- კეთილი და, როგორც შენ იტყვი, თვალი პატიოსანი. ახლა ორი ფორმალობაღა დამრჩა შესასრულებელი.

პირველი:

ადრეც მისწავლებია და ახლაც გიმეორებ – თუ ადამიანს დახმარება გჭირდება და არ ითხოვ, ამპარტავნების ცოდვაში ვარდები. ამ შემთხვევაში გაფუჭებული საქმე შენი ფიზიკური უძლურების ბრალი კი არ იქნება, არამედ – სიამაყისა და ქედმაღლობის. ამიტომ, ნახევრადთქმად რომ არ ჩამეთვალოს, ერთხელაც გთხოვ დახმარებას, თანადგომას მამაშენის ანდერძის შესრულებაში და შენგან დაფიქრებულ, არაძალდატანებით პასუხს ველოდები. სხვათა შორის, მრისხანების დათრგუნვასაც გასწავლიდით; ეტყობა, გამოგრჩა დისციპლინების ჩამონათვალში. აბა, გაიხსენე ლეგენდა სოლომონ ბრძენის ბეჭდის შესახებ. ახლა, ბატონო ჩემო, კეთილი ინებე, დაიოკე გრძნობები და საბოლოო პასუხის მოსაფიქრებლად რამდენიმე წუთით მარტო დაგტოვებ. ჰო, მართლა, არ დამავიწყდეს. მამაშენი ასე იყო და შენც მას დაემსგავსე: მშიერ კუჭზე ქოფაკი ძაღლივით იღრინებით, ჭამე რამე, – მაგდა წამოდგა და აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან.

1921 წლის თებერვლის ღამე გაახსენდა. როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მისაღები, ცნობიერებაში ყოველთვის სოდანლუღის დაცვითი ხაზის ამბავი წამოტივტივდება ხოლმე და სირცხვილის ალი სწვავს გულს. ახლაც ასე დაემართა.

ოღონდ დღეს არა, მერე, სხვა დროს, იფიქრებს იმ ღამის კოშმარზე.

რა უცნაური ქალია! აშკარად დიდი ხნის წინ მოფიქრებულს და კარგად დაგეგმილს ჰგავს მისი მოქმედება. საპენსიო ასაკის ხდება. რა იყო მისი განვლილი ცხოვრება? რა ნახა, რისთვის იშრომა და იწვალა? მუსიკოსი ალბათ ოცნებობდა უცხო ქვეყნებში გასტროლებზე; რომის, პარიზის, ბერლინის, ვენის სცენებზე. სინამდვილეში კი მისი ყველაზე შორს მცხოვრები მოწაფე, ვისაც გაკვეთილებს სახლში მისვლით უტარებს, ავლაბრელია.

ძლიერი ოჯახის შექმნა სურდა. ქმართან ბედნიერებით ძალიან ცოტა ხანს ტკბებოდა. ძირითადად განშორებით გამოწვეული ხანგრძლივი სევდა და დროებითი შეხვედრების წამიერი სიხარული აკავშირებდა მეუღლესთან. ყოველივე ამას თან სდევდა მარადიული გაურკვევლობის შიში.

რაც შეეხება შვილს? მისი ბედნიერებისთვის არაფერი დაუშურებია. დაუღალავად ასწავლიდა მუსიკას სხვის შვილებს, რომ თავისისთვის არაფერი დაეკლო და ისე გაენათლებინა, როგორი პირობაც ჰქონდა დადებული სპირიდონთან. თუმცა ხედავს, აშკარად ხედავს, რომ შედეგი მაინცადამაინც სახარბიელო ვერაა.

ანუ პროფესიულმა ოცნებამ და მეუღლემ ნამდვილად, ხოლო შვილმა ჯერჯერობით არ გაუმართლა. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანმიმართული, წელში გამართული, ამაყი და სიცოცხლით სავსეა. რა აძლევს ამ ენერგიას, რისი წვდომის სურვილი? აგერ არტურას დედის ცხოვრების მიზანია ბევრი ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის შე-

გროვება და მიუხედავად გარეგნული სიდუხჭირით არსებობისა, შიგდაშიგ ახერხებს ხოლმე ახალ-ახალი სამკაულების შეძენას და უნდა ნახოთ ერთი, როგორი ბედნიერია მაშინ, როდესაც ახალშენაძენს, მეზობლების დასანახად, ერთი დღით გამოაჩენს ხოლმე?! თან იძახის: ნათესავებმა მათხოვეს, ერთი დღე ატარე, ყისმათიანი ქალი ხარ, დაგვებედებაო. მაგის ხალხს დაპყრობილ ან უცხო ქვეყანაში არსებობის და გაძლების დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს. ამიტომაც აგროვებს იმგვარ ქონებას, რომ, რამე რომ იყოს, უცებ ხელი დასტაცოს და გაიქცეს. ხოლო ახალ ადგილზე ამ დანაზოგით თავიდან დაიწყოს ცხოვრება. ებრაელებიც ხომ ასე არიან. თუმცა სხვა ერის შვილებს რას ვერჩი? ჩვენი ქვეყნისთვის ვერ მოგვივლია, თავი ვერ დაგვიმკვიდრებია და ამიტომაც სხვებს ჩვენს იმედად ყოფნა არ მოეთხოვება. დავდგებით ფეხზე და ისინიც მშვიდად იცხოვრებენ, გასაქცევად ქონების დაგროვებაზე არ იფიქრებენ. ეჰ, ეგ როდის იქნება, ვინ იცის?

ჩვენს ქართველ ქალებს მაინც რაღაც სხვა მიზანი ამოძრავებთ, სხვა იდეალები აქვთ. ისინი ოჯახის ჯარისკაცები არიან, რომლებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან წარმოსახვით ბრძანებებს. ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი, რა თქმა უნდა, სარწმუნოებასაც მიუძღვის. მართლმადიდებელი მამები ქალის დანიშნულებად უპირველესად დედობას თვლიან და სხვისთვის თავგანწირვისკენ მოუწოდებენ. დედობა გასაგებია, მაგრამ ეს სხვისთვის თავგანწირვა რაღაა? თანაც სუსტი არსებისთვის ამგვარი ფუნქციის დაბრალება

მთლად სწორი არ უნდა იყოს?! არადა, ღირსი მამები წარსულში არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ქალს სამყაროს შემძვრელისა და გარდამქმნელის უდიდესი ძალა აქვს მინიჭებული.

ისე ჩეფირით გამოტვინებულ ამბაკოს რომ დაუჯეროს კაცმა, ქალის საქმეა: სამზარეულო, სარეცხი და ლოგინი. არადა, ამას ამტკიცებს კაცი, რომლის ბაბუაც სრულად იყო დამოკიდებული ბებიაზე, ხოლო მამა, ცოლის თანხმობის გარეშე, სახლიდან ფეხს ვერ ადგამს. ამბაკოს ოჯახის მამაკაცი წევრებიდან უფრო საინტერესო მაინც ბაბუაა. ამბაკოს წინაპარი მეუღლის დაკრძალვის მეორე დღესვე ტახტზე წამოწვა და აღარ ამდგარა. თავიდან იფიქრეს ცოლის გარდაცვალება ვერ გადაიტანა, განიცდის და გლოვის ნიშნად არ გამოდის ოთახიდანო, მაგრამ ორმოციც რომ გადაიხადეს, მერე წლისთავიც მიილია და კაცი არ დგებოდა, ჰკითხეს რაშია საქმე, რამე ხომ არ გაწუხებსო?! არაფერიო, - არხეინად უპასუხა. - მთელი ცხოვრება ასეთ ყოფაზე ვოცნებობდი, მაგრამ ცოლი მიშლიდა ხელს, ის არ მაჩერებდა საწოლში. ახლა კი დადგა ნანატრი დრო და, როგორც იქნა, ავისრულე ცხოვრების წადილი. მართლაც, თითქმის ხუთი წელი იცოცხლა მას შემდეგ ამბაკოს ბაბუამ და მთელი ამ ხნის მანძილზე ტახტზე წოლისა და წიგნების კითხვის მეტი არაფერი უკეთებია.

თუ საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა და სომხებმა იციან: ოდესმე, თუნდაც შორეულ მომავალში, მათი რომელიმე შთამომავალი აუცილებლად იცხოვრებს ან ისტორიულ, ან სხვის ტერი-

ტორიაზე მათი უმრავლესობით შექმნილ, ან კიდევ უცხო, მაგრამ მათი ეთნიკური ინტერესების დამცველ ქვეყანაში, ქართველ ქალებს ეს სამშობლო სასწრაფოდ, ახლავე სჭირდებათ თუნდაც იმიტომ, რომ ის აქვეა, აგერაა და მას მხოლოდ დახსნა სჭირდება. ეს ოცნება კი, შესაძლოა, სულ მალე განხორციელდეს და მაშინ კი დაიწყებენ სრულფასოვან არსებობას; აი მაშინ კი მისცემენ თავს უფლებას იცხოვრონ თავისუფლად, როგორც იმ სამყაროში ცხოვრობენ, რომლის ნაწილიც ოდესღაც მათი სახელმწიფოც იყო და რომელსაც ევროპული ცივილიზაცია ჰქვია. დღესდღეობით კი მაგდა ევროპელ ქალებს მხოლოდ ჩაცმულობაში, განათლებასა და კულტურაში ეტოლებოდა. ჩაცმულობას, განათლებას და კულტურას კი თავისუფლების გარეშე სხვა, ბევრად უფრო დაბალი, ფასი აქვს და სურნელიც სხვანაირი ასდის: იქაურს – შანელის, მაგდასას – ლენინგრადის პარფიუმერიული ფაბრიკის.

თუმცა უბედური ადამიანი მაგდას არ ეთქმოდა. რომეო და ჯულიეტას ბედნიერება სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა, მაგრამ მათ სიყვარულს დღემდე შეჰნატრის კაცობრიობა; მაგდა და სპირიდონი წლები შეჰხაროდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, მათი ტრფობის ნაყოფი საღ-სალამათი, განათლებული, ფიზიკურად და სულიერად არცთუ უძლური არსებობს და შანსი აქვს განაგრძოს სიცოცხლე. მხოლოდ ეგაა, ზოგჯერ ეგოიზმით შეპყრობილი ვერც კი ამჩნევს მშობელს, მის მისწრაფებებს, სურვილებს.

დედამ ხომ უკეთ იცის, თუ რაოდენ სახიფათო ცხოვრების წესს სთავაზობს შვილს, მაგრამ ამას მაინც შეგნებულად, სრული პასუხისმგებლობით აკეთებს. სწორედ აქ ვლინდება მაგდას, როგორც სამყაროს გარდამქმნელის ღვთისგან ბოძებული ნიჭი. არა, ძმაო! ძალიან ძლიერი ქალია და ახლა მისი თუნდაც გამოგონილ ბრძოლის ველზე მიტოვება სხვა არაფერია, თუ არა ლაჩრობა. ეს სიტყვა კი ჯიუტად ცდილობს კვლავ 1921 წლის თებერვალში დააბრუნოს. რაც მოხდა – მოხდა, წარსულის შეცვლის შესაძლებლობა ჩვენ არ გვაქვს და არც უშეცდომოდ ცხოვრების ნიჭი მოუცია ღმერთს. სინანული კი ის მშვენიერი გრძნობაა, რომელიც განვითარებასა და სრულყოფაში გვეხმარება. ახლა კი მოვეფეროთ დედას, შევუსრულოთ სურვილები და აუცილებლად სიკეთით მოგვეგება. გიყვარდეს მშობელი შენიო, ბრძანებს უფალი და იქვე დასძენს: რათა კეთილი გეყოს ისევ შენაო. ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვს ასეთს?!

– დედა, შემოდი, შენმა აჯობა, სულ მე ვიჩაგრები. რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! – კვლავ ირონიულ ტონს დაუბრუნდა მალაქია. სიყმაწვილის ასაკიდან რატომღაც ეს პოზა დაიჩემა მშობლებთან ურთიერთობაში და ამ მდგომარეობაში უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს. ირონია ეხმარებოდა გარკვეული დისტანცია შეენარჩუნებინა და ამგვარად დაეცვა თავისი შინაგანი სამყარო.

- არაფერი გიჭამია. ასე არ გამოვა. ლუკმა გატეხე.

- ლუკმის რა მოგახსენო, მაგრამ მე კი გავ-ტყდი. ყოველთვის მერევი. ერთი სული მაქვს, რო-დის გამიმხელ, მეორე ფორმალობა რაღაა? თუმცა ჩემს დასამარცხებლად პირველიც საკმარისი აღ-მოჩნდა.

- მეორე ფორმალობა მამაშენის მიერ სიკვ-დილის წინ სრულიად მკაფიოდ წარმოთქმული სი-ტყვებია, – მაგდამ სპირიდონის ხმა დაიყენა და მე-ტი დამაჯერებლობისთვის მისი ნათქვამის სრული იმიტაცია შესძლო. – “ახლოს არ გაეკაროთ, შორი-დან უპატრონეთ, დავალებას მისგან მიიღებთ. ავქ-სენტი ივანე მაჩაბელია. . .”

მამის ხმის გაგონებამ და მოსმენილის ში-ნაარსმა მალაქიას სისხლი გაუყინა. გაოგნებულს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ეს სიტყვები პირველად არ ესმის და ამ სიტუაციაში წარსულ-შიც არაერთხელ ყოფილა.

- ვინ ივანე მაჩაბელი, დედა!

- სწორედ ის!

- ეგ ხომ დიდი ხნის წინ მოკვდა, დედა!

მაგდა აუღელვებლად მიუახლოვდა კომოდს, გამოსწია ქვედა უჯრა და ძველი საქაღალდე ამოი-ღო.

- აჰა, შენ ამონაწერი 1898 წლის “ცნობის ფურცლიდან”:

“თ .ივ. მაჩაბელი გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე გამოვიდა თავის სახლიდან და არსად აღარ ჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმონე, საათი და ოქროს ღილები პერანგისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუწყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ. ლაპარაკობენ, რომ ვითომ ზოგიერთ ნაცნობებს ენახოთ თავ. მაჩაბელი 9 საათზე დილით სახაზინო თეატრთან და 10 საათზე ფრეილინის ქუჩაზე, მაგრამ ნამდვილი არავინ იცის. ამ უკანასკნელ დროს თ. მაჩაბელი ძალიან კარგად გრძნობდა თავს, ავადმყოფობა სრულებით აღარ აწუხებდა. პირველ ივლისს იგი უნდა გამგზავრებულიყო ოჯახობით აბასთუმანს. შინაობაში სრულებით არავითარი საწყენი არა შეხვედრია რა. მხიარულად იყო, წინა დამეს თ. აკაკი წერეთელი იყო იმასთან სტუმრად, ერთად უვახშმიათ და სრულებით არავითარი შეწუხება არ ეტყობოდა სახეზეო. გორის სინდიკატის საქმეს მხნედ მოეკიდა და მუშაობდაო. ყოველთათვის სრულიად გაუგებარია, თუ რამ აიძულა თავ. მაჩაბელი ასე დაიმალოს სადმე და თავის მოსიყვარულე ოჯახობას მცირედიც არის ცნობა არ დაუგდოს, თუ სად წავიდა. ეძებენ ყოველგან და როგორც კი რასმეს შევიტყობთ, ჩვენც ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს”.

- აი სხვა ცნობა “კვალიდან”:

“ეს ათი დღეა ივანე მაჩაბელი დაიკარგა. პოლიცია, ნათესავები და მეგობრები დაეძებენ, მა-

გრამ დღემდის მისი კვალიც ვერ აღმოაჩინეს. უეჭ-ველია, აქ რაღაც დიდი საიდუმლოება უნდა იყოს და, როგორც ჩანს, ამის გამოაშკარავება დიდ დროს მოითხოვს”.

- ეს კიდევ ივანე მაჩაბლის პორტრეტებია, ნახე როგორ ჰგავს ჩვენს მოხუცს! – მაგდამ მაგიდაზე ორი ფოტო დადო.





- აბა ერთი, წვრილად მომიყევი, ვინ გიამბო ავქსენტის და ჩეკისტების ამბავი.

- მარგომ, ჩემმა ყოფილმა მოწაფემ მითხრა: ღამის ოთხის ნახევრისთვის მოვიდნენ და ავქსენტი წაიყვანესო; მერე რამდენიმე წუთში თითქოს უკან მობრუნდა და ოთხ საათზე სახლიდან გავიდაო. ფაქტია, რომ პურის რიგში არ გამოჩნდა და სახლშიც არ არის.

- აჰა, ოთხ საათზე გავიდა და მას შემდეგ არ გამოჩენილაო? ასე არ წერია "ცნობის ფურცელშიც": "დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე გამოვიდა თავის სახლიდან და არსად აღარ ჩანს." მაგიჟებ, დედაჩემო?! მოიცა, დღეს რა რიცხვია?

- 13 ივლისია! . . რაღაც ცუდად იჯღანები. ისევ გაუტიე არა?!

- არა, რას ამბობ?! კიდევ კარგი 26 ივნისი არაა – 1898 წელს ივანე მაჩაბლის დაკარგვის დღე, თორემ ჩემი ფეხით წავიდოდი ფსიქიატრთან. მოიცა 26 ივნისი ძველი სტილით იყო. ახლით იქნება . . . არა, 13 ივლისი არა, . . . 8 ივლისი. 26 ივნისი ახალი სტილით 8 ივლისია. აგაშენა ღმერთმა! მისტიკა არ გაგრძელდა. ხუმრობა იქით იყოს. ჟურნალ-გაზეთებიდან ამოწერილი მონაცემებით, ივანე მაჩაბელი 1898 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა და იმ დროისთვის იყო სრულიად ჯანმრთელი. რამდენი წლის იქნებოდა იმჟამად?

- დაიბადა 1854 წელს ანუ 44 წლის გახლდათ. დღეს 83 წლის გამოდის. ასაკით ავქსენტის ესადაგება.

- ნუ ვიჩქარებთ. ჯერ საეჭვო კითხვებს ვუპასუხოთ. თუ 44 წლის ივანე მაჩაბელი "ცნობის ფურცელის" თანახმად "ძალიან კარგად გრძნობდა თავს", აბასთუმანში რატომ აპირებდა გამგზავრებას? იქ ხომ ფილტვებით მძიმედ დაავადებულებს მკურნალობდნენ.

- ვიცი საითკენაც მიდიხარ. უფრო მეტს გეტყვი. ივანე მაჩაბელს ფილტვების ძალიან მძიმე ავადმყოფობა აწუხებდა და გაუჩინარებამდე სერიოზული ოპერაცია გადაიტანა, რის შედეგადაც რამდენიმე ნეკნი ამოკვეთეს; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს დაავადება მაშინ ძნელად განკურნებადად ითვლებოდა, იმათ ბანაკში აღმოვჩნდებით, ვინც უკურნებელი სენით შეპყრობილი მაჩაბლის თვითმკვლელობის ვერსიას უჭერდა მხარს და დიდი მონდომებით ამაოდ დაეძებდა მის გვამს მტკვარში. ამ შემთხვევაში კი ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ მძიმე ავადმყოფმა კიდევ თითქმის ორმოცი წელი იცოცხლა და დღესაც მხნედ გახლავს. ერთი სიტყვით, ეს გარემოება ჩვენს სასარგებლოდ არ მეტყველებს, მაგრამ ნურც კატეგორიულები ვიქნებით. ბუნებაში ყველაფერი ხდება.

- ვნახოთ, ვნახოთ. დინჯად, ემოციების გარეშე მივყვეთ საქმეს. ახლა რაც შეეხება ორმოცი და მეტი წლის წინ გადაღებულ პორტრეტებს. მე ამ ქალაქში მოგიძებნი რამდენიმე ათეულ ოთხმოცს გადაცილებულ კაცს, რომელთა მიმსგავსება ივანე

მაჩაბლის ახალგაზრდობის ფოტოებისთვის მაინცადამაინც არ გამიჭირდება.

- აბსოლუტურ მსგავსებაზე ვერც მე დავდებ თავს, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ფოტოებზე ივანე მაჩაბლის სახის გარკვეული ნაწილი შენიღბულია ანუ წვერითაა დაფარული; ორმოცწლიანი ასაკობრივი სხვაობაც მნიშვნელოვანია. ისიც გავითვალისწინოთ, რომ იმჟამინდელი ფოტოგრაფები რეტუშსაც ბარაქიანად იყენებდნენ. თუმცა თვალები, შუბლი, ცხვირი ნამდვილად უგავთ.

- ახლა მეც უნდა გამოგიტყდე. რაც შეგამჩნიე, რომ მოხუცი გაინტერესებდა, მასზე რაღაც ცნობები შევკრიბე. 1905 წლის 23 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე დემონსტრაციის მოწყობის ბრალდებით დააპატიმრეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ორმოცზე მეტი მუშა, მათ შორის ყოფილა ჩვენი ავქსენტიც. ეს გახლავთ მისი პირველი და უკანასკნელი აქტივობა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში. მერე გადასახლებულა კავკასიონს იქით. აი იქ კი უღვაწია ჯერ რევოლუციის გასამარჯვებლად, მერე საბჭოთა ქვეყნის რკინიგზის აყვავებისთვის. იმასაც ამბობენ, რევოლუციის ალმოდებულ პეტროგრადში ვალოდია ლენინის ჩამომყვან მატარებელს მართავდაო; მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მთლად მართალი. იმ მატარებელზე იმდენი ლეგენდა მსმენია, რომ მხოლოდ ნაწილსაც თუ დავიჯერებთ, მემანქანეები სულ ცოტა ასი კაცი მაინც ყოფილან. ამდენი კი იმ დაწყევლილ მატარებელში არათუ მემანქანე და ნახ-

შირის შემყრელი, არამედ მგზავრიც კი არ იქნებო-
და.

ოთხმოცი წლის ღვაწლმოსილ ვეტერანს სამ-
შობლო მონატრებია და ციმბირის რკინიგზის
უფროსისთვის უთხოვია თანადგომა. იმ დალოცვი-
ლის შვილს კი არ დაზარებია და ამიერკავკასიის
რკინიგზის უფროსისთვის წერილი მოუწერია: გეხ-
ვეწებით, გაითვალისწინეთ თქვენი მხარის კაცის
დიდი დამსახურება სოციალისტური სამშობლოს
წინაშე და უზრუნველყავით მისი ღირსეული საპენ-
სიო არსებობა თბილისშიო. ამ უკანასკნელმაც შეა-
სრულა კოლეგის თხოვნა. ეგ არის და ეგ. დაუფას-
და ავქსენტის წითლების სამსახური. საცხოვრებ-
ლად გამოუყვეს ხუთი მთელი, ხუთი მეათედი კვა-
დრატული მეტრი: ჯერ ეს იკმარე და მერე მეტრი
ორზეც ჩვენზე იყოსო. ამ ბიოგრაფიული მონაცემე-
ბის კაცი კი ძნელი დასაჯერებელია, წარსულში
შექსპირის ცნობილი მთარგმნელი იყოს.

- ამ ბიოგრაფიის კი ბატონო, მაგრამ ამ ბიო-
გრაფიას ამოფარებული კაცი შესაძლოა ივანე მაჩა-
ბელია. აბა დააკვირდი: ჩვენი რევოლუციონერი სა-
ქართველოდან 1905 წელს გადასახლდა და ოც-
დაათი წლის შემდეგ დაბრუნდა, როდესაც მისი
გამკითხავი და მცნობი აქ ცოტა თუ შეიძლება
ვინმე იყოს. თანაც მისი წარსული ცხოვრება და
ასაკი საბჭოთა ეპოქაში უსაფრთხოების არცთუ უმ-
ნიშვნელო გარანტიებს იძლევა. ჰოდა, აიღე ასეთი
კაცის საბუთები, ჩამოდი თბილისში და იცხოვრე
მშვიდად. ოთხმოცი წლის ბებერი პროლეტარები აქ
არავის ყურადღებას მიიპყრობენ. მე მგონია, არ უნ-
და იყოს ურიგო ლეგენდა.

- აბა რა გითხრა?! ჯერჯერობით შენს სასარგებლოდ მხოლოდ – როგორ თქვი? – თვალები, შუბლი, ცხვირი მეტყველებს. კიდევ ერთი რამ, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს: გაზეთ "კვალს", რომელიც ანტიილიური განწყობით, თანაც სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით გამოირჩეოდა, თითქოს ეჭვი ჰქონდა, რომ ივანე მაჩაბელი შესაძლოა ცოცხალია და მონდომებით ცდილობდა ამ აზრის გავრცელებას. ამ თვალსაზრისით, დასაზუსტებელია, რას წერდნენ სხვა ჟურნალ-გაზეთები, თუნდაც ილია ჭავჭავაძის "ივერია" და ძმანი მისნი. მენდე, ვიცი რაც უნდა გავაკეთო. ყველაფერს მივხედავ და შეძლებისდაგვარად ანგარიშს პირადად ჩაგაბარებ. ახლა მხოლოდ ჩემი ჯადოსნური საკვოიაჟი მჭირდება.

- ილია ჭავჭავაძის "ივერია" ძირითადად დუმდა. მისი თანამშრომლები იხსენებდნენ, რომ თავად ილიას დანა პირს არ უხსნიდა, ძალიან განიცდიდა ივანეს გაუჩინარებას და მასთან ამ თემაზე საუბარს ვერავინ ბედავდა.

თავი მესამე

სტალინი პაპიროსის მოწევას თავს არ ანებებს

თვალებზე ქუდჩამოფხატული, სამხედროფორმიანი, აპრეხილულვაშიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხელში ჭრელი საკვოიაჟი ეჭირა, ფრთხილად შევიდა სადარბაზოში, სადაც შავი და თეთრი ფერის კერამიკული ფილებით მოპირკეთებულ გაცვეთილ-დაბზარულ იატაკს ამშვენებდა ფრანგი მშენებლების საფირმო ნიშანი “SALVE”. მეორე სართულზე, მარცხნივ შეუხვია თუ არა, აღმოჩნდა დერეფანში. აქ კომუნალური ბინის სამზარეულოდან გამოსული, საცვლების გამოსახარშად მოთუხთუხე

ქვაბიდან ამოფრქვეული, ძალიან დაბალი ხარისხის საპნის სურნელი გაბატონებულიყო. მარჯვნივ შავი კოლენკორით დაფარული ხუთი კარი მოჩანდა. მალაქიამ შეამჩნია, რომ ამათგან პირველი დანარჩენებისგან ზომითაც განსხვავდებოდა და თან მის ჩარჩოს გაჯის შეუღებავი ფენა ფარავდა; მიუახლოვდა; საერთო სამზარეულოს სიღრმიდან ტუალეტის ჩარეცხვის ხმა მოისმა. ცუდი გრძნობა დაეუფლა, ახლა ვინმეს დანახვა არ ესიამოვნებოდა; გაიხედ-გამოიხედა, ფრთხილად მიაწვა კარებს, რომელიც ბოლომდე მოხურულიც კი არ იყო და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე პაწაწუნა ოთახში აღმოჩნდა. რკინის საწოლის ერთ თავზე ლეიბი და ბალიში, ხოლო მეორეზე საბანი ეკიდა. მარჯვნივ კედელში ჩარჭობილი სამივე ლურსმანი ცარიელი იყო, მათ ქვეშ იატაკზე პირსახოცი ეგდო. ფანჯრის რაფაზე მაწვნის გაურეცხავი ქილა იდგა. მარცხენა კედელზე ჩამოკიდებულ ფოტოზე სტალინს ჩიბუხი ხელში ეჭირა, ხოლო სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მიხვდებოდით: “ჰერცოგოვინა ფლორას” ნაფაზი ეს-ესაა დაერტყა.

მალაქია საწოლთან მდგარ მაგიდას მიუახლოვდა და თითი დაუსვა. წარმოიდგინა ოთახში არსებული ყველა დანარჩენი ნივთი როგორ დაახვავეს აქ დაფენილ გადასაფარებელზე, გამოკვანძეს ბოხჩად, მოიკიდეს ზურგზე და თან წაიღეს. იატაკზე რაღაც ნაგლეჯები ეყარა. დაიხარა, აკრიფა. ორგან მუყაოზე დაკრულ შინდისფერ ქაღალდზე ვერცხლისფერი ნაბეჭდი ასოები გაარჩია: ერთზე “FIGARO” _

მეორეზე “EXTRA FINE” –

ეს იყო და ეს მალაქიას ნადავლი. შესაძლოა, ნაკუწები წიგნის ყდისა იყოს. ვთქვათ, “FIGARO” ბომარშეს რომელიმე “ფიგაროა”, ხოლო “EXTRA FINE” ინგლისურიდან თარგმანში “განსაკუთრებით კარგ” ვთქვათ გამოცემას მიანიშნებს. აბა წიგნის გარეკანზე ამაზე ლოგიკური სხვა რა შეიძლება იგულისხმოს კაცმა: “. . . ფიგაროს განსაკუთრებით კარგი გამოცემა”. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ძალიან გინდა დაიჯერო, რომ წიგნიერი კაცის ოთახში იმყოფები და მუყაოები სხვა არაფერია, თუ არა ყდის ნახევები. თუმცა რაღა ფრანგული ნაწარმოების ინგლისურად თარგმანი უნდა ჰქონოდა კაცს, რომელმაც ფრანგულიც შესანიშნავად იცოდა და გამორჩეული იყო სწორედ დედნიდან გენიალური თარგმანებით?! ან კიდევ, ვის ეცალა წუხელ აქ მაინცადამაინც წიგნის ყდის დასახევად?! ოთახის დათვალიერებამ მხოლოდ ერთი რამ დაადასტურა: მოხუცი ნამდვილად წასულია ამ ბინიდან ან ფაცი-

ფუცით, თავისი ნება-სურვილით, ან კიდევ ჩეკისტებმა წაიყვანეს და მისი ავლა-დიდებაც გააყოლეს ხელს.

ახლა საჭიროა აქედან ასევე შეუმჩნევლად გასვლა. კარის მოხურვისას თვალი შეავლო სტალინის პორტრეტს, რომელსაც იმავე წამს სარკმლიდან შემოჭრილი მზის მტვრიანი სხივი მოხვდა და მალაქიას მოეჩვენა თითქოს ბელადმა თვალი ჩაუკრა, პირიდან თამბაქოს ბოლი გამოაფრქვია, მარჯვენა ხელის ცერა თითი ცხვირზე მიიდო, თანმიმდევრულად: საჩვენებელი თითი, შუათითი, არათითი – ჩაკეცა, ნეკი მოუშვირა და ნიშნის მოგებით გაუღიმა.

ფეხაკრეფით გაემართა კიბისკენ. ზურგს უკან ვიღაცის მზერა იგრძნო, მოიხედა – არავინ ჩანდა. გასაგებია, აქაურები წუხანდელი ღამის შემდეგ მასზე არანაკლებ ერიდებოდნენ უცხო კაცთან შეხვედრას და ცნობისმოყვარეობას სმენითი ორგანოებით იკმაყოფილებდნენ. ახლა ამ დერეფანში კარებზე რამდენიმე ადამიანს ყური მიედო და ერთი სული ჰქონდა, როდის შესძლებდა უკვე სადარბაზოდან გასული დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვას. მალაქია კი, ნაცვლად იმისა, ამ ხალხის მოლოდინი გაემართლებინა, მეოთხე სართულზე ავიდა, დერეფნის ბოლოში კედლის პატარა კიბით სხვენში აძვრა, ულვაშები მოიშორა, გრიმი მოიწმინდა, სამხედრო ფორმა გაიხადა, თავის ყავისფერი შარვალი და შავი პერანგი ჩაიცვა, თეთრი ჰალსტუხი გაიკეთა. სხვენიდან გვერდით მდებარე სახლის სახურავზე გადავიდა, სამერცხულში შეძვრა, სადარბა-

ზოში ჩავიდა და სანამ ფანჯრებში თავგამოყოფილი მოხუცი რკინიგზელის მეზობლები ამაოდ ელოდნენ მის ძნელაძის ქუჩაზე გამოჩენას, უკვე რუსთაველის პროსპექტზე მისეირნობდა.

შემდეგი ვიზიტი შინსახკომის მილიციის მეორე განყოფილების უფროსთან ჰქონდა. ახლა პოლიკარპესთან შეხვედრას სიკვდილი ერჩივნა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების საბჭოთა საქართველოში დამცველად ვერ იმუშავებდი თუ გამომძიებლად მოღვაწეობის ორწლიანი სტაჟი არ გექნებოდა. დედა კი მამის დაჟინებულ თხოვნას იმიზეზებდა და მალაქიას ადვოკატის წოდების მოსაპოვებლად ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვისკენ უბიძგებდა. მუშურ-გლეხური მილიციის სახალხო გამომძიებელმა მალაქიამ მაშინ გაიცნო პოლიკარპე. ეს იყო საოცრად წუწკი ახალგაზრდა კაცი, რომელიც კომკავშირული საგზურით მოვიდა შინსახკომში სამუშაოდ. ძალიან უყვარდა ფული და მის საშოვნელად ყველაფერზე აწერდა ხელს. დაწიოკებული ჰყავდა გარეთუბნის თერძები, დალაქები, მლესავები, სანტექნიკოსები, ნალბანდები, მესაათეები, ფოტოგრაფები და ჩუმჩუმად სძალავდა მათ კაპიკებს. 1936 წლის 27 მარტის ბრძანების შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ამ კატეგორიის ოსტატების საქმიანობის ნახევრადლეგალიზაცია მოხდა, შემოსავლის ეს წყარო დაეხშო. ამას წინათ დამცველთა კოლეგიაში შეკრებაზე ვიღაც ამბობდა, პოლიკარპემ მთელ ქალაქში მსუბუქი დანაშაულის საქმეებზე ახალდაკავებულთა მისა-

მართების დამცველებისთვის მიყიდვა დაიწყოო. ამ ბოლო დროს გაუჭირდათ დამცველებს კლიენტების მოზიდვა და თვითონ აკითხავდნენ დაპატიმრებულთა ოჯახებს, იქნებ ვინმემ საქმე მოგვცესო. დრო იყო ასეთი: გაჩნდა სიტყვა "დეფიციტი". ადამიანები პროდუქტებს და საყოფაცხოვრებო ნივთებს კი არ ყიდულობდნენ, არამედ – "შოულობდნენ". ამ დღეში იყვნენ დამცველთა კოლეგიის წევრებიც; დეფიციტის პირობებში ისინიც იძულებული გახდნენ კლიენტები "ეშოვათ" და ამ მიზნის მისაღწევად მცირედი ქრთამის გაცემასაც არ თაკილობდნენ. მალაქიას იმედი ჰქონდა, რომ მილიციის რაიონული განყოფილების უფროსს ქალაქის მასშტაბით გუშინდელი კრიმინალური ამბების კრებსი, როგორც წესი, თერთმეტი საათისთვის უკვე მაგიდაზე ექნებოდა და შესძლებდა მის ნახვას.

განსაკუთრებით მწარედ დაამახსოვრდა პოლიკარპესთან დაკავშირებული პირველი ისტორია. მაშინ ამ ვაუბატონმა დაიჩემა განყოფილებაში საჭადრაკო ბლიც-ტურნირი უნდა ჩავატაროთო. ალბათ კომკავშირულ აქტიურობად ჩაუთვლიდნენ ამგვარი ღონისძიების მოწყობას. მოიტანა დაფები და, რაც ყველაზე საინტერესოა, საჭადრაკო საათებიც იშოვა. დარბაზი მოაწყო, შეჯიბრების გრაფიკი შეადგინა, თითოეულ მოთამაშეს ათწუთიანი სათამაშო ლიმიტი დაუწესა და ტურნირიც გაჩაღდა. მალაქიამ პოლიკარპესთან შეხვედრაში რამდენიმესვლიანი კომბინაცია ჩაატარა და მოწინააღმდეგის მეფეს ქიში გამოუცხადა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, პოლიკარპე, ერთადერთი იძულებითი საპასუხო სვლის შემდეგ, აუცილებლად დაშამათდებოდა. რო-

გორც წესი, ამ დროს პატარა ჯიუტი ბავშვიც კი არ აგრძელებს თამაშს. მალაქია სკამიდან წამოდგა, რათა მოლოცვა მიეღო, მაგრამ შეცდა: პოლიკარპემ თავი ხელებში ჩარგო და ღრმად ჩაფიქრდა. მალაქიამ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი ჭადრაკის დაფაზე შექმნილ სიტუაციას და დარწმუნდა, რომ მოწინააღმდეგეს ერთ სვლაში ნამდვილად წაგებული ჰქონდა პარტია. პოლიკარპე კი მტკიცედ იჯდა და ფიქრს განაგრძობდა. მალაქიამ საჭადრაკო საათს შეხედა. უცილობელი გამარჯვების სიხარულით ყურადღებამოდუნებულს, თავისი სვლის მერე, ღილაკზე თითის დაჭერა დავიწყებია და პოლიკარპეც მუხლების კანკალით ელოდებოდა დარჩენილი ოთხი წუთის შემდეგ მალაქიას საათის ისრის ჩამოვარდნას, რათა წესებით მოგება ჩათვლოდა. მალაქიამ გადაწყვიტა დაესაჯა მოწინააღმდეგე; კიდევ ორი წუთი ეცლია მისთვის ნერვიულობა და შემდეგ მშვიდად გადაერთო საათი. მაგიდიდან ადგა, ოთახში გაისეირნა, ასოცამდე დათვალა და ის იყო ღილაკისკენ წაიღო თითი, რომ პოლიკარპე წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შესძახა: მოვიგე-ე-ე! დაბნეულმა მალაქიამ საათს დახედა. ალამი მართლა ჩამოვარდნილიყო. წაგება ჩაუთვალეს. პოლიკარპე კი ამგვარ გამარჯვებასაც ზეიმობდა. კაცია და გუნება! თუმცა ეს ისტორია ამით არ დამთავრებულა.

ერთი კვირის მერე განყოფილებაში იღლიაში საათამოჩრილი საჭადრაკო კლუბის დირექტორი მოვარდა აქოშინებული და შველას ითხოვდა. შემჭამეს მოჭადრაკეებმა, იქნებ მითხრათ, რომელ ხელოსანს გამოაცვლევინეთ ზამბარა, რის შედეგადაც

ეს საათი ორჯერ უფრო სწრაფ დროს აჩვენებსო . . . აი მაშინ კი გაიხსენეს თანამშრომლებმა, რა ცაიტნოტში უწევდათ პოლიკარპესთან თამაში, ხოლო მალაქია მიხვდა, რატომ გავიდა ასოც დათვლაში ოთხი წუთი.

ამგვარი თაღლითური ნიჭით გამოირჩეოდა მუდამ ბოლშევიკური პარტიის საქმის ერთგულებაზე მოლაპარაკე პოლიკარპე, რომელსაც, ახალი დროებისთვის შესაფერისი ამ თვისებების გამო, კარიერაში წინსვლას უწინასწარმეტყველებდნენ. წარმატება ოდნავ გვიან და უცნაურად, მაგრამ მაინც მოვიდა. ახალგაზრდა, ენერგიული, ჯან-ღონით სავსე კაცი სამოცს მიღწეულ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მბეჭდავ-მემანქანეთა უფროსს როზას მოეწონა და საყვარლადაც გაიხადა. როზას მბეჭდავ-მემანქანეთა უფროსს კი უწოდებდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი სინამდვილეში ჩეკას ცენტრალური აპარატის საიდუმლო მეხუთე განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მათი ხმაურიანი სასიყვარულო შეხვედრების დაწყებიდან ორიოდე თვეში რიგითმა პოლიკარპემ მილიციის მეორე განყოფილების იმჟამინდელი უფროსი მავნებლურ საქმიანობაში ამხილა და ჯილდოდ მისი თანამდებობაც მიიღო. მაშინ ბევრს ეგონა, რომ ამგვარი, პარტიულ კუთვნილებასა და სასიყვარულო ისტორიებზე დაფუძნებული, კარიერული დაწინაურებები მხოლოდ ბოლშევიკების მიერ შექმნილ სისტემაში იყო შესაძლებელი და, რა თქმა უნდა, სხვაგვარი მმართველობის პირობებში მსგავსი რამ აზრადაც არავის მოუვიდოდა.

ამ ფიქრებში გართული მალაქია ოპერას გასცდა, თეატრალურ ქუჩაზე სახლში შეირბინა, საკვოიაჟი დატოვა, ხელ-პირი დღეს უკვე მეორედ დაიბანა, რათა გრიმის ნარჩენები მოეშორებინა და კვლავ ძნელაძეზე, ამჟამად, შინსახკომის მეორე განყოფილებას მიადგა.

- შენ შემოგევლე და დაგენაცვლე, ჩემო მალაქია, სადა ხარ, კაცო, რად დაგვეკარგე? ასე უნდა ძველი თანამშრომლების დავიწყება? მოდი, კარგო კაცო, ახლოს მოდი, გულში ჩაგიკრა, ხომ იცი ძმისშვილებში არ გამომერჩევი, დედის სული ნუ წამიწყდება, – აქოთქოთდა და ავიშვიშდა მეორე განყოფილების მარადიული მნე იცხაკა.

ეს ადამიანი აქ იმ დროიდან მუშაობდა, როდესაც ამ ქუჩას ჯერ კიდევ "ბარიატინსკაიას" ეძახდნენ, მერე, როგორც იქნა, ახალი დასახელება "საპიორნაია" აითვისა ხალხმა; ამის შემდეგ მენშევიკებმა მესანგრეთა ქუჩის დამკვიდრება სცადეს, მაგრამ მალევე მოსულმა წითლებმა ძნელაძედ მონათლეს. ქუჩის დასახელება იცვლებოდა, განყოფილებასაც ხან ჟანდარმერია ერქვა, ხან პოლიცია, ხან მილიცია, ხან "□□□□", ხან ჩეკა, ხანაც შინსახკომი, ხალხში კიდევ ვინ იცის, რას არ ეძახდნენ. იცხაკა კი ყოველთვის მნის თანამდებობაზე მუშაობდა და მისი მწყენინებელი ან მისგან ნაწყენი ადამიანი აქ არავის უნახავს.

- როგორ გიკითხოთ, ძია იცხაკ? ოჯახში როგორ ხართ? მეუღლე როგორაა, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები?

- შენი ლამაზი დედიკო, ხომ კარგად არის? ამ დილით ისე ჩაიარა, ჩვენსკენ არც გამოუხედავს, რაღაცაზე იყო ღრმად ჩაფიქრებული. აბრაზებ არა? მგონი, ცოლის მოყვანას აგვიანებ, იმას კიდევ სწყინს. ასე ვართ მშობლები! – წესად ჰქონდა იცხაკას, რაც არ უნდა გეკითხა, პასუხის ნაცვლად კითხვების კორიანტელს დააყენებდა. – ალბათ საქმე გაქვს, შენ ისე არ შემოივლიდი. სამსახურში ხომ ყველაფერი კარგადაა?

- არა უშავს რა, ვწვალობთ. ვიფიქრე, დიდი ხანია, ბიჭები არ მინახავს, მივალ, დავხედავ, გავიგებ: რა უჭირთ, რა ულხინთ?! ძია იცხაკ, მართალია, შინსახკომმა გეგმის შესასრულებლად უკვე მოხუცების დაჭერა დაიწყოო? აბა მოგიწევს ახლა მათთვის რადიკულიტის და წნევის წამლების შოვნა.

- ამ ბოლო დროს უძილობამ შემაწუხა, განათლებული კაცი ხარ, რამე საშუალება ხომ არ იცი? ნეტავი მართალია, წელს ხორბლის კარგი მოსავალი გვექნებაო? იმ დღეს გლეხები ამბობდნენ, ქიზიყში ისეთი პური მოვიდა, მარცვალი სად დააბინაონ, არ იციანო. აგერ, ჩვენს წინ, მესანგრეთა ყაზარმებში იმდენი ადგილია, მოიტანონ. იმათი "ზავხოზი" "ზახარ მაისეიჩი" ჩემი ძმაკაცია. ქალაქი სოფელს უნდა დაეხმაროსო, ხოდა, აქ არა ვართ?

- ჭკვიანი კაცი ხარ, ოთხმოცი წლის პატიმრების ყოლას ხორბლის მოვლა გირჩევნია, – კვლავ სცადა როგორმე ავქსენტიზე წამოეცდევინებინა რამე, თუმცა ძალიან ცოტა შანსი იყო, მოხ-

უცი რკინიგზელის დაპატიმრებასთან შინსახკომის მილიციის რაიონულ განყოფილებას რაიმე კავშირი ჰქონოდა. ღამის დაკავებები ძირითადად სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს კომპეტენციაში შედიოდა.

- ერთი ეს მითხარი. სოციალიზმი რომ უკვე ავაშენეთ, ესე იგი, პური ბევრი გვექნება და რიგებიც აღარ იქნება?! შემდეგ წელს უკვე ხორციც ადვილი საშოვნელი გახდება, იმის იქით – რძე და ყველი, მერე – ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ნავთი და ასანთი და, რაღა დარჩა?! გამოდის რომ, დაიცა, დავითვალო: ხორცი – ერთი, რძე – ორი, ტანსაცმელი – სამი, ნავთი – ოთხი ანუ ჰა-ჰა მაქსიმუმ ხუთ წელიწადში აშენდება კომუნიზმი, გავალ პენსიაზე, წამოვწვები მხარ-თეძოზე და დაველოდები მიქელას?!

- ხუთი წელი რა ამბავია?! საიდუმლოდ გეტყვი, პოლიკარპეს უფროსობისთვის უთხოვია, სამოცი წლის ზემოთ ვინც არის, პენსიაზე უნდა გავუშვაო და აჰა, გაიხარე! შეიძლება, წუთი-წუთზე მოვიდეს ნანატრი თავისუფლება!

- რაო? სამოცი წელი რაღაა? აგერ "ზახარ მაისეიჩი" ოთხმოცდაათის ხდება და მუშაობს. მაგ შენმა პოლიკარპემ ჯობია, თავის ბებერ ბოზს მიხედოს და ის გაუშვას დამსახურებულ პენსიაზე. მთელი ღამე აქ ეგდო, დილამდე აიკლეს აქაურობა, როგორ კვნესის და კივის რომ იცოდე?! გაგონილა კაცო! რას ჰქვია სამოცი წელი?!

- წუხელ რომ მოხუცი მოიყვანეს ის რამდენი წლისაა, თუ იცი?

- რა მოხუცი, რის მოხუცი, გუშინ დამე აქ არავინ მოუყვანიათ. ბებერი, მოხუცი, ძუკნა, კახპა და საპენსიო მაგის როზაა!

- კარგი, დაწყნარდი, გეხუმრე, ძია იცხაკ. ნუ გეშინია, ხომ იცი, შენი შემცვლელი ჯერ არ დაბადებულა?!

- აი შენ კი დაგენაცვლე! ვიცოდი, რომ ხუმრობდი. რა უცნაური ხუმრობები იცი, კაცო?! კინადამ გული გამიხეთქე. მამის სული ნუ წამიწყდება, თავი კი არ მადარდებს, ეს შენობა უჩემოდ მეორე დღესვე დაინგრევა. რა ეშველება აქაურობას?! სახურავიდან წვიმა ჩამოდის, სარდაფში წყალი დგება, კედლები დაიბზარა, ფანჯრები აღარ იკეტება,– თავის სტიქიას დაუბრუნდა მოხუცი მნე.

- აჰა, რა გამახსენდა! სასწრაფო საქმე მაქვს, ხალხი მელოდება, გავიქეცი, ძია იცხაკ. გამიხარდა ყოჩაღად რომ ხარ. აბა, მაგრად იყავი.

მალაქიასთვის ყველაფერი ნათელი გახდა: რადგანაც იცხაკა წელგამართული დახვდა, თავს თავისუფლად გრძნობდა და თან, რაც უმნიშვნელო არაა, ხმამაღლა გამოხატა უკმაყოფილება – ესე იგი უფროსი უკვე სამსახურში არ იყო. ხოლო თუ რატომ და სად წავიდა პოლიკარპე? – ამაზეც მოხუცმა მნემ გასცა პასუხი: როზა მთელი ღამე აქ ყოფილა, სიყვარულობისგან სიქაგაცლილი პოლი-

კარპე ალბათ ფეხზე ძლივს იდგა და ძალ-ღონის მოსაკრებლად ახლა სადმე მიყუჩებულ ადგილზე სძინავს. ეგ საღამომდე გამღვიძებელი არაა, რვაზე უშიშროების სამმართველოში საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების თათბირზე აუცილებლად მივა, მერე ისევ როზა შეათრევს კაბინეტში, მერე ისევ დაიძინებს და, კარგ შემთხვევაში, ღამის პირველიდან ორამდე სამსახურშიც გამოცხადდება. მის გარეშე კი წუხანდელი ამბების კრებსის პაკეტს ვერავინ გახსნის.

ღამე რომ მიაკითხოს პოლიკარპეს და დაპატიმრებულთა სია სთხოვოს – არ გამოვა, აშკარად საეჭვო იქნება. არსებობს კიდევ ერთი გზა: შუაღამისას შინსახკომის სამმართველოს ეზოდან ახალი პატიმრების ასაყვანად "ჩორნი ვორონოკი" გამოვა, როგორმე თუნდაც მძღოლს თუ გავესაუბრები, იქნებ გაირკვეს, იყვნენ თუ არა წუხელ ჩეკისტები ძნელაძეზე ავქსენტის სახლთან. ახლა კი სასწრაფოდ საჯარო ბიბლიოთეკაში. ვნახოთ ერთი, რაა კიდევ ცნობილი ივანე მაჩაბლის უცნაური გაუჩინარების შესახებ.

ბიბლიოთეკაში მალაქიას სიურპრიზი ელოდა.

თავი მეოთხე

ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მალაქიასა და დანგრეული ეკლესიებისთვის

შუადამე ახლოვდებოდა. მზარდი მთვარით და ვარსკვლავებით მოკირწყლული იისფერი ცის ქვეშ ქალაქის ეს უბანი ბევრად უფრო ნათელი და მხიარული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახალი დროება არად დაგიდევდათ ბუნების მხარდაჭერას. ქუჩის განათება უკვე ჩაექროთ, სახელმწიფო დაწესებულებებიც ჩაბნელებული იყო. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეძინა, ფანჯრის დარაბები მჭიდროდ ჰქონდა მიხურული და ოთახ-

ების ისედაც სუსტი შუქი წვრილი ღრიჭოებიდან ძლივს შესამჩნევად ბჟუტავდა. დეპოში მიმავალმა მკრთალად განათებულმა ტრამვაიმ, რომელსაც გვერდზე სტალინის უზარმაზარი პორტრეტი ამშვენებდა, მოჩვენებასავით ჩაიარა და სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალიც გაეცალა რუსთაველის პროსპექტს. გორკის ქუჩის კუთხეში ორი აჩრდილი დაშორდა ერთმანეთს: ერთი იქვე დარჩა, მეორემ კი სწრაფად აირბინა პატარა აღმართი და ტრიბუნალის ქუჩის კუთხის სახლის სადარბაზოში გაუჩინარდა. აქედან კარგად ჩანდა მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ ქვემოთ მდებარე შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს შენობის ჭიშკარი, საიდანაც სავარაუდოდ წუთი წუთზე გამოვიდოდა ხალხში "ჩორნი ვორონოკად" მონათლული "სტუდებეკერი" და ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის უძველესი რიტუალის შესრულებას შეუდგებოდა.

გეგმა მარტივი იყო. თუ "სტუდებეკერი" რუსთაველისკენ დაეშვებოდა, კუთხეში მდგარი ამბაკოს ამოცანა გახლდათ დაეფიქსირებინა, თუ სად შეუხვევდა იგი; ხოლო თუ მანქანა მთაწმინდისკენ ამოუხვევდა, მას მალაქია ადვილად დაედევნებოდა. შემდეგი ქმედება ასე იყო დაგეგმილი: პატიმრის ასაყვანად გაჩერებულ ავტომობილთან, ყველა შემთხვევაში, პირველად მივიდოდა შინსახკომელის ფორმაში გამოწყობილი მალაქია და სიტუაციის მიხედვით იმოქმედებდა; ხოლო ამბაკოს, თუ მოაღწევდა "სტუდებეკერამდე", მშვიდად უნდა ჩაევლო მისთვის და უკვე იმ ქუჩის კუთხეში უნდა ჩასაფრებულიყო, რათა ტრანსპორტის გადაადგილების შემდეგი მარშრუტი გაერკვია. ამბაკოს ადვილად შესა-

სრულებელი როლი მისი ტრადიციული მდგომარეობით გახლდათ ნაკარნახევი; უკვე ჩარტყმული ჰქონდა თავისი საღამოს წილი ორასი გრამი ჭაჭა ანუ, როგორც თვითონ უყვარდა თქმა – “დვესტი”.

მთაწმინდის ფერდობის ეს ამჟამად უკაცრიელი, ბნელი, მდუმარე ნაწილი გარდაცვლილთა ქალაქის მიყრუებულ უბანს დამსგავსებოდა. შენობები გადიდებულ საფლავის ქვებს წააგავდა, რომლებზეც აქა-იქ უკვე ლამის ბოლომდე დამწვარი სანთლები იღვენთებოდა. მალაქიამ იგრძნო, როგორ ეფლობოდა ბავშვობის ღამის კოშმარების სამყაროში. ხელ-ფეხი გაუშეშდა; სცადა განძრევა, მაგრამ აღარაფერი გამოუვიდა; წარმოიდგინა, თითქოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს შენობა ჯოჯოხეთის ამქვეყნიური ნაწილი იყო და მისი ეზოდან არეკლილი უსუსური შუქის ნისლი იქაურ კუპრის მოთუხთუხე ქვაბებს ასდიოდა. ფისის სურნელიც კი შეიგრძნო. და უცებ საოცრება მოხდა. ჰაერი გააპო ზარის ხმამ. ჯერ მაღალი “ლა” გაისმა, რომელსაც ორი უფრო დაბალი “ლა-ლა” მოჰყვა. მალაქიამ იცნო წმინდა სამების ეკლესიის უკვე მოშლილი სამრეკლოს ხმა, რომელიც ბავშვობიდან კარგად ახსოვდა. უცნაური იყო, ბოლშევიკებმა ხომ ზოგი ეკლესია მთლიანად დაანგრიეს, ხოლო გადარჩენილებს, რომელთა რიცხვს წმინდა სამების ეკლესია განეკუთვნებოდა, სამრეკლოები მოუშალეს. ჩამოგდებული ზარებით ზარბაზნები ჩამოასხეს. არადა, არარსებული ზარის ხმა ნამდვილად მოესმა. სმენა დაძაბა. ახლა უფრო მკაფიოდ გაიგონა თანმიმდევრულად: იოანე ღვთისმეტყველის, რომელიღაც უცნობი და წმინდა გიორგის ქაშვეთის

ეკლესიების ზარები – “რე”-“მი”-“ფა”. ხმის მიმარ-
თულების მიხედვით ივარაუდა, რომ უცნობი “მი”
ჯერ კიდევ აღა-მაჰმად-ხანის დროს დანგრეულ ორ-
ბელიანთა მცირე ეკლესიას ეკუთვნოდა. ზარების
რეკვა გაგრძელდა: ”მი”-“ფა”-“სოლ”. ეს “სოლ” ახ-
სოვდა მალაქიას. იგი კალოუბნის წმინდა გიორგის
ეკლესიისა გახლდათ. ტაძარი უკვე მთლიანად იყო
დანგრეული, მაგრამ მისი ზარის ხმაში ახლაც გა-
მოკრთა ამ ადგილზე თემურლენგის სპის მიერ
ცხენებით გათელილი ბავშვების კვნესა. “ფა”-“მი”-
“რე”, და უკვე დიდ ზარებს პატარებიც მიეშველა:
“ფა//რე”-“მი”-“რე”-“რე//რე “. შემდეგ: “დო//ლა”-
“სიბეკარი//სიბეკარი”. “ლა//დო”. ეს ახალი “დო”
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ანუ
ლურჯი მონასტრისა გახლდათ, ხოლო ”სიბეკარი”
ისე ახლოდან მოისმა, მალაქიას ეჭვიც არ შეჰპარ-
ვია, რომ იგი უკვე მიწისაგან აღგვილ წმინდა
ალექსანდრე ნეველის სამრეკლოს ეკუთვნოდა;
“სოლდიეზი”// “სი”; “სოლდიეზს” სავარაუდოდ მე-
ფისნაცვლის სასახლის საპირისპირო მხარეს ია-
ვარქმნილი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის
ზარი გამოსცემდა; “ლა//დო”-“სიბეკარი//რე” . . . –
უკვე იმქვეყნიური ცრემლით ხმამაღლა მოთქვამდ-
ნენ: წმინდა სამების, იოანე ღვთისმეტყველის, ორ-
ბელიანთა მცირე, წმინდა გიორგის ქაშვეთის, კა-
ლოუბნის წმინდა გიორგის, წმინდა ანდრია პირ-
ველწოდებულის, წმინდა ალექსანდრე ნეველის და
ღვთისმშობლის – ეკლესიების ზარების უკვდავი
სულები! მალაქიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ეს
ხომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მეორე ნაწილის
საოცარი სიდიადის ჰანგები ესმოდა: “ლა-ლა-ლა /

რე-მი-ფა / მი-ფა-სოლ / ფა-მი-რე / ფა//რე-მი-რე-რე//რე / დო//ლა-სიბეკარი//სიბეკარი-ლა//დო / სოლდიეზი//სი-ლა//დო-სიბეკარი//რე / ლა//დო-სოლდიეზი//სი-ლა//ლა". . .



საათს დახედა: ფოსფორიანი ისრები თორმეტს აჩვენებდა. ცოცხალი და გარდაცვლილი ზარების ერთობლივი ორკესტრის მიერ აჟღერებული სიმფონია ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც გაისმა.

შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ჭიშკარი ჭრიალით გაიღო და სიკვდილის სამსახურში ჩამდგარი "სტუდებეკერი" ფახფახით დაიძრა მთაწმინდის ზემო ნაწილისკენ: ტრიბუნალის ქუჩაზე მარჯვნივ გაუხვია, თუხთუხით განაგრძო გზა და არ მისული ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩასთან გაჩერდა.

მანქანიდან სამი ჩეკისტი გადმოვიდა; ცოტა ხანს ერთმანეთს ესაუბრნენ, როგორც ჩანს, მცირე თათბირი ჩაატარეს, კიდევ ერთხელ გაინაწილეს ფუნქციები, ქუჩა გადაკვეთეს და სადარბაზოში შევიდნენ. მალაქია ავტომობილს მიუახლოვდა და აღმოაჩინა, რომ მძღოლიც გაჰყოლია დამპატიმრებლებს. მარჯვნივ გაიხედა და იტალიური ეზოს

თაღში ჩაყენებული რკინის ჭიშკრის გისოსებს მიღმა ორი წყვილი თვალი დალანდა. მიხვდა, ესენიც “ჩორნი ვორონოკს” ელოდნენ. ალბათ შინსახკომელთა მხარდამჭერი ჯგუფი იყო, რომელიც ოპერაციის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფდა. ყველაფერი ისე მარტივი არ აღმოჩნდა, როგორც წარმოედგინა. ახლა, თუ თვათვალს განაგრძობდა, თვითონ გახდებოდა აქ ჩასაფრებული ორი ჩეკისტის დაკვირვების ობიექტი. ამიტომაც სასწრაფოდ განაგრძო გზა ჭავჭავაძის ქუჩისკენ, მერე მარჯვნივ შეუხვია, გვერდით ეზოში შევიდა, სახანძრო კიბით სახურავზე აძვრა, იქიდან მეორე სახლის სხვენში აღმოჩნდა და დახვეული კიბით უკვე იმ ეზოში ჩავიდა, სადაც ის ორი ჩეკისტი ეგულებოდა. ფრთხილად მივიდა თაღთან, ზურგით აეკრა კედელს და სმენად იქცა.

- . . . მაინც შენსას უბერავ. კარგი. დავუშვათ, ის ჩეკისტი შემთხვევითი “მასტია”. ეს “ალკაში” ვინღაა, “პარავოზივით” ქოშინ-ქოშინით რომ ჩაიარა და ახლა კუთხეში დგას, ოხრავს და იქიდან ალივერებს?! კაცი ასე ჰგავდეს ჩიტს ჯერ არ მინახავს. გაიხსენე, ბოლოს როდის გადავეყარეთ შუაღამისას ქუჩაში მოსეირნე “ფრაერებს”? ბიჭო, მგონი შარში ვართ.

- ყოველთვის კურდღლისსისხლა იყავი, ჩემო ნიბლიავ. ნახე ერთი, ხომ არ მოცურცლე?!

- კურდღლისსისხლა და ცურცლი შენა ხარ, შე ნაბოზარო.

- ბიჭო, სიტყვას დაუფიქრდი! არ არსებობს მაგის მოცემული საქმე დაიწვას. შემეძლოს, გეტყოდი ჩვენი “ხაზეინი” რა დიდი კაცია. შენ ხომ ენაზე არაფერი დაგადგება, წამოაყრანტალებ სადმე. “ბეზპიატი” გენერალია-მეთქი რომ გეუბნები, არ კმარა?! ჩემი კუდები იმას, დიდი ხანია, ხელში უჭირავს. რამე რომ იყოს, ისე გამაქრობს, ფერფლსაც ვერავინ იპოვის. ეგ რომ საქმეს მოგვცემს, წყალი არ გაუვა.

- შენ იძახი: დიდი კაციაო, თორემ აბა მე რა ვიცი, იქნებ მატყუებ და ახლა ვინმე “გვისადკავებს”?! თუ დავიწვით, დედა გვეტირება კუტუზკაში. ჰა, იქნებ დაგავიწყდა, რა ცუდად ვიჯექით? ქურდები ჯერ ნახევარ სიცოცხლეს წაგვართმევენ და მერე “გაგვშტირავენ”.

- არა, ძმაო! მე იქ დამბრუნებელი აღარა ვარ. “ხაზეინი” დამპირდა,”ტრუპი” არ აიკიდო და დანარჩენი ჩემზე იყოს, ახალ “ხოდკაზე” არ გაგიშვებო.

- აჰა, ხომ გამოტყდი! “ზნაჩიტ” შენ არ გაგიშვებს. მე კი რა და – ვირის თავ-ფეხი, მისივე აბანოთი.

- მე და შენ მაგ საქმეში რამ გაგვყო?! ან კიდევ რომელი გაუტეხელი ციხე-სიმაგრე შენა ხარ? თითს მოგადებენ თუ არა, არ ვიცოდე მაინც, ეგრევე გვერდში მიმისვამ, ჩამშვებების უსტაბაშო!

- ვინა, ბიჭო, მე ვარ ჩამშვები? შე მართლა “ნასედკა”, შენა. მოიცა, გამოიყვანეს ჩიტუნია. ნახე

როგორი “აჩკარიკა” პედერასტია; ეს ახლა სულ ცოტა პროფესორი მაინც იქნება; შეხედე, როგორ კანკალებს; ვნახოთ, რა გვიანდერძა გონებრივი ფრონტის მუშაკმა. მაგათ, ხომ იცი, სახლში ძველებური ფაიფური აქვთ; ჩაის სმას “კრუშკიდან” კი არ კადრულობენ. გუშინდელი “ჟელეზნოდოროჟნიკივით” კი არ ცხოვრობენ, ნახევარი ქილა მაწვნის მეტი საჭმელი რომ არაფერი ჰქონდა.

- ისიც შენ შეხვრიპე, შე კუჭის მონავ. ბიჭო, ხომ ნამდვილად მეორე სართულია, მარცხნივ პირველი, მეორე, მესამე ფანჯრები! კარს მივაგნებთ. პიჯაკი გაისწორე, ფრთხილად რამეს არ გამოსდო, თავით აგებ პასუხს. მთელი ზაფხული და შემოდგომა ჩეკისტები ამგვარად ჩაცმულები ივლიან; ტყავის ქურთუკებს ზამთრისკენ დაურიგებენ და ჩვენც მაშინ დავითრევთ. აბა, გავდივართ! დაიმახსოვრე, თუ ვინმეა სახლში – ვითომ დარჩენილი “ვეშდოკების” წასაღებად გამოგვაგზავნა უფროსმა. გაიგე? “ვეშდოკების” და არა “ხარახურის”!

“სტუდებეკერი” ათუხთუხდა და სულ მალე სადღაც ქვემოთ, ლუნაჩარსკის გავლით, ბროსეს ქუჩაზე გაუჩინარდა. ჩეკისტებივით გამოწყობილი დოსტები თაღიდან გამოვიდნენ, ქუჩა გადასერეს და ახალდაპატიმრებულის სადარბაზოში შევიდნენ.

მოსმენილმა მალაქია გააოგნა. ნეტავი ოდესმე თუ მოიფიქრებენ პატარა მიკროფონების შექმნას და ჩუმად დადგმას სადარბაზოებში, რესტორნებში, სახლებში, სამსახურებში, ერთი სიტყვით, ყველგან სადაც ადამიანები დაუფარავად ლაყბობენ. დაუკავ-

შირე ეს მიკროფონები მავთულით ერთ სადგურს, დასვი ოპერატორები და უსმინე. დამნაშავეები ერთ-მანეთთან საუბრისას არაფერს ერიდებიან და წვრილად ყვებიან დანაშაულის დეტალებს, ზოგი – სიამაყით, ზოგი – სინანულით, ზოგიც – ისე უბრალოდ, ენის მოსაფხანად. აღარც ოპერატიული სამსახური გინდა, აღარც – დამსმენები და "ანონიმშიკები." ეს რაები ილაპარაკეს ამ არამზადებმა?! ესენი ვინ ყოფილან და ამათთან რომ კავშირი აქვს, შინსახკომის უშიშროების სამმართველოს თანამშრომელს, ის მანახა ერთი, რა ადამიანია?! ავქსენტის ოთახში ფანჯრის რაფაზე მდგარი გაურეცხავი მაწვნის ქილა გაახსენდა. ერთ-ერთმა ამ მამაძაღლთაგანმა შეხვრიპა, ვინ იცის, სასიკვდილოდ განწირული კაცის დილის ულუფა და შეერგო?!

ამბაკო მოწყენილი ჩაცუცქულიყო კუთხეში და პაპიროსს ეწეოდა. მალაქიას დანახვაზე თვალები სიხარულით გაუფართოვდა:

- ჰა, ეგ ჩეკისტები საიდან გაჩდნენ? "ჩორნი ვორონოკიც" დავკარგეთ. წამო, ჩავიდეთ შენთან და მაგდას ალუბლის "ნალივკას" ჩავუსხდეთ. Горе запивать будем!

- არც ასე ცუდადაა საქმე. ეგენი ჩეკისტები კი არა, გადაცმული ყაჩაღები არიან. ახლა დაპატიმრებულის ბინას ძარცვავენ.

- არა!

- მართლა გეუბნები.

- დედას გაფიცებ!

- არ გეხუმრები, ბანდიტები არიან.

- მერე ჩვენ აქ რას ვუდგავართ, ავიდეთ თავები დავაჭრათ, – ამბაკომ ფეხზე მიმაგრებული ფინური დანა დააძრო.

- ახლავე გადააგდე! რამდენჯერ უნდა გითხრა: ჩემთან ეგეთები არ გინდა. მაგათ უნდა ვაცალოთ და, როგორც შენ ამბობ ხოლმე, "ხატაზე" დავადგეთ. წესით, სადმე ახლოს უნდა ჰქონდეთ ბუნაგი. გუშინ ძნელაძეზე იყვნენ, დღეს – ტრიბუნალზე, თანაც ორივეგან ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე.

- შენც იტყვი, რა უნდა ძნელაძეზე ჭავჭავაძის ქუჩას?

- აბა გახედე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩას რუსთაველის ქვემოთ ლუნაჩარსკის ჰქვია.

- მერე გეთქვა ადამიანურად: ჭავჭავაძისა და ლუნაჩარსკის. მე კიდევ დაბნევა მინდა?!

- მიდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, აღმართს აუყევი და სადმე გაიყუჩე. რამე არ მიქარო. თუ ზემოთ წამოვიდნენ, მე აქედან გამოვყვები.

ამბაკო აღმართზე პრინციპულად არ ეწეოდა, ამიტომაც დარჩენილი პაპიროსის ნამწვი საგულდა-

გულოდ შეინახა შარვლის ჯიბეში და ხვნეშა-ხვნეშით დაადგა გზას. მალაქია იქვე ხეს ამოეფარა.

დოსტებიც მალე გამოჩდნენ. ერთს ბოხჩა მოეკიდებინა, მეორე კი ჩემოდანს მოათრევდა. მათი დევნა არ გასჭირვებიათ. მძიმედ დატვირთული ბანდიტები ნელა მოძრაობდნენ ჯერ ჭავჭავაძეზე, შემდეგ კი არსენას ქუჩაზე და ჩაბალის შესახვევის გავლით, ჭიჭიაშვილის გასავალზე მდებარე ნახევრადმიწურში შეძვრნენ.

ეს იყო უკუნით მოცული, მინდვრის თაგვების სათარეშო გარეთუბნის უკიდურესი ნაწილი, რომელიც დასავლეთით ფერხულის მთის, ხოლო სამხრეთით მთაწმინდის ფერდობებს ებჯინებოდა და ნამდვილი ჯურღმული გახლდათ. აქაური ფიცრულები და მიწურები დამანგრეველი სტიქიური უბედურების შემდეგ გადარჩენილი მასალებით ხელდახელ შეკოწიწებულს ჰგავდა და ადამიანთა მუდმივ საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. ნახევრადმიწურის კარის ღრიჭოებიდან უსუსური ნათება გამოკრთა: დოსტებმა ჭრაქი აანთეს.

ამბაკომ ოფლში დასველებული პერანგი გაიხადა, თავ-პირი გაიწმინდა, მერე კარგად გაწურა, დაბერტყა, ჩაიცვა და მალაქიას მიაშტერდა:

- ჰა, რა ვქნათ?

- დრო ითმენდეს, მოვუსმენდით მაგათ ლაპარაკს. ვინ იცის, კიდევ რამდენ სისულელეს წამოროშავენ?! მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვიჩქაროთ.

შენ გაიქცევი და კარს შეანგრევ. მე შევდივარ და სიტუაციის მიხედვით ვმოქმედებ. მიდი ახლა, ეს ტყავის ნიღაბი გაიკეთე, არ მინდა სახეზე დაგიმახსოვრონ, ხმა დაიბოხე და არ გაბედო ზედმეტი ინიციატივის გამოჩენა. მე კი ამ მასკარადში მშობელი დედაც ვერ მიცნობს, – ხელოვნური ულვაშები გაისწორა მალაქიამ და გრიმზე გადმოსული ოფლის წვეთები ცხვირსახოცით ფრთხილად შეიმშრალა.

ამბაკო გაექანა, კარი შელეწა, ინერციით შუა ოთახში მდგარ მაგიდაზე გაშლილი ჩემოდანი გადააგდო და თვითონ დაიკავა მისი ადგილი. სანამ გაოგნებული ყაჩაღები მოულოდნელ სტუმარს დაჰყურებდნენ, მალაქიამ იმარჯვა და მარცხენა ჰუკით მარჯვნივ მდგომი მსუბუქ ნოკდაუნში გააგზავნა, ხოლო მარჯვენა მუშტი მარცხნივ მყოფის ყბასთან შეაჩერა:

- გაიტრუნე და შენი წკრუნი არ გავიგო.

- არ დამარტყა, მე არაფერი ვიცი, ამ ჩათლახის ბრალია ყველაფერი.

წუთიც არ გასულა და ხელფეხშეკრული, ერთმანეთზე ზურგით მიკრული მასპინძლები მიწაზე ეყარნენ. მალაქიამ ყაჩაღების დღევანდელ ნადავლს არც კი შეხედა. ჭრაქი აიღო და მიწურის მარჯვენა კუთხეში მდგარ ხის ტახტს მიანათა. ზედ დაჭმუჭნული მაგიდის გადასაფარებელი ეგდო და დაგლეჯილი მუყაოს პატარა კოლოფები ეყარა. ყდის ფერი ეცნო.

- თქვე უნამუსოებო, ეს ფუტლარები რაღაზე დახიეთ, ამათ რაღას ერჩოდით?

- აბა რა ვიცი, ზოგჯერ ეგეთ რამეებში ფსკერზე ფულს მალავენ.

მალაქიამ ჯიბიდან ძნელაძის ქუჩაზე მდებარე ოთახში ნაპოვნი მუყაოს ნაფლეთები ამოიღო, ფუტლარებს მიადო და მწარედ გაეცინა. მას რომ წიგნის ყდა ეგონა, ორი სხვადასხვა პატარა ყუთი აღმოჩნდა; ერთი – გერმანული წვერსაპარსის ” I- ღ ”- სი, მეორე –ინგლისური წვერსაპარსის სალესის, რომელსაც გადარჩენილ უკანა მხარეზე გარკვევით ეწერა:



უცებ საშინელი ხროტინის ხმა გაისმა. ამბაკო ერთ-ერთ ყაჩაღს ახრჩობდა.

- შე ბოზო, შენა, შენი საქციელი “ზაპადლოა” და უნდა მოკვდე. როგორ გაბედეთ “სროკზე” მიმავალი კაცის გაქურდვა, თქვე “კრისებო”. დაგხოცავთ თქვენი. . .

მალაქიამ ძლივს ააგლიჯა ამბაკო გაკოჭილი ბანდიტის ყელს.

- ეს ვინაა, რას გვერჩის?

- ვინა ვარ და “პრაშლიაკი” კი ვარ, მაგრამ თქვენ ისეთი ადათი დაარღვიეთ ახალ “სროკზე” სიამოვნებით წავალ, არ გაცოცხლებთ, – ამბაკომ

“ფინკა” ამოიღო და ახლა უკვე მას მოხვდა მალა-ქიას ჰუკი, ამჟამად მარჯვენა, თანაც გამეტებით.

ერთხელ კიდევ შეამოწმა გაკოჭილები, პირი აუკრა, დარწმუნდა, რომ ხმას ვერ ამოიღებდნენ, ვერც გაიქცეოდნენ. გათიშული ამბაკო ზურგზე მოიკიდა, მიწურიდან გამოვიდა და დაღმართს დაუყვა.

“ხომ გეუბნებოდი, გვისადკავებენ-მეთქი”, – შორიდან მოესმა ბანდიტის სიტყვები, მაგრამ მა-შინვე მიხვდა, რომ მოეჩვენა. ყაჩაღებს პირი ხომ საგულდაგულოდ აუკრა, მეზობლები არ შეაწუხ-ონო.

“ერთ ღამეში უკვე მეორედ ჩამესმის ხმები. ჩემი საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს. ალბათ წუხანდელი შაქრიანი სუროგატის ბრალია. ღვინის ნაცვლად შხამს რომ დალევ კაცი, კიდევ კარგად ვარ”, – გაიფიქრა მალაქიამ.

- შენ დამარტყი? არა, შენ დამარტყი? – ალუღლუღდა გონს მოსული ამბაკო.

- დაგარტყი კი არა, უნდა მომეკალი. ეგ დანა რატომ არ გადააგდე. ხომ იცი ჩემი ხასიათი, არ მიყვარს ორჯერ ერთი და იმავეს გამეორება, – წელში გაიმართა, ოდნავ მარჯვნივ შემოტრიალდა და ამბაკო ფეხზე დააყენა.

- ეგენი, ძმაო, შენს ენაზე მაროდიორები არიან, გესმის?!

- ეგენი არიან დამნაშავეები და კანონის წი-ნაშე აგებენ პასუხს. მე კიდევ, ძმაო, ჩემი საქმე მაქვს გასაკეთებელი და შენი ხუშტურების გამო

მკვლელობაში თანამონაწილეობას არ ავიკიდებ. ეს კარგად დაიმახსოვრე. აჰა, აიღე შენი დანა, წადი სახლში, ყბაზე ცივი სველი ტილო მიიდე, ფეხები დაიბერტყე და დაიძინე. ხვალ მე თვითონ განახავ, ძმაო! არ იშლი არა, ძველბიჭობას? ვინ ვარო, რა თქვი?! ჰო, "პრაშლიაკი". ეგ სიტყვა პირველად გავიგონე, შე მართლა "პრაშლიაკო'! მაპატიე, ვერ მოვზომე და მაგრად მომივიდა, მაგრამ შენი ბრალია, სხვა გზა არ დამიტოვე, კაცს კლავდი. გავიქცევი, ძალიან მეჩქარება. – მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს და სირბილით განაგრძო გზა.

თავი მეხუთე

ალიარებითი ჩვენება

- რატომ არ გძინავს, დედა?!

- ხომ იცი, როცა სახლში არა ხარ, ვერ ვიძინებ. უნაბის ჩირი მიირთვი, ამშვიდებს. ოღონდ ჯერ ეგ გრიმი მოიშორე, ვეღარ გიყურებ.

- ახლავე. წყალი ხომ დამიგროვე? სწრაფად გადავივლებ და გავიქცევი, პოლიკარპე უნდა ვნახო. წესით, სამსახურში იქნება.

- მოდი, დაგისხამ, დასაძინებლად გამზადებ, შენ კი ამ შუაღამისას შინსახკომში გარბიხარ. აბა

ერთი დაიხარე და თან ამბებიც მომიყევი. ხომ მშვიდობაა?

- ბეჭებზე ნუ, კისერზე დამასხი. აი ასე, კარგია. მშვიდობის რა მოგახსენო?! შენი მოხუცი ნამდვილად "ენკავედეს" საიდუმლო-პოლიტიკურ განყოფილებას დაუპატიმრებია და ახლა რომელ ციხეშია, არ ვიცი; მის ბინაში წუხელვე ყაჩაღები შესულან და რაც ჩეკას გადაურჩა, თან წაუღიათ. იმ ყაჩაღებს უშიშროების სამმართველოში ვიღაც დიდი კაცი მფარველობს. უფ-უფ, რა კარგია, მიდი, დაასხი, ნუ გენანება. . . პირსახოცი მომაწოდე. . . ჩათვალე, რომ თავიდან მშობე. შემომხედე: ვიყავი ჩეკისტი, გავხდი მალაქია. ახლა რაღაც იდეები მაქვს, ვნახოთ, თუ გამომივიდა: პოლიკარპეს უნდა შევთავაზო ბანდიტებისთვის საქმის მიმცემი და მფარველი უშიშროების მოღალატე მაღალჩინოსანზე გასვლა. ვიცი, დახარბდება. ეს საქმე მაგრად დაეხმარება დაწინაურებაში. მაგან და მისმა როზა ბაბომ მილიციის წინა უფროსი მოგონილი ბრალდებით გააგდეს და მისი თანამდებობა ჩაიგდეს. ახლა კი ნაღდ საქმეს ვთავაზობ, წამოვა, აბა რას იზამს?! რადგან ამ ისტორიაში შენი მოხუციც ურევია, იქნებ როგორმე მის კვალსაც მივაგნო.

- შენ რა ხელი გაქვს უშიშროების მაღალჩინოსანთან? რაღაც შარში ეხვევი.

- მაღალჩინოსანთან ჯერ არაფერი, მაგრამ მისი ბანდის ორი წევრი გავსკვანჩე და ისეთი მშიშრები არიან, პოლიკარპეს საკანში ამოჰყოფენ თუ არა თავს, ყველაფერს დაფქვავენ.

- ვინ ორი ბანდის წევრი? მოდი, უფრო გასაგებად მითხარი.

- ვინ და – ვინც ავქსენტის ოთახი გაძარცვეს, რას ვამბობ გაუგებარს?! ის ორი მამაძაღლი ახლა ჩემს მიერ ხელ-ფეხ შეკრული ელოდება, როდის მივალ პოლიკარპესთან, მოვუყვები ამბავს, როდის გააგზავნის პოლიკარპე მათ დასაკავებლად თავის ქვეშევრდომებს, როდის მიიყვანენ შინსახკომის საკანში და როდის მოყვებიან თავის მფარველის ამბებს. ერთი სიტყვით, მილიციაში მივიყვანთ ბანდიტებს, ისინი დაასახელებენ უშიშროებაში მოკალათებულ მათ მფარველს, უშიშროების კაცის მხილება დიდ თანამდებობას მოუტანს პოლიკარპეს, მადლიერი პოლიკარპე გაგვაგებინებს ავქსენტის ადგილ-სამყოფელს, ჩვენ კიდევ დავგრეხთ თოკსა-ბაწარსა, ჩავუგდებთ და ამოვიყვანთ ჩვენს ძმობილ ჭიანჭველასა.

- არის ახლა ხუმრობის და ტინგიცობის დრო?!

- ნამდვილად არა. უნდა გითხრა, სერიოზულად მაშფოთებს საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების მიერ ღრმად მოხუცებული, დამსახურებული პენსიონერის მიმართ გამოჩენილი ესოდენ მაღალი ყურადღება. რაღაცაშია საქმე და ვცადოთ, იქნებ გავიგოთ, რა ხდება?!

მალაქიამ თავის საყვარელი ყავისფერი შარვალი და შავი პერანგი ჩაიცვა. შინსახკომელის ფორმა კოხტად დაკეცა და საკვოიაჟში ჩაალაგა.

- ამას ოპერის თეატრის რეკვიზიტების საწყობის კარებთან, კიბის ქვეშ დავტოვებ და დილით ჟუჟუნა დეიდას შეახსენე, კარგად დააბინაოს.

- ესე იგი, საფრთხე გვემუქრება?!

- საიდან მოიტანე?

- ძალიან ფრთხილობ!

- რას იზამ, დედა?! ახლა ისეთი დროა, თითქოს ეს "ახლა" მთელი ცხოვრება არ გრძელდება?! დამავიწყდა, შენთვის მეთქვა, ამას წინათ ორთოგრაფიულ ლექსიკონს ვათვალიერებდი. ამბაკომ დაიჩემა სწორია სულგუნი და არა სულუგუნიო. რა თქმა უნდა, სულუგუნი ყოფილა სწორი, მაგრამ ეგ არაფერი. ახლა რასაც გეტყვი დაუჯერებელია. ბოლშევიკების მიერ გამოცემულ ლექსიკონში ვერ ვიპოვე სიტყვა სუკი, ნიკო ჩუბინიშვილის განმარტებით, ხერხემლის ორივე მხარეს რბილი ხორცი. ამ სიტყვას სულხან-საბაც მადიანად ხსნის: "ზურგის ძვლის ხორცი." წითელი პროფესორები კი სუკის მწვადმა დააფრთხოთ. ეტყობა, პატივცემულ ცენზორებს შეეშინდათ სუკი ვინმეს სახელმწიფო უშიშროების კომისარი არ ეგონოს, ეს უკანასკნელი შამფურზე არ წარმოიდგინოს და ცუდ ხუმრობად არ ჩაგვითვალონო. გესმის, სუკი ამოიღეს ლექსიკონიდან და შენ გინდა კომისრის ფორმა და ათასნაირი გრიმ-მასკარადები სახლში დავიტოვო?!

- აბა რა გითხრა?! არლეკინის ქუდიღა გაკლია!

- “მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად”?! თუ არ გჯერა, აიღე ორთოგრაფიული ლექსიკონი და შენ თვითონ მოძებნე სიტყვა “სუკი”, აბა თუ იპოვი?! დედა, გავიქეცი, წინ საგმირო საქმეები მელოდება.

მილიციის კარის თავზე რადიოს ქვეშ ორმოცვატიანი ნათურა საცოდავად ბუუტავდა და ირგვლივ ოდნავ მეტ შუქს აფრქვევდა, ვიდრე იორამა მორიგის პაპიროსი.

- იორამს ვახლავარ, მოგკლავს ამდენი თამბაქო. უფროსი აქ არის, თუ იცი?!

- ვა! მალაქია?! ამ შუადამეზე რამ მოგიყვანა, ხომ მშვიდობაა?

- კი, მშვიდობაა, სასწრაფო საქმე მაქვს პოლიკარპესთან. აქ არის, ხომ?

- აქ არის და იმასაც, ეტყობა, რაღაც უჭირს. ფერი არ ედო და სულ გინებ-გინებით აღებდა კაბინეტს. ჩემი რჩევაა: ახლა, ჯობია, ნუ ნახავ.

მალაქიამ ჩაბნელებული დერეფანი გაირბინა და დაუკაკუნებლად შეაღო მილიციის უფროსის კარი. პოლიკარპეს სეიფი გაეხსნა და შიგ იქექებოდა.

- კარგი ცნობები მაქვს შენთვის. ორი ბანდიტი მყავს გაკოჭილი ჭიჭიაშვილის გასავალზე მარცხნივ მეორე მიწურში და იმათ ამბები იციან?! – ცოტა ხანში შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

- რა ჭიჭიაშვილის გასავალი, ვინ ბანდიტები, ვინ ხარ, კაცო, შენ? – მოტრიალდა შემცბარი მილიციის უფროსი. - რა ამბები იციან?

- რამ შეგაშინა, პოლიკარპე, მე ვარ მალაქია. კარგი ამბავი მაქვს შენთვის. დაწინაურება არ აგცდება. გააგზავნე ახლავე ბრიგადა ჭიჭიაშვილზე, თორემ, ისე მაგრად მყავს გაკოჭილი ბიჭები, დაუბუჟდებათ ხელ-ფეხი და სხვა რბილი ადგილები.

- შენ ხარ?! მოდი, დაჯექი, მომიყევი ვინ ბიჭები, რა გაკოჭილები. შენ გაკოჭე? – პოლიკარპემ სკამი გამოსწია და მაგიდას მიუჯდა. სახეზე გამოხატული გაკვირვება ცბიერმა ღიმილმა შეცვალა. – შენ რომ კარგი კაცი იყო, ამ შუაღამეზე იმ ჯურღმულში რა გინდოდა?

- კაცო, პეტრე-პავლობას მეგობრებმა ცუდი ღვინო დავლიეთ. გუშინ მთელი დღე ვერ მოვინელე და ვერა. ჩემი ამბავი ხომ იცი, ვარჯიშით მიყვარს შხამების გამოყვანა ორგანიზმიდან. ერთხელ ავირბინე ჭავჭავაძის ქუჩა, მეორედ ავირბინე და უკვე მესამე წრეზე მივდიოდი, ჩემს დანახვაზე ორი ფორმიანი ტრიბუნალის ქუჩაზე შეძვრა თაღში. ჩვენს უბანში ვინ უნდა იყოს, რომ არ ვიცნობდე? ჰოდა, საეჭვოდ მომეჩვენნენ, შემოვუარე და, იცი შენ, როგორ ვაკეთებდი ხოლმე, უკნიდან მივეპარე და ყური დავუგდე. იმათ იქ ილაპარაკეს?! დრო რომ მექნება, მოგიყვები. ერთი სიტყვით, უშიშროებიდან ამათ ვიღაც აძლევს ღამით დასაპატიმრებელთა მისამართებს და ესენიც “ჩორნი ვორონოკის” წას-

ვლის მერე შინსახკომის ფორმაში გამოწყობილები ადიან და ასუფთავებენ ბინას.

- რა იცი, რომ უშიშროებიდან აძლევენ მისამართებს, რა, თვითონ თქვეს თუ რა?

- აბა, სხვამ ვინ იცის, ვის დაიჭერენ ამაღამ?

- შენც მართალი ხარ. ეს ისე ვიკითხე, სხვათა შორის, რაღაც ხომ უნდა მეთქვა?! – ჯერ თითქოს დაიმორცხვა და შემდეგ რატომღაც სახეზე კმაყოფილება დაეტყო პოლიკარპეს.

- აბა, სწრაფად გაუშვი ოპერჯგუფი, ჩამოგვიყვანონ ყაჩაღები, – დააჩქარა მალაქიამ.

პოლიკარპე ზარის ღილაკს არ ენდო და თვითონ გავიდა მორიგე რაზმის გასაგზავნად.

ოთახში მარტო დარჩენილ მალაქიას თვალი მაგიდისკენ გაექცა. როგორც ჩანს, პოლიკარპემ გატვინა, რომ კარგ საქმეს გამოჰკრა ხელი და ახლა დაწინაურება და ჩინ-მედლები ელანდება. ნახე, ხმაც როგორ დაუტკბა?! აჰა, ესეც კრებსის კონვერტი. ზედ სპილოს ძვლისტარიანი ქაღალდის სპეციალური საჭრელი დანა დევს. ეტყობა, ახლა ამით გახსნა გზავნილი. მალაქიას გაახსენდა, ერთხელ როგორ გაგლიჯა პოლიკარპემ კბილებით კონვერტი და გაელიმა: ვითარდება ბიჭი. ხელის ერთ გაწვდენაზე დევს ახლა ის ფურცელი, რომელზე დაბეჭდილი ინფორმაციის მოსაპოვებლად დარბოდა დილიდან. თუმცა რაღა დროს?! ავქსენტის დაპატი-

მრების ამბავი ცხადზე უცხადესია. საქმის ბოლომდე მიყვანის ჩვევამ თუ ცნობისმოყვარეობის ინერციამ თავისი ქნა, მალაქიამ დანა გვერდზე გადადო, კონვერტიდან კრებსი ამოიღო, თვალი გადაავლო შინსახკომის წუხანდელი ქმედებების სიას და დაკავებულთა შორის არც ავქსენტის სახელი ფიგურირებდა და არც ძნელაძის ქუჩაზე აუყვანიათ ვინმე. თვალებს არ დაუჯერა, კიდევ ერთხელ გადაიკითხა მთელი კრებსი, მაგრამ მოხუცზე რაიმე ინფორმაცია არ ჩანდა. თარიღს დახედა: დიახ, სწორედ გუშინდელი დამის ამბები იყო აღნუსხული. მეოთხე განყოფილების ოპერატიული რაზმის მიერ წუხელ მთელ ქალაქში განხორციელებული დაპატიმრებები, თავისი დაპატიმრებულთა სიით და მათი მისამართებით დეტალურად იყო ჩამოთვლილი. ერიჰა!!! აბა ავქსენტი ვინ დაიჭირა?! დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. მალაქიამ სწრაფად დააბრუნა ფურცელი ძველ ადგილზე.

- გავარდნენ ლომები. კიდევ კარგი, ბოლო ორი კვირაა საწვავის საკითხი მოგვარდა. თუ ძრავმა არ უმტყუნათ, ათ წუთში აქ არიან. ახლა, ერთი, ეს მითხარი. მხოლოდ ორნი იყვნენ თუ კიდევ ჰყავდათ ვინმე "პადდელნიკი"? მაგათ ხომ იცი, "ატასზე" უყენიათ ხოლმე კაცი.

- არა, არავინ შემიმჩნევია. რატომ მეკითხები?

- რა ვიცი, ჩემებმა მითხრეს: მგონი, ვიცით ეგ ხალხი, ეგენი სამნი ცხოვრობენ მაგ მიწურშიო.

- აბა მაგის რა გითხრა. მე მხოლოდ ორნი ვნახე. შენ გეცოდინება, ამ ბოლო დროს სახელმწიფო უშიშროებას ხალხის დამჭერი რამე ახალი საიდუმლო სტრუქტურა ხომ არ დაემატა.

- არა, ახალი არაფერია. მხოლოდ ეგაა, რომ კონსპირაციის მიზნით განყოფილებები დანომრეს და ახლა ოპერგანყოფილებას მეორე ჰქვია, საიდუმლო-პოლიტიკურს – მეოთხე, როზასას – მეხუთე. სხვების ნომრები, მართალი გითხრა, არც მახსოვს და არც მაინტერესებს. შენი საქმეები როგორ მიდის? ადვოკატობ ხომ? გაკითხავთ ხალხი? ხომ იცი, როგორ პატივს გცემ, თუ გაიჭედები, შემიძლია ხელი გაგიმართო და ახალდაპატიმრებულთა მისამართები მოგცე. ნუ მოგერიდება, აი დღეს მოტანილი კრებსი, ჩავიხედოთ და აირჩიე კლიენტები, ფეშქაშ, მიჩუქნია. ნახე რა საჭრელია, ნაღდი ავსტრიული ბრინჯაოა, ამას წინათ მაჩუქეს.

- არა, შიმშილით მოვკვდები და მაგას ვერ ვიკადრებ, – ქაღალდის სპეციალური დანა გამოართვა, შეათვალიერა და უკან დაუბრუნა. – ძალიან მაგარია!

- კიდევ ვინ იცის ბანდიტების და მათი მფარველის შესახებ?

- არ გეკადრება, პოლიკარპე?

- ახლა მითხარი. ჩემს ადგილზე შენ როგორ მოიქცეოდი. განათლებული კაცი ხარ, ჭკუა მოგეკითხება. მთელ შინსახკომს ეყოფა, რაც წიგნები

წაგიკითხავს და უნივერსიტეტები დაგიმთავრებია, მაგრამ რად გინდა? გამოყენება არ იცი. შენი ცოდნა მომცა, დედამიწას დავაზანზარებდი. ამ სოროში კი არ ვიჯდებოდი, სულ ცოტა, კრემლში დიდი სტალინის მარჯვენა ხელობას გავქაჩავდი. ზოგჯერ მგონია, ჩვენი პარტია მაინცადამაინც არ გეხატება გულზე. ხომ ვარ მართალი? ჰა, მიპასუხე! . . კარგი, კარგი გეხუმრე! ესე იგი, შენ ამბობ, რომ გველი გვიზის უბეში? თანაც – ჩეკაში? ისე რატომ უნდა გაგიკვირდეს კაცს?! იაგოდა რა, ჩეკას მთლად უფროსი არ იყო?! არადა, თურმე როგორი ხალხის მტერი ყოფილა!

- იმ ორიდან ერთ-ერთმა იცის ჩეკისტის ვინაობა. ვიცი – რომელმაც. თუ ძალას ვაჩვენებთ ჩვენსკენ გადმოვა. მაგისთვის ეს არ იქნება პირველი ღალატი. დაპირდი ხელშეუხებლობას და ოფიციალური აგენტის როლი შესთავაზე. ანკეტა შეავსებინე, ხელი მოაწერე და ბეჭედი დაარტყი. თავს სამშვიდობოს დაიგულებს თუ არა, მაშინვე ყველაფერს მოგიყვება. და იქნება ამის მერე შენი ერთგული, ვიდრე სხვას, შენზე მაგარს არ იპოვის.

- მაგან ის კაცი დაასახელოს და მერე მე ვიცი. ერთი ეს მითხარი, ვვარჯიშობდიო რომ მითხარი, ასე გამოპრანჭული დარბოდი ზემოთ-ქვემოთ?

- ასე როგორ ვივარჯიშებდი?! მილიციის უფროსთან გალიფეში, გიმნასტურში და კედებში ხომ არ მოვიდოდი?! ჩემი ამბავი იცი შენ. თუ სათანადოდ არ მაცვია, ხალხში არ ვჩნდები. სახლში შევირბინე, გამოვიცვალე.

- რაო, რა მეცვაო? ვინ ვარჯიშობს გალიფეში, გიმნასტურში და თანაც შუა ღამე, თუ ძმა ხარ?

- ხომ გითხარი, ოფლი უნდა გამომედინა. ღამეც იმიტომ დავრბოდი, რომ ამ შუა ზაფხულში ასე თბილად ჩაცმული არავის გადავყროდი.

კარებზე დააკაკუნეს. პოლიკარპე ადგა და ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წამში თავი შემოყო:

- "ოპერია" სხვა საქმეზე, ორ წუთში შენთან ვარ.

მალაქიას ეჭვის ჭია შეუჩნდა. აშკარაა, რომ პოლიკარპე რაღაცას უმალავს. თანაც შესაძლო დაწინაურების მოლოდინით გამოწვეული ხბოს აღტაცებაც არ ეტყობა. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია.

- აი მეც აქა ვარ! წაიღეს ამ წვრილ-წვრილმა საქმეებმა ტვინი, – ენერგიულად დაბრუნდა კაბინეტში პოლიკარპე.

დერეფანში ხმები გაისმა. ოთახში იორამა შემოვარდა:

- უფროსო, ორივე მკვდარი დაგვხვდა, ვიღაცას ყელები გამოუჭრია მაგ საცოდავებისთვის. ყრიან ახლა მიწაზე ზურგით ერთმანეთზე მიბმულები. ხელი არაფრისთვის გვიხლია. დაცვა კარებთან დავაყენე და თქვენთან გამოვიქეცი. ყურადღებით გისმენთ!

მალაქია გაოგნდა: მაინც გააკეთა თავისი ბრიყვული საქმე ამბაკომ. არ უნდა დამებრუნებინა

დანა. თუმცა რა? ხელით ვერ გაგუდავდა თუ რა? ეგ როგორ ქნა ამ სულელმა კაცმა?! რა მისი საქმეა ქურდული კანონების დაცვა და აღსრულება. ეს მამაძაღლი პოლიკარპეც რაღაცას მალავს.

- სასწრაფოდ გამოიძახე გამომძიებელი, ქალაქის მორიგეს დაურეკე, იქნებ დამატებითი ძალები დაგვჭირდეს, ორმაგი მკვლელობაა, რაც არ უნდა იყოს; დროზე ახლა, რას დაყუდებულხარ? იმოქმედე! – მალაქიასთვის მოულოდნელად სხარტად დაიწყო ზუსტი ბრძანებების გაცემა პოლიკარპემ.

იორამმა ფეხები მიატყუპა, მარჯვენა ხელის მტევანი საფეთქელთან მიიდო, შეტრიალდა და ბრძანების შესასრულებლად გაიქცა.

- ნუ გეშინია, აგერ ვარ, შენ თავს არავის დავაჩაგვრინებ,– მარტო რომ დარჩნენ, მალაქიას მოუბრუნდა პოლიკარპე. – რა მითხარი, თბილად მეცვაო? ხელთათმანებიც ხომ არ გეკეთა?

- ჯერ ასეც არ გავგიჟებულვარ, – მალაქია მიხვდა საითკენ უქცევდა მილიციის უფროსი. მისი არაერთი თითის ანაბეჭდი დარჩა ნახევრადმიწურში, რასაც გამომძიებლები დააფიქსირებენ და კრიმინალისტებს გადასცემენ. მიდი მერე და უმტკიცე ამ ხისთავიანებს მკვლელობასთან კავშირი არ მაქვსო.

- აბა, სწრაფად გაიხსენე, რას მოჰკიდე მიწურში ხელი, მე თვითონ ავალ და კვალს წავშლი. თორემ ახლა ისეთი დროა, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად. თუ ძმობაა, ძმობა იყოს. ჩემებს კი მივხედავ, მაგრამ ქალაქის სამმართველოს ხალხი მე არ მემორჩილება.

- რას ამბობ, პოლიკარპე, მაგ საქმეში როგორ გაგრევ ან როგორ ვიკადრებ, მკვლელობის ადგილზე ჩემს გამო რაიმე კვალი წაგაშლევინო. ამოიგდე ეგ სისულელე თავიდან.

- მაშინ შენ თვითონ მოიფიქრე, რა ვქნათ. აქ იჯექი. გავალ, სამმართველოს ბიჭებს გარეთ დავხვდები, მაინც უფროსობა ჰქვიათ.

დიდხანს არ მოუწია მარტოობაში ყოფნა. კაბინეტში იღლიაში საქაღალდეამოჩრილი, თეთრ კიტელში ჩაცმული კაცი შემოვიდა, პოლიკარპეს სკამზე მოკალათდა, ქაღალდები ამოალაგა, თეთრი ქუდი გაისწორა, მალაქიას ცბიერად გაუღიმა და:

- კარგია ახალგაზრდავ, თქვენი ნებასურვილით რომ ჩაბარდით მილიციას და აღიარეთ ორი კაცის მკვლელობა. ჩვენი, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური, სახალხო სასამართლო განაჩენის გამოტანისას აუცილებლად გაითვალისწინებს ამ გარემოებას, თუმცა რაღას გიხსნით?! პოლიკარპემ ისიც მითხრა, ადრე ჩვენთან მუშაობდა, ახლა დამცველთა კოლეგიის წევრია და როგორც შინაურს ისე მოექეციო. რას იზამ, კაცნი ვართ, ხვალ შეიძლება იგივე მეც დამემართოს. არაფრისგან ვართ დაზღვეული. ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ. აბა, დავიწყოთ აღიარებითი ჩვენების გაფორმება. . .

თავი მეექვსე

Eye of Providence

შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს იზოლატორის საკანი სიგანეში ორნახევარი მეტრი იქნებოდა. ზღურბლიდან ერთი მეტრის სიღრმე ბეტონის წინკარს ეკავა, რომლის მარჯვენა კუთხეში "პარაშა" იდგა; წინკარის შემდეგ სამოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზე იწყებოდა მოწითალო-ყავისფრად შეღებილი ფიცარგადაკრული მოსასვენებელი ადგილი. ყოველივე ამის დანახვა მალაქიამ იმ რამდენიმე წამში მოასწრო, რაც ზედამხედველს კარის მისახურად დასჭირდა

და დარწმუნდა, რომ მისი გამომძიებლად მუშაობის დროიდან აქ არაფერი შეცვლილა.

სრულ უკუნში წინგაწვდილი ხელებით ორი ნაბიჯი გადადგა, მარჯვენა ფეხის წვერით შემაღლების ძირს შეეხო, მარცხნივ შემოტრიალდა და დიდი, კოლექტიური ნარის კუთხეზე ჩამოჯდა. აი, თურმე, რა მარტივად მთავრდება ცხოვრება. მთელი შენი ოცნებები ასე უცებ შეიკვეცს ფრთებს და რომ გეგონა ამ ქვეყანაზე, მარადიულად თუ არა, დიდხანს მაინც იქნებოდი, მოულოდნელად აღმოაჩენ: ყველაფერი დასრულდა. თუმცა განგებამ, რომელიც ზოგჯერ მყისიერად მოსწყვეტს ადამიანს ამქვეყნიურ სამყაროს, მალაქიას ფიქრის და განვლილი ცხოვრების შეფასებისთვის რაღაც დრო მაინც მისცა. ახლა ყველაზე მეტად ის ორი მოკლული ადარდებდა, რომელთა ცოდვაში უნებლიეთ ჩადგა ფეხი. მერე რა, რომ ისინი ბანდიტები იყვნენ?! ამ შემთხვევაში საზღაური, რომელიც მათ გადაიხადეს აშკარად გადამეტებული გახლდათ.

კარს ღრიჭოც კი არ ჰქონდა. ასე რომ, აქ ვერასოდეს მიხვდებოდი, როდის გათენდებოდა. ბოლშევიკებს უწიგნურებს, ხეპრეებს, წერა-კითხვის უცოდინრებს კი ეძახდნენ, მაგრამ ადამიანის დათრგუნვისა და დამცირების ყველა არაადამიანურ მეთოდს ზედმიწევნით კარგად ფლობდნენ. რომანოვების რუსეთის ციხეებში, საკუთარი გამოცდილებით, კარგად აითვისეს წამების ხერხები და ახალი წესრიგის დასამყარებლად შესანიშნავად იყენებდნენ. მალაქიამ კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განსაცდელში მყოფი ადამიანისთვის

ალიონს. ღამის უიმედობას გათენებასთან ერთად ყავლი გასდის და დილით, ახალ დღესთან ერთად, ახალი იმედებიც ჩნდება. აი ამ იმედის ნაპერწკალსაც უკლავდნენ მუდმივად სიბნელეში მყოფ პატიმარს. დილის ეს საოცარი მადლი პირველად 1921 წლის თებერვალში ფოილოს უკვე აფეთქებული ხიდიდან რამდენიმე მეტრში გათხრილ სანგარში გათენებული პირველივე ღამის შემდეგ შეამჩნია მალაქიამ.

წინა დღეს უბანში ხმა დაირხა, ლევანდოვსკის წითელმა არმიამ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და დედაქალაქისკენ დაიძრაო. იმ წელს 7 თებერვალს თოთხმეტი წლის გახდა მალაქია და დიად საგმირო საქმეებზე ოცნებობდა. ძილის წინ წარმოიდგენდა, როგორ ეხმარებოდა უძლეველ ქართველ მეომრებს ტაო-კლარჯეთის დაბრუნებაში და, ამ ძლევამოსილ ბრძოლებში მსუბუქად დაჭრილს, როგორ უხვევდა ხოლმე ჭრილობას თავსაფარზე წითელჯვარგამოსახული სანიტარი გოგონა მარო მაყაშვილი. თუმცა ტაო-კლარჯეთიც და მარო მაყაშვილიც შორეული ოცნება იყო. ახლა კი ბედი თავისი ფეხით კარზე მოდგომოდა: აგერ, სულ რამდენიმე კილომეტრში ბრძოლები უნდა გამართულოყო. 17 თებერვალს მალაქია სახლიდან ფრონტზე გაიპარა. სოდანლუღის დაცვით ხაზზე მეკავშირის ფუნქცია დააკისრეს და საგმირო საქმეების ნაცვლად ერთი სანგრიდან მეორეში ხან თამბაქო მიჰქონდა და ხანაც დედას პურები. ეს არ აკმარა ბედმა და აქ ყოფნის მესამე დღეს კოჯრის დაცვითი ხაზიდან გადმოსროლილმა ერთ-ერთმა იუნკერმა უამბო იქ მყოფი ექთანი გოგონას შესახ-

ებ, რომელსაც მარო მაყაშვილი ერქვა. საოცარია, მალაქიას ნაფიქრალი ნაწილობრივ მაინც ამხდარა, თუმცა მისი ოცნების გოგონა სხვა ფრონტზე აღმოჩნდა და მალაქია, გმირულადაც რომ დაჭრილიყო, მაროს მაინც ვერ გაიცნობდა.

ეს ამბავი კი 22 თებერვალს მოხდა. ყინვა ძვალში ატანდა, ღამე უკუნი იდგა. ხმები დაირხა, რუსები შეტევისთვის ემზადებიანო. მალაქიას უბრძანეს ფრონტის ხაზის დატოვება, მაგრამ ფეხიც არ მოუცვლია, მეომრებმა ატალახებული სანგრიდან ვერ გაიყვანეს და იმ ღამეს ბლინდაჟში მიუჩინეს ადგილი. იქ შედარებით თბილოდა და ოთხი საათისთვის მალაქიას ჩაეძინა კიდეც, როდესაც ოფიცერმა მხარზე ხელი დაადო და შეანჯღრია:

- გავროშ, აჰა შენ პაკეტი. აქ სარდლის ბრძანებაა. გადაირბენ მარჯვენა ფლანგზე და იქ განლაგებულ მეგრელთა პოლკის რაზმის მეთაურს გადასცემ. რამე რომ მოხდეს, იტყვი რომ ადგილობრივი მცხოვრები ხარ და მეომრებთან არაფერი გაქვს საერთო.

მალაქიას აქაური ბილიკები დღისით კარგად ჰქონდა შესწავლილი და ამიტომაც სიბნელეში არ გასჭირვებია გზის გაკვლევა. მარჯვენა ფლანგის სანგრებამდე ოცდაათ მეტრამდე რჩებოდა, როდესაც მისგან მარჯვნივ ტევრის სიღრმეში რაღაც ჩხაკუნი გაისმა, თითქოს ჩახმახი შეაყენეს. ჯერ შეკრთა, მერე შეეშინდა, ნაბიჯს აუჩქარა და მალე სირბილზე გადავიდა. სანგარში რომ ჩახტა, გული გამალებით უცემდა და ქოშინებდა.

- ვა! გავროშ ისევ შენა ხარ? ხომ გითხრეს წადი აქედანო? რას დაწანწალებ ამ სიბნელეში? მოიცა, რაღაც შეშინებული ჩანხარ? პური მოგვიტანე თუ პაპიროსი? შენი სუნთქვა არ მომწონს. აბა, ამყევი: “ძისტა-ძისტები, მაღლა ხიშტები. გავანადგუროთ ბოლშევიკები! . .” არა, ვერ ხარ ამაღამ ხასიათზე, მოხდა რამე?

- არა, არაფერი, ბატონო მეთაურო! ჩვენმა ოფიცერმა თქვენთან პაკეტი გამომატანა! აი, ინებეთ, – ვერ გაბედა მალაქიამ, ეთქვა ტევრიდან მის ყურამდე მოღწეული ჩხაკუნის შესახებ. შერცხვა, თავისი შიში გაენდო უფროსისთვის. ახლა კი იცის, ბრძოლის ველზე მშიშარა და მატყუარა კაცი მტერზე უარესია, მაგრამ მაშინ თოთხმეტი წლის ყმაწვილმა პატივმოყვარეობა ვერ დასძლია და თანამებრძოლს ვერ გაუმხილა: ჩხაკუნი, რომელიც ტევრიდან მოესმა, შეიძლება მტრის იარაღისა ყოფილიყო. ამის აღიარების შემთხვევაში, როგორღა აეხსნა, რომ შეშინებულმა ვერ გარისკა, შეემოწმებინა, იქ ნამდვილად მტერი იყო, მოყვარე თუ უბრალოდ ხმა მოესმა. ვერ გაუსწორა ყმაწვილმა სინამდვილეს თვალი და როდესაც მეორე ღამეს მარჯვენა ფლანგის სანგრებზე მტრის იერიშის დროს ქართველ მებრძოლებს ვიღაცამ ზურგიდან ცეცხლი გაუხსნა, მალაქიამ გადაწყვიტა: შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. იმ დღიდან გულში დააატარებდა სირცხვილს, რომელიც სულს უჭამდა და რაიმე ძალიან დიადი გმირობის ჩადენისკენ მოუწოდებდა, რათა იქნებ როგორმე შვება ეგრძნო.

ახლა კი ამ ბნელ საკანში იჯდა და, ამბაკოს საქციელის გამო, ცხოვრებას სრულიად უაზროდ ასრულებდა. სიტუაცია მძიმე იყო. ვთქვათ, ამბაკომ დახოცა მძარცველები. რასაკვირველია, რაღაც კვალს დატოვებდა ნახევრადმიწურში, რითაც ადვილი იქნებოდა მისი მხილება, მაგრამ ვინ ოხერი დაინტერესდება ამით? წითელმა გამომძიებლებმა ისე გაიმარტივეს საქმე, რომ ნივთმტკიცების ცნება საერთოდ ამოიღეს ლექსიკონიდან. ახლა მთავარია, დამსჯელი ორგანოს წარმომადგენელს მოელანდოს, კაცი დამნაშავეაო და განაჩენიც გამომცხვარია. ისე დაოსტატდნენ ამ საქმეში, სტალინიც კი იძულებული გახდა, დახვრეტებზე რაოდენობრივი შეზღუდვები დაეწესებინა, მაგრამ ვერც ამან შეაკავა სტახანოვური ტემპით მომუშავე ჩეკისტები და სისტემატურად ითხოვენ დასახვრეტთა ლიმიტის გაზრდას. ვთქვათ, მოხდა სასწაული და დადგინდა, რომ დოსტები ამბაკომ დახოცა. მალაქიას ამით რა? სიმართლის დადგენის შემთხვევაშიც კი თავს ვერ დააღწევს წითელ სასამართლოს და მას ამბაკოს მიახვრეტენ, როგორც მკვლელობის თანამონაწილეს.

“იდიოტი ამბაკო! ეს მართლაც იდიოტი, არტურაზე როგორ ამბობდა: იდიოტიაო”.

მალაქიას ამბაკოსთან საუბარი გაახსენდა:

- მალაქ, შენ ყველაფერი იცი! ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, სომხურ ანბანში რამდენი ასოა? – ბრძნული სახით ჰკითხა ერთ საღამოს ამბაკომ.

- ეგ რაღაში დაგჭირდა? არმენოლოგობა ხომ არ გადაწყვიტე?

- ეგ არმენოლოგობა არ ვიცი: სუჯუკია თუ ბასტურმა, ან რასთან იჭმება. უბრალოდ გუშინ საღამოს ოფიცერთა სახლში მე და არტურა "ტანცებზე" ვიყავით. ერთი ფითქინა ქალი დავითრიე, წელზე შემოვეხვიე და ასე ჩახუტებულები ვცეკვავდით ჭიპხახუნას, როცა ეს იდიოტი არტურა მომიახლოვდა დიდძუძუებიან ქალბატონში ჩაცომებული და მეკითხება: "Сколько у вас в грузинском алфавите букв-о"? ვპასუხობ: "Тридцать два".

- რით ვერ ისწავლე ოცდათორმეტი კბილი გვაქვს, ასო კი – ოცდაცამეტი!

- ხო, კარგი! მაგას თურმე დიდი მნიშვნელობა ჰქონია?!

- აჰა! აბა, რა მნიშვნელობა?

- რა და: იცი, რას მეუბნება იმ თავისი მსუქანას გასაგონად?! "А у нас в армянском _ тридцать три! " თურმე თანაბარი რაოდენობის ასოები გვქონია ჩვენ და სომხებს. მე კიდევ შემეშალა, მშობლიურ ანბანს ასო დავაკელი და არტურასთან წავაგე. მომეჭრა თავი ფითქინასთან.

- ორივე მაგრები ხართ. მაგათ ენაში ოცდაცამეტი კი არა, ოცდათვრამეტი ასო აქვთ.

- აბა ოცდაცამეტიო, რატომ თქვა? დამინდო? ქალთან თავი ბოლომდე არ მომჭრა და მხოლოდ ერთი ქულით მომიგო?!

- აბა, ბიჭო! დაგინდო არა?! თბილისელი სომხების დიდმა ნაწილმა სომხურად წერა-კითხვა არ იცის; ან რუსული განათლება აქვთ, ან – ქართული. შენ რომ გეთქვა ქართულში ოცდაცამეტი ასოა, არტურა ნიშნის მოგებით გიპასუხებდა: სომხურში ოცდათოთხმეტიაო. მაგისთვის მთავარი იყო ქალთან მოეწონებინა თავი და სიამაყით ეთქვა: ჩვენს ენაში მეტი ასოა, ვიდრე ქართულშიო. ასე რომ ორივენი იდიოტები ხართ, რადგანაც მშობლიური ანბანი არ იცით და, რაც მთავარია, იმასაც ვერ ხვდებით, თქვენი ქალბატონებისთვის სომხურ და ქართულ ანბანში ასოების რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დანარჩენზე შენ იფიქრე.

მალაქიას გაახსენდა ამბაკოს სახე, რომელიც როგორც იქნა მიხვდა, თუ რომელი ასო უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ საღამოს გაცნობილი ქალბატონებისთვის; მერე უცებ გონება გაუნათდა, ემცხეთა, რომ იდიოტი, ამბაკო კი არა, თვითონაა. ეგ როგორ არ გამახსენდა?! ქართულში ხომ ანბანის ციფრებით გამოსახატავად უწინ ოცდაჩვიდმეტი ასო იყო. ანუ მამის ანდერძის გასაღები შესაძლოა სწორედ ოცდაჩვიდმეტასოიანი ანბანია. მალაქიას თვალწინ დაუდგა სპირიდონის ანდერძი:

“შვილო მალაქია!

მემკვიდრეობით საქართველოს მცველის წოდება გადმოგეცემა. ბრძანებებს მეკავშირეებისგან მიიღებ. უშუალოდ დაცვის ობიექტთან კონტაქტის უფლება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში გეძლევა.

ამჟამად დაცვის ობიექტია: 100 20 10 50 10 3 7 5 30 10 ჯადოსნური სიტყვებია: 100 4 1 ჯ – 88 ”

1-ა, 2-ბ, 3-გ, 4-დ, 5-ე, 6-ვ, 7-ზ, 8-ᲗᲘ, 9-თ,

10-ი, 20-კ, 30-ლ, 40-მ, 50-ნ, 60-Ო , 70-ო, 80-პ, 90-ჟ, 100-რ, 200-ს, 300-ტ, 400-Უ ,500-ფ, 600-ქ, 700-ღ, 800-ყ, 900-შ, 1000-ჩ, 2000-ც, 3000-ძ, 4000-წ, 5000-ჭ, 6000-ხ, 7000-Ღ , 8000-ჯ, 9000-ჰ, 10 000-Ჭ .

ამ ანბანით ერთი დაშიფრული სიტყვა გამოჩნდა: 100//რ 20//კ 10//ი 50//ნ 10//ი 3//გ 7//ზ 5//ე 30//ლ 10//ი ანუ რკინიგზელი. რაც შეეხება “100 4 1 ჯ – 88”-ს. იგი ამგვარად წაიკითხება: “რ დ ა 8000 – პᲬ”. თითქოს უაზრობაა. “ჯადოსნურ სიტყვებში” სპირიდონი, რა თქმა უნდა, პაროლის კითხვა-პასუხს გულისხმობდა. მოდი, “ჯ – 88” უცვლელად დავტოვოთ, მაშინ გამოდის: “რ და ჯ – 88”. ანუ კითხვითი ნაწილია “რ და ჯ”, ხოლო პასუხი – “88”. ვთქვათ, რკინიგზელი მართლაც ივანე მაჩაბელია, მაშინ სრულიად ლოგიკურია: “რ და ჯ” ანუ “რომეო და ჯულიეტა” და მასზე პასუხი “88”. ეს პიესა პატარაა და სავსებით შესაძლებელია, რომ “88”-ში გვერდების რაოდენობა იგულისხმებოდეს. ანუ ტექსტი სრულად ასე გამოიყურება:

“შვილო მალაქია!

მემკვიდრეობით საქართველოს მცველის წოდება გადმოგეცემა. ბრძანებებს მეკავშირეებისგან მიიღებ. უშუალოდ დაცვის ობიექტთან კონტაქტის უფლება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში გეძლევა.

ამჟამად დაცვის ობიექტია: რკინიგზელი. ჯადოსნური სიტყვებია: რ და ჯ – 88”

თუ ეს მსჯელობა სწორია, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ანდერძის წერისას სპირიდონი სრულ გონებაზე იყო. მხოლოდ ბოლო ორი ნიშნის დასაშიფრად ძალა არ ეყო. ამ გადასახედიდან, შესაძლოა, მოხუცი რკინიგზელი მართლაც მისტიკურ საბურველში გახვეული პიროვნებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. გონებაში გუშინ საჯარო ბიბლიოთეკაში მოსმენილი უცნაური ამბები წამოტივტივდა.

. . .

ფოიეში ბიბლიოთეკის ჭიას, ზამთარზაფხულ თეთრ ლაბადაში გამოწყობილ, ფრიდონას გადაეყარა. ეს კაცი მთელ დღეებს აქ ატარებდა და უცნაური გონების პატრონი იყო. მას ჰქონდა უნარი, ზუსტად დაემახსოვრებინა წაკითხულ მასალაში აღწერილი ფაქტები, თუმცა იმგვარ დასკვნებს გამოაცხობდა ხოლმე, ადვილად მიხვდებოდით, რომ სრულ ჭკუაზე ვერ უნდა ყოფილიყო. მალაქია დაფიქრდა, გამოეყენებინა თუ არა ფრიდონას ნიჭი. ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი სხვადასხვა ჟურნალ-

გაზეთების გამოწერას და შესწავლას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამ დალოცვილ ფრიდონას კი ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად ემახსოვრება, თუმცა ფაქტების პარალელურად იმდენ სისულელეს მოჰყვება, შეიძლება ნერვები მოგეშალოს. მალაქიამ ყველაფერი აწონ-დაწონა და გადაწყვიტა, ფრიდონასგან მიეღო ინფორმაცია. ასე ნაკლებ დროს დაჰკარგავდა. სხვის ნდობაზე დამოკიდებული სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებისას ხშირად მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი მოჭადრაკის, სამეგრელოს მთავრის ანდრია დადიანის ამბავი ახსენდებოდა. ერთმა მოჭადრაკემ მასთან თამაშის დროს ორმოცი წუთი იფიქრა სვლაზე და ანდრიას დედოფალი შესწირა, ამ უკანასკნელმა კი სამ წუთში გააკეთა საპასუხო სვლა. პარტიის დამთავრების შემდეგ ანდრიასთვის უკითხავთ:

- რატომ აიგდეთ მოწინააღმდეგე, რომელმაც დიდხანს იფიქრა, თქვენ კი დაუფიქრებლად უპასუხეთ.

- პირიქით, სწორედ რომ პატივისცემით მოვეპყარი. რადგანაც, დიდხანს ფიქრის შემდეგ, დედოფალი შემომწირა, ვენდე მის გათვლებს და ის ვარიანტები, რომლებიც ფიგურის აყვანის შემთხვევაში შეიძლება განვითარებულიყო არც კი განმიხილავს. დრო მოვიგე და პარტია სხვა მიმართულებით წავიყვანე.

მალაქია ფრიდონას მიუახლოვდა.

- კარგ კაცს, ფრიდონს ვახლავარ. როგორ გიკითხოთ, ბატონო ჩემო, როგორ მიდის საქმეები?

- მე კი ვარ კარგად, მაგრამ შენ რადა მოგივიდა? ნახევარ წელზე მეტია, ბიბლიოთეკაში არ მინახიხარ. დავიჯერო, შენც შეგძულდა წიგნი და მეცნიერება?!

- ფრიდონ, შენი ჭირიმე, უნდა მიშველო, დახმარება მჭირდება. ივანე მაჩაბლის დაკარგვის ამბები მაინტერესებს და შენზე უკეთ ვის ეცოდინება?!

- ოო, ბატონო ჩემო. სწორედ რომ ზუსტ მისამართზედ მობრძანდით. აქეთ, ფანჯარასთან გთხოვთ. იმედია, გულწრფელად გაინტერესებთ სამაჩაბლოს თავადიშვილის ამბები?! დიდი ხანია, თვალი მიჭირავს მაგ ვაჟბატონსა და მის თანამებრძოლებზედ. ბეჯითად მომისმინე და იგეთ ამბებს მოგახსენებ, ვინ იცის, თმები ყალყზედ დაგიდგეს?!

- გულისყურით გისმენ, ფრიდონ ბატონო! – მალაქიამ გადაწყვიტა აჰყოლოდა ფრიდონას, რომელმაც მეტი დამაჯერებლობისთვის თავის მეტყველებას მეცხრამეტე საუკუნის ელფერი შესძინა.

- ბეჯითად გიამბობ, რაც რამ წამიკითხავს ივანე მაჩაბლის შესახებ და შარშანდელს თოვლსავით გაქრება შენი გონებიდან მეტადრე თუ რაიმე კარგი წარმოდგენა გქონდა მასზედ. სხვების შესახებ მერე გეტყვი, ჯერ მხოლოდ სამ მათგანზე ვისაუბროთ –ქართულ ტრიუმვირატზე, ასე ვთქვათ. ესენი არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და

ივანე მაჩაბელი. კარგად ჩაუფიქრდი შენის გონიერებით და აბა მითხარ, რა აქვთ მათ საერთო?

- როგორ თუ რა?! სამივენი თანამოაზრენი იყვნენ, ვიდრე ივანე მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე არ გაიყარნენ.

- არა გცოდნია. ჯერ ერთი, არც რა გასაყარი ჰქონიათ და სინამდვილეშიც არ გაყრილან. ეს ისე, გარეშე თვალის დასანახად იჩხუბეს. საერთო კი ამ სამ ადამიანს ისა აქვს, რომ სამივეს სახელი და გვარი ცამეტი ასოსგან შესდგება. ცამეტი კი, მოგეხსენება, სამყაროს არასრულყოფილების სიმბოლოა, რომელიც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ქვეყნიერება ვიღაცამ უნდა მართოს და მხოლოდ მაშინ მიაღწევს სრულყოფილებას. მიმიხვდი ალბათ?! დიახ, დაუსრულებელ პირამიდაზე გელა-პარაკები, მასონთა სიმბოლოზე, რომელიც ცამეტი რიგისგან შესდგება და ზემოდან ყოვლისმომცველი თვალი დაჰყურებს. ეს თვალი კი სამკუთხედშია ჩასმული.

- მერე, რა შუაშია აქ ილია, აკაკი და ივანე?

- სწორედ ეგენი არიან მასონთა ქართული ლოჟის მეთაურები და სამკუთხედის გვერდები მათი სიმბოლოებია. იმ თვალს “Eye of Providence” ჰქვიან და გაიხსენე ილიას “თანამდევი უკვდავი სული”, რომელიც სრულად გადმოსცემს “Eye of Providence”-ს დედააზრს. თანამდევი უკვდავი სული ქართული ყოვლისმომცველი თვალია. ახლა მასონთა პრინციპს გაგახსენებ: “Brothery love, Relief, Truth”, რომ-

ლის ფრანგული ვარიანტია: “Liberty, Equality, Fraternity”(თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა). შეადარე ილიას პრინციპს: “მამული, ენა, სარწმუნოება!” ხედავ, როგორ მიუსადაგეს მასონთა საყოველთაო სიმბოლოებსა და პრინციპებს გადმოქართულებული სიმბოლოები და პრინციპები. ხოდა, ჩემო ბატონო, 1898 წელს მინსკში გაიმართა მასონთა ახალი ძლიერი ორგანიზაციის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. მიხვდა ჩვენი სამეული, რომ ახალი ძალა მოდიოდა და მასთან ბრძოლას უფრო მეტად გასაიდუმლოებული ორგანიზაცია სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ გაითამაშეს ივანე მაჩაბლის გაუჩინარების სცენა. გახსოვს, მას გაქრობის წინა საღამოს სწორედ აკაკი სტუმრობდა. როგორც ჩანს, ბოლო ინსტრუქციები გადასცა ილიასგან. ამგვარად გააცუცურაკეს საზოგადოება. მართალია, სოციალ-დემოკრატებს თავიდანვე ჰქონდათ ეჭვები ივანე მაჩაბლის გაქრობასთან დაკავშირებით. სულ იძახდნენ, რაღაცაშია საქმე და ეგ საიდუმლო უნდა გავხსნათო, მაგრამ მერე თანდათან მიივიწყეს და ახლა, მგონი, სოციალ-დემოკრატების ორი მასონი წევრი ცამეტასოიანთა გუნდიდან ლავრენტი ბერია და იოსებ სტალინი მაინც არ ისვენებენ და იმ სამეულის მემკვიდრეებს დაეძებენ.

- მოიცა ერთი, თუ კაცი ხარ! ძალიან ხომ არ გაუტიე?! ვთქვათ ლავრენტი ბერიას სახელი და გვარი მართლაც ცამეტი ასოსგან შედგება, მაგრამ იოსებ სტალინი, გინდა – ჯუღაშვილი აქ რა შუაშია? – მალაქიამ გადაწყვიტა თამაში ფრიდონას წესებით გაეგრძელებინა.

- როგორ თუ რა შუაშია?! ეგ სანამ მასონი გახდებოდა, იყო იოსებ სტალინი-ჯუღაშვილი, მერე კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში რომ შევიდა ცამეტასოიანი კობა ჯუღაშვილი გახდა. აბა კარგად დაითვალე: კ ო ბ ა ჯ უ ღ ა შ ვ ი ლ ი. არის თუ არა ცამეტი ასო?!

- შენ რომ გისმინოს კაცმა შოთა რუსთაველიც მასონი გამოდის?!

- შოთა რუსთაველი კი არა – შოთა რუსთველი ანუ მხოლოდ თორმეტი ასოსგან შემდგარი სახელი და გვარია. ისე რომ იცოდე, პირველი მასონური ლოჟა მეთვრამეტე საუკუნეში შეიქმნა და "ვეფხისტყაოსნის" ავტორი ვერაფრით იქნებოდა მათი წევრი.

- თუ ეგ იცი, ისიც გეცოდინება, რომ რუსეთის იმპერიაში 1822 წლის პირველი აგვისტოდან, ალექსანდრე პირველის ბრძანებით, მასონთა ლოჟები აიკრძალა. შესაბამისად, ილიას ეპოქაში ვერც საქართველოში იარსებებდა მსგავსი რამ.

- რაწამს აიკრძალა, მაშინვე საიდუმლოდ განაგრძეს საქმიანობა. მიხეილ ვორონცოვი ხომ გახსოვს?! გენერალ-გუბერნატორი იყო კავკასიაში 1844-1854 წლებში. თბილისში მის დროს აშენებულ ხიდს დღესაც "ვარანცოვის" ხიდს ეძახიან. იქ მისი ძეგლიც იდგა, მაგრამ როგორც ყველაფერი დრომოჭმული, ბოლშევიკებმა აიღეს. ხოდა, ცხონებული მამამისი სემიონი იყო პირველი რუსული მასონთა ლოჟის მეთაურის რომან ილარიონის ძე ვორონცო-

ვის შვილი. მიხვდი ხომ? მიხეილ ვორონცოვი გახლდათ რუს მასონთა მამის შვილიშვილი და პირდაპირი მემკვიდრე. მიხეილს თბილისშიც გაუგრძელებია საიდუმლო ლოჟის საქმიანობა და აქ მთელი ქსელი შეუქმნია. როგორც ჩანს, იმ ქსელის წევრები დაინტერესდნენ ცამეტი ასოსგან შემდგარი გვარ-სახელების მქონე განათლებული ქართველებით და თავიანთ საქმიანობაში ჩაითრიეს ილია, აკაკი და ივანე.

- ალბათ ამის დამამტკიცებელი საბუთებიც გექნება?!

- რას ბრძანებ! მაგათ ისე აქვთ ყველაფერი შენიღბული, ვერანაირად მიუდგები, – ხმაში სევდა შეეპარა ფრიდონას, – მაგრამ ნამოქმედარს სად გაექცევი?! – კვლავ მოყოჩაღდა. – მაგ სამმა შექმნა საიდუმლო ქართული მთავრობა, რომელიც საქმიანობას დღესაც განაგრძობს. მათ დააფუძნეს მასონთათვის დამახასიათებელი ყველა ორგანიზაცია საქართველოში: ბანკი, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ჟურნალები და გაზეთები, ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის აღორძინებას. სწორედ მათი მიმდევრები იყვნენ 1924 წლის აჯანყების მონაწილეები, რომელთა დიდი ნაწილი დახვრიტეს, ხოლო ვინც გადარჩა, იმათ დღესაც დასდევს ჩეკა და, როგორც ხედავ, საკმაოდ წარმატებულადაც. ეჰ, რამდენი დაიჭირეს და დახვრიტეს და კიდევ ვინ იცის, რამდენნი არიან?!

- მოიცა, ახლა მაგას თავი დავანებოთ. შენ რომ გისმინოს კაცმა, დღევანდელი დღე განსაკუ-

თრებული მასონური გამოდის. ნახე 13 ივლისია. ივლისი კი იმ შვიდ თვეს განეკუთვნება, რომლებიც ოცდათერთმეტი დღისგან შედგება. აბა დააკვირდი ციფრებს 13/31. შეატრიალე ოცდათერთმეტი და ცამეტს მიიღებ ანუ ნახე რა საოცარია: 13/13. ძალიან შევტოპე, აი?! აბა ერთი, კარგად მომიყევი, ყველაზე მეტად ვის არ სჯეროდა ივანე მაჩაბლის უეცარი გაუჩინარება.

- შენ ხუმრობ და მაგ ციფრებში შეიძლება მართლაც დიდი საიდუმლო ინახება. ახლა რაც შეეხება იმათ, ვისაც არ სჯეროდა მასონის გაქრობა – მეტადრე დედამისს ნატალია ერევანცოვის ქალს, რომლის ნათქვამსაც ალექსანდრე მაჩაბელი იგონებდა: “ისე გავზარდე, რომ არაფერი გაუტეხნია რა, ძალიან ნიჭიერი არის. ვენაცვალე. ჩემი ჭკვიანი ვანო ადვილად არ გადაიგდებდა თავს. ის წასულია სხვათა ქვეყანაში, დიდ საქმეებს აკეთებს და წერილიც მოსულა, ამბავი მოუტანიათ, მაგრამ მე ვერა ვხედავ.”

- ეგეთ რამეებს როგორ იმახსოვრებ?! შვილებზე რას მეტყვი?!

- ნიკო (ნიკოლოზი) 1924 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა, ელენე კი საღ-სალამათია – ჩერქეზიშვილის ქალია. უკანონო შვილიც ჰყავდა სადღაც კახეთში ლიზა ქართველიშვილისგან, შალვას ეძახიან.

- დღეს ცოცხალი რომ იყოს, კიდევ ვისთან მივიდოდა ივანე მაჩაბელი?

- ცოცხლების რა მოგახსენო და მიცვალებულებიდან აუცილებლად ინახულებდა უდიდესი სიყვარულის – მარიამ საფაროვის ქალის საფლავს.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს და მალაქიამ ფრიდონას ნაბოდვარიდან მხოლოდ რამდენიმე დასკვნა გააკეთა: ივანე მაჩაბლის გაუჩინარება ან მართლა არ სჯეროდათ სოციალ-დემოკრატებს, ან კიდევ ისე ცდილობდნენ ამ ფაქტის გამოყენებას, რომ ილია ჭავჭავაძისთვის ევნოთ; მაჩაბლის ქალიშვილი ცოცხალია და რა გული გაუძლებდა მოხუც რკინიგზელს, ის რომ მართლაც მაჩაბელი იყოს, შვილი არ მოენახულებინა.

სამწუხაროდ, ელენე ჩერქეზიშვილს ვერ შეხვდა, მისი მეზობლების ნახვით კი არც არაფერი გაირკვა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათთან ამ დილით ან ბოლო ორი წლის განმავლობაში უცნო-

ბი მოხუცი გამოცხადდა ვერ მოიპოვა. ეს მერე გაირკვა, რომ რკინიგზელი მართლაც დაპატიმრებულია და მის ძებნას მაჩაბლის ქუჩაზე აზრი არ ჰქონდა. არადა, ნახევარ დღეზე მეტი სულ ტყუილად დაიხარჯა. რას იფიქრებდა, რომ, შესაძლოა, მის ცხოვრებაში ეს თავისუფლებაზე გატარებული ბოლო დღე იყო?! ამბაკოს სიბრიყვემ და, რაც მთავარია, პოლიკარპეს შესაძლებლობების შეუფასებლობამ ამ საკანში მოიყვანა და აქედან ერთადერთი გზა იმ კედელთან მიდის, სადაც ბოროტმოქმედებს ხვრეტენ.

რაც შეეხება პოლიკარპეს?! მისნაირ ადამიანებს ახასიათებთ განსაკუთრებული სიხარბე, რომელიც განსაზღვრავს მათ მოქმედებებს. საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ისინი არად დაგიდევენ სხვებს. სწორედ ამგვარი ადამიანები არიან, ვინც ყოველდღიურ ყოფაში პურის რიგში ურიგოდ ცდილობენ წინ გაძრომას, თითქოს ასეთი ქმედებით თავის განსაკუთრებულ უპირატესობას აღნიშნავენ. არადა, რიგის დარღვევით ისინი იქ მდგომთა დროს იპარავენ, რომ არაფერი ვთქვათ – ნერვებზე. დრო და ნერვები კი ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე მატერიალური ფასეულობები, ანუ დროს და ნერვების ქურდი უფრო მეტად ქურდია, ვიდრე ფულის, ძვირფასეულობის ან სხვა ნივთების მომპარავი. პოლიკარპესნაირი ადამიანები იპარავენ თანამდებობებს, ქონებას, კეთილდღეობას, სიყვარულს, ფეხქვეშ თელავენ სხვების ღირსებას და ვირეშმაკობით გააქვთ წუთისოფელი. როგორც ჩანს, ნიშანდობლივი იყო ის ავბედითი საჭადრაკო ბლიცტურნირი. სწორად ვერ შეაფასა მალაქიამ მაშინ

პოლიკარპეს ამბიციები და შესაძლებლობები. უწიგ-ნურ ადამიანებს ხშირად სერიოზულად არავინ უყურებს. მიაჩნიათ, რომ გაუნათლებლობის გამო, მათი ამბიციები განუხორციელებელი დარჩება და ცხოვრება ავტომატურად მიუჩენს კუთვნილ ადგილს საზოგადოებაში. ასე ეგონა მალაქიასაც, მაგრამ მწარედ შეცდა. იმ ტურნირის შედეგად გამოჩნდა, რომ მალაქია პოლიკარპეზე ბევრად უკეთესად თა-მაშობს ჭადრაკს, მაგრამ მალაქიამ ყურადღება არ მიაქცია მეტად საინტერესო გარემოებას: მან საჭა-დრაკო პარტია პოლიკარპესთან წააგო. ტურნირის ფორმალურ ნაწილში არავის დაუფიქსირებია, რომ მალაქიას მარცხის მიზეზი სპეციალურად დაზიანე-ბული საათი იყო. მილიციის მეორე განყოფილების უფროსსაც ეგონა, ეს უტვინო და არაფრისმცოდნე კომკავშირული საგზურით მოსული კაცი ეცდებო-და, წესიერად მოქცეულიყო და მონური ერთგულე-ბით დაემკვიდრებინა ადგილი თანამშრომელთა შო-რის; იქნებოდა ბრძანებების უსიტყვო შემსრულე-ბელი და დროთა განმავლობაში საშუალო მილი-ციელად ჩამოყალიბდებოდა. სინამდვილეში კი პო-ლიკარპემ იპოვა, მართალია, უღირსი გზა და მი-ლიციის უფროსის სავარძელშიც მოკალათდა. ამ შემთხვევაშიც ფაქტად დაფიქსირდა, რომ პოლიკარ-პემ გაიმარჯვა. ეს მალაქიას და მისნაირებს ჰგო-ნიათ, რომ გამარჯვება ღირსეული უნდა იყოს, თო-რემ პოლიკარპესნაირი კაცებისთვის მთავარია თა-ვად გამარჯვების ფაქტი. ეს მერე, იმქვეყნიურ ცხოვრებაში განიკითხავენ წესიერ და უწესო გა-მარჯვებებს; აქ კი, წუთისოფლის ამ მონაკვეთზე, გამარჯვებული პოლიკარპე იქნება, ხოლო და-

მარცხებული – მასზე ბევრად წესიერი ადამიანი. სწორედ რომ წესიერი და არა გონიერი. გონიერი არსება ვალდებულია სუსტი მოწინააღმდეგის ყველა სვლა გათვალოს, მათ შორის ისეთიც კი, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ხშირად წარმოუდგენლად პათოლოგიურია.

მაინც რაში დასჭირდა პოლიკარპეს მალაქიას სასიკვდილოდ გაწირვა? რას მიიღებს დამცველთა კოლეგიის ერთი ჩვეულებრივი წევრის თუნდაც ორ-მაგ მკვლელობაში მხილებით მილიციის უფროსი? ისეთს – არც არაფერს. მკვლელობის ოპერატიული გამოძიებისთვის დიდი-დიდი სამმართველოს უფროსისგან მადლობა დაიმსახუროს. ჩეკას მაღალჩინოსნის ღალატში მხილება კი გრანდიოზულ კარიერულ წინსვლის პერსპექტივას შეუქმნიდა, თანაც არა მილიციაში, არამედ მისთვის სანატრელ და საყვარელ ჩეკას სტრუქტურებში. თუმცა ეს პერსპექტივა ბანდიტების სიკვდილის შემდეგ ბუნდოვანი ხდებოდა. როგორც ჩანს, პოლიკარპემ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი წიწილა ამჯობინა. ან კიდევ რაღაც ისეთი ამბები ტრიალებს, რაზეც მალაქიას ინფორმაცია არა აქვს. შესაძლოა, მალაქიასგან მიღებული ცნობები უშიშროებაში მყოფი მოღალატის შესახებ თავის როზა კნეინას გააცნოს და ერთად დაგეგმონ რაიმე ოპერაცია მტრის გამოსავლენად. მალაქია კი, როგორც ბევრის მცოდნე, გზიდან მარტივად ჩამოიშორა. კიდევ რამდენიმე ვერსიის მოფიქრებაც შეიძლება, მაგრამ ამ სიტუაციაში რა აზრი აქვს ამ თემაზე ფიქრს და განსჯას? პრაქტიკულად სიკვდილმისჯილის ბნელი საკნიდან შეცვლი რამეს, თუ რა?

ცდილობდა დედაზე არ ეფიქრა, მაგრამ გონებას თავისი კანონები აქვს. ყველაზე მძიმე დღეში ახლა მაგდაა. რა თქმა უნდა, უკვე ყველაფერი იცის. . .

უცებ გასაღების ღრჭიალის ხმა გაიმა, რომელსაც კარის ჭრიალი მოჰყვა და მალაქიას თვალები ზედამხედველის ხელის ფარნის შუქმა დაახუჭვინა.

- აბა, ადექი და გამოდი, გარეთ მანქანა გელოდება.

მალაქია უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას. დუმილით გაიარეს დერეფანი, ეზოში გავიდნენ, იქ მდგომი "ჩორნი ვორონის" უკანა კართან მალაქიამ მოციმციმე ცას ახედა, ღრმად ჩაისუნთქა და დინჯად ავიდა მანქანაში. კარი მოიხურა და აქაც უკუნმა დაისადგურა. რამდენიმე წუთში დაღმართი დაიწყო, მერე მტკვრის სურნელი შეიგრძნო და ამ არომატმა კიდევ დიდხანს გააცილა; მალაქია მძაფრ სუნზე მიხვდა, რომ ორთაჭალის საპნის ქარხანას ჩაუარეს. იცოდა, სადღაც აქ ორთაჭალის ბაღებში ღამღამობით ხვრეტდნენ ადამიანებს, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ "გუბერნსკის" ციხეში გადაჰყავდათ. ახლა ამ ციხეს "გამსახლი" ერქვა, ანუ გამოსასწორებელი სახლი. მალაქია ამჯერად არ შემცდარა.

თავი მეშვიდე

”ბეზსოზნი” პატიმარი

ზედამხედველის ფარნის შუქით განათებული “გუბერნსკის” საკანი ბევრად უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე – სამმართველოს იზოლატორის და, რაც მთავარია, აქ სხვა პატიმრებიც იყვნენ. დახშულ სივრცეში დაგუბებული მძაფრი ოხშივარი მალაქიას სახეში ეცა და თვალები აეწვა. ეს გახლდათ ფეკალიების, მაგრამ არა ადამიანის განავლის სუნი. ერთხელ ბავშვობაში იპოდრომის საჯინიბოში შეიგრძნო ამგვარი არომატი და ახლა გაახსენდა; შეიშმუშნა. საკანში, სადაც ორ ათეულამდე პატიმარი იყო გამომწყვდეული, ცხენის ოფლის და ფუ-

ნის სუნი იდგა. უნებლიეთ იატაკს დახედა, არიქა, რამე რბილში არ ჩავყო ფეხიო.

- “სტაროსტა”! ახალი გყავთ, თუ გუშინდელი ჯერ კიდევ არ დაუხვრეტიათ? – სრული სერიოზულობით იკითხა ზედამხედველმა. – გამოჩნდი, კაცო, დროზე, თორემ ვარწყიე და ეგ არის!

- ჯერჯერობით ისევ მე ვარ. რას დამჩხავი?! თითქოს ჩემი გაჭირვება არ მყოფნის და ახლა შენი ენის ყივილიღა მაკლია. ყოველი კარის გაღებაზე მუხლები მიკანკალებს. არადა, ხომ გახსოვს ოთხი წლის წინ, პირველად რომ ვიჯექი, როგორ მიხაროდა შენი შემოსვლა?! მაშინ ან “პერედაჩი” მოგქონდა, ან ჩემი “მასტის არესტანტი” შემოგყავდა. სასმელი არ მოგიტანია, ვხედავ: იქნებ პაპიროსი შემოგყვა და სურვილი გკლავს გამიმასპინძლდე?

- პაპიროსი არა, დედიშენისა. აჰა, პატიმარი ჩაიბარე! გარეგნულად ხალხის მტერს კი ჰგავს, ყველას ორმოცდამეთვრამეტე “სტატია” ჰგონია, მაგრამ ნამდვილად შენი “მასტია” – ორი ადამიანის მკვლელი! “პრესტუპნიკებთან” გაანაწილე.

- ერთი კაცი რომ შემოიყვანე, მივხვდი, ჩემიანი იქნებოდა. აბა, პოლიტიკურები ჯგუფ-ჯგუფად მოგყავთ და რომ შემოლაგდებიან ფარნის მკრთალ შუქზე სახეები აქვთ – თითქოს საკუთარ პანაშვიდზე არიანო.

- ყოველთვის ყბედი იყავი და ყბედად მოკვდები, უფრო სწორად – დაგხვრეტენ. მოეშვი ლაქლაქს და საქმეს მიხედე.

- მოიცა, კაცო, შენ მალაქია არა ხარ – ადვოკატი მალაქია? აქ რამ მოგიყვანა? რა ორი კაცის მკვლელიო? რას ბოდავს ეს კარგი დედ-მამის შვილი? – კარი დაიხურა და ურდულის ჩარაზვის ხმა გაისმა. – თფუ, კარგი დედ-მამის არა, დედიმისისა?! რა ძაღლიც თვითონაა, დედ-მამაც ასეთივე ეყოლება.

მალაქიას წინ იდგა მთელ ქალაქში ცნობილი ქართული პოეზიის და ანდაზების უბადლო მცოდნე და იმავე დროს ვაგზლის სათითურების მაესტრო, ქურდბაცაცა, ყომარბაზი თამშუკი. აჰა, ახლა ამ თაღლითმა ლექსების თანხლებით უნდა გადაწყვიტოს, რომელ ნარზე გაატარებს მალაქია თავის ცხოვრების ბოლო დღეებს.

- თამშუკ, შენ რაღაზე ზიხარ? დავიჯერო ამ დროში ვინმეს შენნაირებისთვის სცხელა? – ნაცნობის დანახვისთანავე ხალისი მიეცა მალაქიას.

- თამშუკ, ვინ მოიყვანეს, რა "მასტია", ტო? – გაისმა საკნის სიღრმიდან ხრინწიანი ხმა.

- კარგი კაცია, ჩვენი ძმების ძმა და მეგობარი. ჯაბა ბატონო, გეცოდინება: ადვოკატი მალაქია.

- რაზე ზის?

- რა ვიცი?! “ნადზორმა” ორი კაცის მკვლელობაზეო.

- რას ჰქვია: რა ვიცი? შენი საქმე სწორედ მაგის დადგენაა. რამდენჯერ გითხრა ეგ სიტყვები არ გამაგონო-მეთქი. აირია ქვეყანა, ვერაფერს გაიგებ. გაგონილა, ვექილი კაცს კლავდეს? არა, ნაღდად მეორედ მოსვლაა! ეგ რა უბნელია, ტო?

- გარეთუბნელი, მთაწმინდელი-რაღა!

- ჰო, გამახსენდა, ვიცი, მაგასთან ჯერჯერობით პრეტენზიები არა გვაქვს; იყოს თავისთვის; მერე ვნახოთ, საძმოში გავიკითხავ.

- აჰა, ძმაო, ვინა თქვა, სანთელ-საკმევლის ამბავი ტყუილიაო?! აგერ, სად დაგხვდა ჩვენ ძმებზე გაწეული ამაგი?! მაგრად გაგიმართლა, “კამერას” ჯაბა უყურებს, აქ შენი დამჩაგრავი არავინაა. ისე შინაურულად გეტყვი, – თამშუკმა ყურებზე მიადო ტუჩები და ჩასჩურჩულა. – “პრესტუპნიკები” ამ ბოლო დროს აქ “პალაჟენიას” ვერ აყენებენ; პოლიტიკურები მეტნი არიან და ამიტომაც ვერ ჩაგრავენ. “სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო.” სამაგიეროდ ზონაზე, იცოცხლე, ერთიორად იყრიან ჯავრს.

- მადლობის მეტი რა მეთქმის.

- წამო, შენი ადგილი განახო; იქ დავილაპარაკოთ. ეჰ, ძმაო, სადღაა ძველი ციხე?! თორემ ასეთი დახვედრა გეკადრება?! უწინ აქ კარგი პურმარილი, ღვინო-არაყი, თამაში, მხიარულება, საქმის

გარჩევა იყო. ერთი სიტყვით, ცხოვრება დუღდა და ყველაფერი თავზე საყრელად გვქონდა. სად გაგონილა, ახალი პატიმარი შემოვიდა და მისი ამბავი არავის აინტერესებს. კაცი იფიქრებს, "კამერაში" გაბუტულები სხედანო. ყველა თავისთვისაა. ეს რა დრო დადგა, კაცო?! წახდა ყველაფერი! უწინ უნდა გენახა! როგორ თქვა პოეტმა: "ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვნენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად!" რომ გიცანი, ვიფიქრე, ჩემსავით პოლიტიკურზე იქნება-მეთქი! მოვედით, აი შენი საწოლი, აქ დაიძინებ.

- მოიცა, მოიცა! რაო, რა თქვი? შენ რა, მართლა პოლიტიკურზე ზიხარ? სად შენი საქმიანობა და სად – პოლიტიკა?! აბა, "მე იგივე ვარ, მარად და მარადო"?! – ნარზე ჩამოჯდა მალაქია.

- ჩუმად ვილაპარაკოთ. "კამერაში" "ნასედკები" არა გვყავს, მაგრამ ამ ბოლო დროს კედლებმაც ყურები გამოიბეს; აგერ შეხედე, როგორ აპარტყუნებენ?! ყურების ამბავი, რასაკვირველია, ხუმრობაა, მაგრამ იქ, ამ სიბნელეში არ ჩანს, მართლა კიდია ერთი პლაკატი ვალოდია ულიანოვის პორტრეტით, რომელსაც საოცარი წარწერა ამშვენებს. აბა, თუ მიხვდები რა? – "Ленин с нами!" მე მგონი, სტალინი გვეღადავება. რაც საბჭოთა კავშირში ციხეებში საკნებია ყველგან ილიჩის სურათი ჩამოკიდა. ეტყობა, უმაღლეს ნეტარებას განიცდის, ლენინი რომ ყველა ციხეში ერთდროულად ჩასვა. ეგრეა, ძმაო! მე და ვლადიმერ ილიას ძე პოლიტიკურზე დაგვიჭირეს, – ჩურჩულზე გადავიდა თამშუკი.

- არა თქვა ახლა, გერმანიის აგენტი ვარო?! სათითურებით ფაშისტების სვასტიკის კონტურებს ხომ არ ხაზავდი?! – გამხიარულდა მალაქია.

- სვასტიკა არა – ტოროლა?! ვიღაც ნაბოზარმა ჩამიშვა. ახლა ასე ამბობენ: ვისაცა გასცემ – შენიაო და ყოველი მეორე ჩამბოზებელი გახდა, ძმაო. პოლიტიკური "კარტი" მიპოვეს.

- აჰა! ეგ რაღაა, თუ ძმა ხარ?

- ხომ იცი "სეკას" გიჟი ვარ?! ახალი "კარტის კალოდა" გავაშანშალე. "ვალეტებზე" ყმაწვილი სტალინი დავახატე, "დამებზე"– დედამისი კეკე, "კაროლებზე"– კიტელიანი, ხოლო "ტუზებზე" – გენერლისფორმიანი სტალინი. მგონი, ბერიამ დამღუპა. ეგ ცხრიანზე გამოვჭიმე, მეგონა, პატივი ვეცი.

- ეგ რომელი ცხრიანია, ბანქოს დარიგების დროს, მუდმივად დასტის ქვეშ რომ გაქვს შემონახული, არა?

- შენ იცინე და დამცინე, მართლა პოლიტიკური პატიმარი ვარ.

- ხუმრობ ხომ?

- ფაიზაღს გეუბნები. რა მეხუმრება, დავიღუპე კაცი. ვინ იფიქრებდა, მე თუ "პიატდესიატვასმოით" გამასამართლებდნენ ოდესმე. ჩემი "ზნამენიტი" კოლეგებიდან ასეთი პატივი მხოლოდ კამოს–ტერ-პეტროსიან-ძღრენიჭამიას ხვდა წილად.

- არა, ნამდვილად საგიჟეთია! მართალი გითხრა, ამათგან აღარაფერი მიკვირს. ერთი ეს მითხარი, ფუნის სუნი რატომ დგას?

- შენც იგრძენი ხომ? მეც ეგ ვიკითხე და იცი, რა მითხრეს? “პერედაჩი” აქ არ შემოდის, ადამიანებს ცხენებივით მხოლოდ ქერის წყალწყალა ფაფას აჭმევენ. გაგიგონია ალბათ: რას შვრებიო და რასაც ვჭამ – იმასო! საქონელივით რომ იკვებები, შენც და შენს განავალსაც ნეხვის სუნი აუვა, აბა რა იქნება?! არა უშავს, მალე მიეჩვევი. ისე, მეორე მხრივ, კარგიც კია, ფუნის სუნი რომ დგას; კაცის განავალს ბევრად მყრალი სურნელი ასდის. ამაზეა ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო.

- რას ვიფიქრებდი, ეგ ანდაზა ასეთი უნივერსალური თუ იყო და ადამიანის და ცხენის განავალსაც ასე მოუხდებოდა?!

- ახლა ღამეა და უმრავლესობას ან სძინავს, ან კიდევ თავს იმძინარებს. დილით “პერეკლიჩკაზე” წარგადგენ და ამათაც გაგაცნობ. ისე, რას ნახავს კაცი უკეთესს?! საკნის ორი მესამედი “პიატდესიატვასმოის” ხალხს უჭირავს და მხოლოდ ერთი მესამედია “პრესტუპნიკების”. პოლიტიკურების მხარეს ახლა სიხალვათეა, ორი საათის წინ გაიყვანეს გუშინ ღამით შემოყვანილი ხუთი კაცი დასახვრეტად. ბოლო დროს უცებ ტყდებიან და ეგრევე აღიარებით ჩვენებებს იძლევიან. მე თუ მკითხავ, სწორადაც იქცევიან. აბა რა აზრი აქვს “ატკაზზე” გასვლას?! დიდი-დიდი ორი დღით გაიხანგრძლივო სიცოცხლე. სამაგიეროდ, ამ ორ დღეს ჯოჯოხეთად გიქცევენ.

ხო მართლა, არ დამავიწყდეს, “კამერაში” ერთი “ბეზხოზნი არესტანტიც” გვყავს.

- ეგ რაღაც ახალია. არც გამიგია, თუ “ბეზ-ხოზნი” პატიმარიც არსებობს.

- ხო, მართლა ახალია. ახლა, აგერ კუთხეში, ნარზე წევს თავისთვის და ხმას არ იღებს. გეტყვი, რატომ ვეძახით “ბეზხოზნის”. აქ რომ კაცი შემო-ჰყავთ, ის ან უკვე დაკითხულია, ან მაშინვე დასა-კითხად გაჰყავთ და მობრუნდება თუ არა, იცის, რაზე ჩასვეს. ყოველ პატიმარს თავისი გამომძიებე-ლი ჰყავს და მე როგორც “სტაროსტას” მევალება ვიცოდე, ვინ ვისი პატიმარია. ამ კაცს კი არც არა-ვინ მოაკითხა და არც რაიმე “სვოდკა” მიმიღია მის შესახებ. რაც მოიყვანეს, არის თავისთვის. ვიფიქრე, “ნასედკა” ხომ არ არის-თქო, მაგრამ მაგის ასაკის კაცს ალბათ უკვე კარგადაც არ ესმის და რომც მოჰკრას რამეს ყური, არამგონია, დამახსოვრების უნარი ჰქონდეს?! ჯაბამ ამიხსნა, შესაძლოა, შეც-დომით დაიჭირესო. ერთხელ თურმე, მორიგი ეტაპის დროს, მაგათთან “ტეპლუშკაში”, სატვირთო ვაგონ-ში-რაღა, ვაგზლის პლატფორმაზე მყოფი, მშობ-ლებს ჩამორჩენილი პატარა ბიჭი შეცდომით შე-მოუგდია “ახრანას”. ხოდა, ის საწყალი ბავშვი “პე-რესილნიშიღა” მოუვიდათ ზედმეტად სათვალავში, თორემ ბოლომდე ახეხვინებდნენო. მე მგონი, ეგ მოხუციც ასევე შემთხვევით გამოაყოლეს ხელს და ახლა არ იციან, რა უქნან.

- შენი ამბავი ცნობილია, სახელს არ ჰკით-ხავდი, მაგრამ ნაღდად გაარკვევდი, რა უბნელია.

- სახელიც ვიცი და უბანიც; რომელი გაინ-ტერესებს?

- ორივე.

- "კაკ რაზ" შენი უბნელია, ძნელაძეზე უცხო-ვრია და ავქსენტი პაპას მეძახიანო. იცნობ?

მალაქია დარწმუნებული იყო, რომ უკვე აღა-რასოდეს არაფერი გაუკვირდებოდა, მაგრამ თამშუ-კის სიტყვების გაგონებაზე მთელ სხეულში ჟრუან-ტელმა დაუარა. დიდება შენდა, უფალო! ამ ამბებში აშკარად ჩანდა უხილავი ძალის ხელი.

- რაო, რაზე დამიჭირესო, რას ამბობს?

- არაფერი ვიციო და ნამდვილად გულწრფე-ლადაა გაკვირვებული. გამომძიებელს – კი, მაგრამ მე, ხომ იცი, ვერ მომატყუებს.

- ცნობით არ ვიცნობ, მაგრამ გამიგია. აბა რომელია, მანახე.

- ხომ გითხარი, ეგერ ორ ნაბიჯში, კუთხეში ზურგშექცევით წევს ქვედა ნარზე-მეთქი. მიდი, მა-გას ნაღდად არ სძინავს.

მალაქია ფეხაკრეფით და ხელების ფათურით მიუახლოვდა მოხუცის საწოლს. ფრთხილად დაადო ხელი მარჯვენა მხარზე:

- ღამე მშვიდობისა, ძია ავქსენტი!

- მშვიდობა ნუ მოგიშალოს უფალმა. რომელი ხარ? – მოხუცი გადმობრუნდა და სახეზე დააკვირდა მალაქიას, თითქოს ამ უკუნში რაიმეს დანახვა შეიძლებოდა.

- თქვენი მეზობელი ვარ!

- რომ ვერ გიცანი, შვილო?! სად ცხოვრობ ან ვისი შვილი ხარ?

- თეატრალურ შესახვევში, მუსიკის მასწავლებელ მაგდას შვილი ვარ.

- მაპატიე, მაგრამ არც შენ გიცნობ და არც დედაშენს. დიდხანს არ ვცხოვრობდი საქართველოში; ორიოდე წელია, რაც ჩამოვედი. ჩემი ძველი ნაცნობები უკვე დახოცილები დამხვდნენ, ახლებს კი ვეღარ ვიმახსოვრებ. წლებს თავისი მიაქვს. ჩემი თავი ჯანდაბას, ცხოვრება გავლიე, შენ კი ახალგაზრდა კაცი ხარ, აქ რამ მოგიყვანა?

- ძია ავქსენტი, თუ ნებას დამრთავთ, ერთი კითხვა მაქვს თქვენთან.

- მკითხე, შვილო, ნუ მერიდები. საბოდიშო რა გაქვს?!

- რ და ჯ, ბატონო ჩემო!

- რა თქვი, შვილო, გაიმეორე ამ სიბერეში ყურს დამაკლდა.

- რომეო და ჯულიეტა, ძია ავქსენტი!

- რა რომეო და ჯულიეტა, შვილო?! ნუთუ ისე გცემეს ამ ჯოჯოხეთის მსახურებმა, რომ გონება დაგებინდა?! ეს თეატრი კი არა ციხეა, ციხე. ახლა დამშვიდდი, დაისვენე, თუ შესძლებ, დაიძინე და დილით ყველაფერი უკეთესად იქნება.

- რ და ჯ, ძია ავქსენტი, სპირიდონი მამა იყო ჩემი!

“ნუთუ შევცდი? რა მწარე იმედგაცრუებაა. ახლა კი ნამდვილად დამთავრდა ყველაფერი!”

- ოთხმოცდარვა!

- უკაცრავად, რა ოთხმოცდარვა? მამა სულ მაფრთხილებდა, ჩვენში ბოლომდე არც არაფერი ითქმება და არც იშიფრება. ყოველთვის არის რაღაც უთქმელი და გამოსაცნობი. თუ გენდნენ, განგიმარტავენ კიდეც. ზოგჯერ კი მხოლოდ შენ უნდა გამოიცნო. ასეთია წესიო. ვივარაუდე, რომ 88 გვერდზეა საუბარი.

- მართალი ხარ. შვილო, ოთხმოცდარვა გვერდი! “რომეო და ჯულიეტას” ივანე მაჩაბლის ხელთ არსებული გამოცემა, რომლის თარგმნასაც აპირებდა, ოთხმოცდარვაგვერდიანი იყო.

მალაქიამ ხელზე იჩქმიტა. არა, ყველაფერი ნამდვილად ცხადში ხდებოდა!

- როგორ მოგმართოთ, ბატონო ჩემო?

- ჩვეულებრივად, ჩემი სახელია ავქსენტი.

- ვიმსახურებ თუ არა თქვენს ნდობას?

- სრულებით! თქვენს შესახებ ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე წარმოგიდგენიათ, – მოულოდნელად თქვენობითზე გადაერთო მოხუცი.

- აქვს კი აზრი ჩვენს საუბარს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამ ციხიდან, თანაც ამ დროში და, მით უმეტეს, ჩემთვის წაყენებული ბრალდებით, გასვლის შანსი ნულის ტოლია?

- ორი ადამიანის მკვლელობის ბრალდება, დარწმუნებული ვარ, შეთითხნილია და სრული სიცრუეა. ეგ ამბავი, შესაძლოა, ჩემთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება შანსს? – იგი ყოველთვის არსებობს. ამაზე მოგვიანებით. თუმცა, უნდა იცოდეთ, დრო ძალიან ცოტა გვაქვს.

- შემიძლია გკითხოთ, რა მოხდა 1898 წლის 26 ივნისს?

- გააზრებული გაქვთ, რა მძიმე ტვირთი უნდა ატაროთ თქვენს კითხვაზე პასუხის მოსმენის შემთხვევაში?

- სავსებით, ჩემო ბატონო!

- თქვენ, რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ რაღაც ძალიან საიდუმლო რიტუალის შესრულება მოგიწევთ, მაგრამ ეს ასე არ არის. თქვენზე მემკვიდრეობით გადმოსული მოვალეობის შესახებ, როგორც ჩანს, იცით. ჩვენი თანამშრომლობა უკვე შედგა. სხვა დროს ამ საკითხებზე საუბრისგან

თავს შევიკავებდი, მაგრამ სტალინმა ისეთი მასშ-ტაბური ტერორი დაიწყო, გამორიცხული არაა, არა თუ ჩვენ, არამედ ჩვენი ამბების მცოდნე ცოცხალი აღარავინ გადარჩეს. ჩეკა მეფე ჰეროდეს გზას დაადგა და გადაწყვიტა ყველა მოსპოს, ვინც კი შეიძლება თეორიულად სხვა პოლიტიკური გაერ-თიანების თანამზრახველი იყოს. სწორედ ამიტომა-ცაა, რომ უპირველესად განათლებულ ადამიანებს ხვრეტენ. ახლა რაც შეეხება 1898 წლის ზაფხულს. მას წინ რამდენიმეწლიანი ისტორია უძღოდა. სა-ქართველოს ფარული მთავრობის ხელმძღვანელმა ილია ჭავჭავაძემ 1873 წელს პეტერბურგში "მეფე ლირის" თარგმანზე მუშაობის დროს ქვეყნის სამ-სახურში მიიწვია უცხო ენების მცოდნე სრულიად ახალგაზრდა ვანო მაჩაბელი და მას ევროპის ქვეყ-ნებთან კავშირების დამყარება დაავალა. ცნობილია, რომ ძალაუფლებას ვერ განახორციელებს ვერც ცალკე აღებული ერთი ადამიანი და ვერც ყველა ერთად; ძალაუფლების განხორციელება ძალუძს ორგანიზებულ უმცირესობას, რომელიც მართავს მასებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ორგა-ნიზებულია. მაგრამ თანამედროვე სამყაროში ორგა-ნიზებულ უმცირესობას აუცილებლად სჭირდება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობების და ასევე სხვადასხვა ტიპის ორგანიზებული უმცირე-სობების მხარდაჭერა.

"ის წასულია სხვათა ქვეყანაში, დიდ საქ-მეებს აკეთებს", – გაახსენდა მალაქიას ნატალია ერევანცოვის ქალის სიტყვები შვილის შესახებ, ფრიდონას ნათქვამი, ალექსანდრე მაჩაბლის მოგო-ნებიდან.

- მსგავს ორგანიზაციებში ევროპის სხვადასხვა მასონური ლოჟები ხომ არ იგულისხმებოდა?

- არამხოლოდ მასონური ლოჟები. ჩვენ დავამყარეთ კავშირები თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად აღიარებულ დახურულ ორგანიზაციასთან: ილუმინატებთან, როზენკროიცერებთან, იეზუიტებთან, სხვებთან.

გასაგებია ჩვენი საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ გაერთიანებებისადმი. როდესაც პრეტენზია გაქვს იყო საიდუმლო ორგანიზაცია, ეს უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ შენს მიმართ უამრავი ეჭვი გაჩნდება და ბრალსაც დაგდებენ კაცობრიობის ყველა უბედურებაში. შეთქმულების თეორიები დასავლეთის თავისუფალ საზოგადოებაშიც არსებობს. ჩვენში კი, სადაც 1822 წლიდან ოფიციალურად კანონით იდევნებოდა ამგვარი გაერთიანებები, ხოლო 1921 წლიდან ბოლშევიკებმა ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ტერორი გამოუცხადეს, ადამიანები შიშით უყურებენ კონსპირაციის ნებისმიერ გამოვლინებას. მასონური ლოჟები, ილუმინატები, იეზუიტები და სხვა ჯგუფები ცივილიზებულ სამყაროში ღიად არსებობს, მათი წევრობა ინდივიდების გადასაწყვეტია და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ადამიანის უფლებების შელახვად ითვლება. ეს გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს კაცობრიობის ისტორიაში და მათთან კავშირების უქონლობა წამგებიანია ჩვენი ქვეყნის არსებობისა და მომავლისთვის. მით უმეტეს, რომ წარსულში

ევროპული ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები არა თუ არაოფიციალურ გაერთიანებებთან, არამედ საქართველოს სამეფოს წარმომადგენლებთანაც კი ერიდებოდნენ სერიოზულ კავშირებს.

- ბატონო ავქსენტი, სულხან-საბა ორბელიანი წმინდა ბასილის ორდენის წევრიც გახდა და ვახტანგ მეექვსეს ელჩიც იყო ანუ ერთდროულად დახურული დაჯგუფების და საქართველოს სამეფოს წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ ევროპელებთან ურთიერთობაში ქვეყნისთვის სასარგებლო შედგეს მაინც ვერ მიაღწია. საფრანგეთის ხელმწიფე ლუი მეთოთხმეტე სულხან-საბას ორჯერ შეხვდა, ხოლო გადაწყვეტილება მაინც სპარსეთის ელჩის მოჰამედ რიზა-ხანის სასარგებლოდ მიიღო. ევროპის უძლიერესმა სახელმწიფომ სპარსეთში თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები საქართველოზე მაღლა დააყენა.

- განა რა არის საფრანგეთის ქმედებაში საკვირველი?! იმჟამად მათი სახელმწიფოსთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო სპარსეთთან კავშირი, ვიდრე საქართველოსთან მეგობრობა. თუკი გსურს გამარჯვება, შენს კონკურენტებზე ძლიერი არგუმენტები უნდა გქონდეს. იმის ძახილი, რომ მეორედ მოსვლის დროს უფალი მხოლოდ ქართულ ენაზე განიკითხავს და სამების მეოთხე ჰიპოსტასი ქართველთა თამარ მეფეა, რელიგიურადაც მკრეხელობაა, თანაც სიმართლესაც არ უნდა შეესაბამებოდეს. თამარ მეფე ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული და ეს უდიდესი პატივია; რაც შეეხება ქართულ ენას? მეორედ მოსვლის დროს უფალი

ქართულ ენაზეც განიკითხავს. სწორედ სხვა ქრისტიანულ ენათა შორის ქართულის აღიარებაზე საუბრობს იოანე-ზოსიმე თავის “ქებაჲ და დიდებაჲში”.

თუ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ობიექტური პირობები არ შეიქმნა, ძირეული წარმატებების მიღწევა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნება. ჩვენი ამოცანაა ამ ობიექტური პირობების წარმოქმნისთვის ხელის შეწყობა და მათი წარმოშობის შემთხვევაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფნა, რათა ღვთისგან ბოძებული შესაძლებლობა მაქსიმალურად სარგებლიანად გამოვიყენოთ.

- ევროპაში იმჟამად ძლიერდებოდა მარქსისტული მოძრაობა. თითქოს ამ ტიპის გაერთიანებების კონსპირაციულობაზეც ლაპარაკობდნენ. ნუთუ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორდენებთანაც არ ერიდებოდით ურთიერთობებს.

- ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის პირველი ხმაურიანი საჯარო დაპირისპირება 1883 წელს მოხდა. იმ წელს მაჩაბელი ილიას სურვილის წინააღმდეგ წავიდა და ზედიზედ ორჯერ შესძლო მისი დამარცხება: ილიას “დროების” რედაქტორად ქანანოვი უნდოდა, მაგრამ გაზეთის ხელმძღვანელი მაჩაბელი გახდა; ილიას ბანკის მეთაურად ავალიშვილი უნდოდა, არჩევნები კი მაჩაბელმა მოიგო. ქართული საზოგადოება ალაპარაკდა ილიას და ივანეს მტრობაზე. მაშინ არავის მოსვლია აზრად ეს დაპირისპირება რაიმე სახით დაეკავშირებინა სულ მალე ევროპულ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენასთან. კერძოდ იმ დროისათვის

ძალას იკრეფდა სოციალ-დემოკრატიული აზროვნება და 1883 წლის სექტემბერში პლეხანოვმა შეჰქმნა კიდეც "შრომის გათავისუფლების" მარქსისტული ჯგუფი და თეორიულად დაარსა სოციალ-დემოკრატია. ილიამ იცოდა, თუ რა საფრთხეს უქადდა კაცობრიობის განვითარებას ეს, ერთი შეხედვით, სამართლიანი მოძრაობა, რომელიც პოპულარული უნდა გამხდარიყო ადამიანთა მასებში და ბრბოს მმართველობის დამკვიდრების დიდ წინაპირობას ქმნიდა სხვადასხვა სახელმწიფოში. განსაკუთრებით საშიში იყო ეს მოვლენა რუსეთის იმპერიისთვის. ილია ჭავჭავაძის ფარულ მთავრობას ჰქონდა კონკრეტული ამოცანები და მიზნები, რომლებიც განპირობებული იყო არსებული ოფიციალური წესრიგით და მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ თანდათანობით სვლას სწორედ ამ წესრიგის პირობებში. სოციალ-დემოკრატიის ფეხის ადგმასთან ერთად საქართველოსთვის ახალი საფრთხეები გაჩნდა და ეს რეალობა უკვე სხვა ტიპის ბრძოლის ხერხებს მოითხოვდა. გაჩნდა საჭიროება ახალი ფარული მთავრობის შექმნისა და ილიამ ამ მეორე ჩრდილოვანი ხელისუფლების ხელმძღვანელად მისი ახალგაზრდა თანამებრძოლი ივანე მაჩაბელი დაინახა და დაიწყო მისგან საჯარო გამიჯვნა, რათა იგი ილიას პოპულარობის არეალიდან გაეყვანა. გარდა სოციალ-დემოკრატიული საფრთხისა, ახალი ფარული სტრუქტურის შექმნა სხვა ობიექტური მიზეზითაც იყო განპირობებული. ყველაფერი ფარული ოდესმე აუცილებლად გაცხადდება და ილიას საიდუმლო მთავრობასაც ემუქრებოდა ეს საფრთხე. ამიტომ

ჩრდილოვან სტრუქტურებშიც აუცილებელი იყო პერმანენტული განახლებები.

1898 წლის 1-3 მარტს მინსკში გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობა და უკვე აშკარა იყო, რომ ეს მოძრაობა რუსეთის იმპერიაში სულ მალე საშიშ მასშტაბებს მიიღებდა. იმ დროისთვის ილია, მართალია, ფარული მთავრობის მეთაური იყო, მაგრამ მისი ცნობადობა და აღიარებულობა იმდენად მაღალი ხარისხის გახდა, რომ იგი საქართველოს საზოგადოების მიერ ფაქტობრივ ხელმძღვანელად აღიქმებოდა და მას უგვირგვინო მეფეს ეძახდნენ. ილიამ გადაწყვიტა, იატაკქვეშეთში გადაეყვანა ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით უკვე მოძლიერებული ახალი ფარული მთავრობა და ამ მიზნით გათამაშდა მაჩაბლის გაუჩინარების სპექტაკლი. პარალელურად ილია ჭავჭავაძემ მეკავშირის საშუალებით დაავალა სოსო ჯუღაშვილს ჩანერგილიყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და იქ გაეკეთებინა პოლიტიკური კარიერა. ეს რჩევა საიდუმლო საზოგადოება როზენკროიცერებისგან მოდიოდა და, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ჩვენი გერმანელი მეგობრების სერიოზულ გათვლებზე იყო დაფუძნებული. გეცოდინებათ, სწორედ ეს "ვარდისა და ჯვრის" რაინდები მოიაზრებიან 1917 წლის რუსეთის რევოლუციების ზურგს უკან. 1898 წლის აგვისტოში იოსებ ჯუღაშვილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – "მესამე დასის" წევრი გახდა. სამწუხაროდ, განუზომელმა ძალაუფლებამ, რომელიც სტალინმა შემდეგში ხელთ ჩაიგდო, იგი ასევე განუზომლად გარყვნა, ხოლო

საქართველოს თავისუფლების იდეამ მის თავში როგორი ტრანსფორმაციაც განიცადა, უკვე ყველასთვის ნათელია.

- გამოდის რომ, სტალინი ილია ჭავჭავაძის საიდუმლო გეგმის ნაწილიც იყო.

- ილიას ახასიათებდა ნიჭიერი ადამიანების პოვნის და მოზიდვის უნარი. მხოლოდ გარემოებების თანხვედრის შედეგი არ არის, რომ სოსო ჯუღაშვილი უზარმაზარი წითელი იმპერიის პირველი კაცი გახდა. მინდა იცოდეთ, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები ჯერჯერობით კიდევ სტოვებს დიდ შანსს საქართველოს გადარჩენისა. მთავარია, საბჭოთა გარემომ ზნეობრივად საბოლოოდ არ გარყვნას ერი. ბოლშევიკების მმართველი კლასი ცდილობს ფუნქციები და პრივილეგიები მემკვიდრეობითად აქციოს, ისინი საზოგადოებისგან ახალ ძალებს არ მიიღებენ. მათი პარტია თანდათან ჩაიკეტება და ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. დროთა განმავლობაში ძალიან დასუსტდებიან და სწორედ იმ პერიოდისთვის ქართული საზოგადოება უნდა აღმოჩნდეს მოწოდების სიმაღლეზე, რათა მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეს საბჭოთა იმპერიის ნგრევის პროცესებიდან. თუმცა ჩვენი საბოლოო მიზანი დამოუკიდებელი საქართველო კი არა, არამედ – თავისუფალი ადამიანების თავისუფალი ქვეყანაა. დამოუკიდებელია ამჟამად გერმანია, მაგრამ მას ფაშისტი ჰიტლერი რყვნის და აჩანაგებს. ჩვენს საქმიანობაში უპირველესი მაინც პიროვნული თავისუფლების მიღწევის გზით ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაა. თავისუფალ

ქვეყანაში მცხოვრები თავისუფალი ადამიანია გონიერად ჯანმრთელი და მხოლოდ მას ძალუძს დაუბრუნდეს ღვთისგან შექმნილ საწყის მდგომარეობას და გახდეს სამყაროს შემოქმედი.

ჩვენი ქსელი, რომელმაც უმძიმესი დარტყმა მიიღო 1924 წლის აჯანყების დროს, ნაბიჯ-ნაბიჯ ძალას იკრებდა, მაგრამ, ამჟამად მიმდინარე სრულიად უსისტემო რეპრესიების შედეგად, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, არავინ იცის. მართალია, ახალი ადამიანების ჩაბმა ახალ რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჰეროდეს მეთოდით მოქმედი ხელისუფლების პირობებში ადამიანების ძალიან დიდ, გაუთვალისწინებელ დანაკარგებს განვიცდით და მათი ჩანაცვლება აუცილებელია. საქმიანობის გაგრძელებისთვის საჭიროა საიდუმლო საგანძურის გადარჩენა. თქვენ გევალებათ საუნჯის ადგილსამყოფლის დადგენა და მისი მოვლა-პატრონობა. ეს გახლავთ აუცილებელი პირობა. უნდა იცოდეთ, რომ განძი სხვაგანაცაა გაბნეული, მაგრამ თქვენი ქმედებები უნდა იყოს ისეთი, თითქოს ეს ხსნისთვის საჭირო ერთადერთი საუნჯეა და მისი დაკარგვის შემთხვევაში ქვეყნის ინტერესებს გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ საუნჯეს?! სავარაუდოდ დღეიდან ბოლშევიკების კიდევ ორი თაობა უნდა შეიცვალოს, რათა საბოლოოდ მოერყეთ ტახტი. ამას დაახლოებით ორმოცდაათი წელი დასჭირდება. ესე იგი, ნახევარი საუკუნის შემდეგ აუცილებელი, და სავარაუდოდ შესაძლებელი, გახდება აღნიშნული რესურსის სრულად გამოყენება.

- ბატონო ავქსენტი, გულწრფელად გეტყვით, რომ გონების და რწმენის უდიდესი მობილიზაცია დამჭირდა, რათა თქვენთვის მომესმინა და ჩვენი ამჟამინდელი მისტიკური მდგომარეობა ობიექტურად შემეფასებინა. უნდა ვაღიარო: ძალიან მიჭირს!

- სწორად ბრძანეთ! ჩვენი საქმიანობა გარკვეულწილად მისტიკურია და რწმენის ფენომენი ჩვენთვის აუცილებელია! მეტსაც გეტყვით: საგანძური სწორედ რწმენის სფეროს გადასარჩენადაა. – მოხუცის ხმაში მეტი სიმტკიცე იგრძნობოდა და მისი თვითდაჯერებულობა გადამდები გახდა.

- სად უნდა ვეძებო საიდუმლო განძი?

- ილია ჭავჭავაძის ნება ასეთია: ამ ეტაპზე საგანძურის დაცვა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენება ლელთ ღუნიას გვარის წარმომადგენელთ ევალებათ. გახსოვთ "მგზავრის წერილებში" წერდა: "ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა". . . სწორედ ლელთ ღუნიას დაავალა ილიამ გერგეტის სამების ტრადიციების აღდგენა. დროთა განმავლობაში ღვთისნიერმა კაცმა ხევში ილიას სხვა დავალებების აღსრულებაც დაიწყო და ორგანიზებული ქსელიც შექმნა. თქვენი ამოცანაა იმ ქსელის წარმომადგენლისთვის ინფორმაციის გადაცემა და მის შესრულებაზე თვალყურის მიდევნება. მოხევეები გულწრფელები კი არიან, მაგრამ არ გამოხატავენ თავის კეთილგანწყობას. მიუხედავად გარეგნული სიცივისა, სტუმრის საოცარი პატივისცემა ახასიათებთ და მათთან ურთიერთობაში შეგიძლიათ

სრულიად გულახდილი იყოთ. გულწრფელად ნათქვამ მწარე სიმართლეს მთელ საქართველოში მხოლოდ მოხევეები ხვდებიან ზედმეტი ემოციების გარეშე. მამათქვენს ჰყავდა სოფელ სივანს ერთი მეგობარი; ყარაჯეთ იაგორას ეძახდნენ და სწორედ ის დაგეხმარებათ ძებნაში.

- მაპატიეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლელთ ღუნიას ნამდვილი გვარი არსად მსმენია და წამიკითხავს.

- ღუდუშაურთა გმირული გვარისა იყო. ის ყარაჯეთ იაგორაც მაგ გვარის კაცია. ღუდუშაურებშია დამარხული საუნჯის საიდუმლო.

- ამ მძიმე დროს ყარაჯეთ იაგორას რომ რამე მოსვლოდა, ფაქტობრივად, ბრმა კნუტივით ვრჩები. სხვა რაიმე ნიშნებსაც ხომ ვერ მეტყვით?

- იაგორას გარდა საუნჯის პოვნაში კიდევ სამი ნიშანი გამოგადგებათ: პირველი – სოფელი სნო, მეორე – იქაური თინათინი და მესამე – განძის ჭურჭელი იადონის ხმას უნდა გამოსცემდეს. გონიერი კაცი ბრძანდებით და დანარჩენს თქვენით მიხვდებით.

- ბატონო ავქსენტი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ახლა იტყვით: “გაიხსენ, ციხის კარებო”, ციხე გატყდება და ყველანი თავისუფალნი შევიქნებით.

- ყველანი, სამწუხაროდ, – არა, მხოლოდ – თქვენ!

მოხუცი ამჯერადაც ისეთი თავდაჯერებული იყო, თითქოს სასწაულის მოხდენა მართლაც შეეძლო.

- უკვე მაშინებთ, ბატონო ჩემო!

- არა, სასწაულმოქმედი ნამდვილად არა ვარ. ჩემი რწმენა ცოდნაზეა დამყარებული. ყველა ციხიდან არსებობს გაქცევის შანსი და ერთ-ერთი გზა ზოგჯერ ციხის არქიტექტორების მიერაა პროექტშივე გათვალისწინებული. ეს ტრადიცია ჯერ ევროპაში დამკვიდრდა და მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის რამდენიმე ციხის მშენებლებმაც გაითვალისწინეს. რევოლუციების დროში დიდი იყო იმის შანსი, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები თავისსავე აშენებულ საპატიმროებში მოხვედრილიყვნენ. ამიტომაც მათი დაცვის სამსახურმა ციხიდან დახსნის გეგმაც შეიმუშავა. სახელმწიფოს რამდენიმე მაღალი რანგის მოხელემ იცოდა, რომ ყველა ძირითად ციხეს ჰქონდა საიდუმლო გამოსასვლელი და შემუშავებული იყო ამ გამოსასვლელებით სარგებლობის სქემა. ამის შესახებ 1900 წელს ბრიუსელში საპატიმროების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მიამბო ამ სფეროს ცნობილმა სპეციალისტმა პროფესორმა ივან ფოინიცკიმ.

ივან ფოინიცკი

მას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი; არაერთი ლექცია მომისმენია, თუმცა ბრიუსელში ჩვენი შეხვედრა სულ სხვა რანგში შედგა. ჩვენმა მეგობრებმა მასონური ლოჟიდან "საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი", რომლის ერთ-ერთი რუსული განშტოების – "ჩრდილოეთის ციალის" – წევრიც აღმოჩნდა ფოინიცკი, სთხოვეს მას გარკვეული დახმარება გაეწია. ფოინიცკი კარგად იცნობდა რუსეთის იმპერიის საპატიმროების სისტემას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო თბილისის საგუბერნიო ციხე. საიდუმლო გასასვლელი აქაც არსებობს. იგი ციხის კარცერშია შენიღბული. კარცერის შუა კედლის მეორე რიგის მარჯვნიდან მეორე ლოდი გასასვლელია, რომელიც გვირაბში შეგიყვანთ. ლოდის შუა ნაწილში იპოვით თვალით უხილავ პაწაწუნა ხვრელს, რომელშიც მახათს შეარჭობთ. ხუთი სანტიმეტრის სიღრმეზე განლაგებულია სპეციალური მექანიზმი, რომელიც დარტყმის შედეგად ჩამკეტს გახსნის. ლოდს მიაწვებით, წესით, ადვილად დაგემორჩილებათ. გვირაბში იპოვით ადამიანის მუმიას, რომელსაც გაპოხავთ იქვე ბიდონში შენახული ნავთობით. შემდეგ შემოიტანთ კარცერში, გაჰკრავთ მუმიაზე გულ-მკერდის არეში ძუით მიმაგრებულ კვესს და როცა დარწმუნდებით, რომ ცეცხლი საიმედოდ მოედო გვამს, გაძვრებით ისევ საიდუმლო ოთახში, ლოდს დააბრუნებთ ძველ ადგილზე. თავისუფლებაზე გასასვლელი გვირაბი საკმაოდ გრძელია და შესაძლოა ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიც იყოს, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ. საბოლოოდ ორთაჭალის ბაღებში გააღწევთ. მუმია კი

ისე დანახშირდება, ვერავინ იცნობს. ეგ არის და ეგ. აჰა, გამომართვით ეს მახათი და ორი ღერი სპეციალური მონადირის ასანთი.

- ვერა. თუ გაქცევის ეს გზა რეალურია, თქვენ უნდა ისარგებლოთ. გარეთ ჩემნაირი ჯარისკაცი კიდევ ბევრი გეყოლებათ და სხვა მნიშვნელოვან საქმეებსაც მიხედავთ.

- ჩემი ბედი ნუ გაღელვებთ. აქედან სხვა გზით გავალ. ნუ ინერვიულებთ, არაფერი მომივა, ვიდრე ამ ეტაპზე დასახულ უმთავრეს ამოცანას არ შევასრულებ. საქმე კარგად მიდის, ერთი მტევნის თითებზე ჩამოსათვლელი წლებიც და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისთვის აუცილებელი პირველი ინსტიტუტის – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას აუცილებლად აღიარებს რუსული ეკლესია. ვიდრე ამის შესახებ არ გაიგებთ, ჩემი სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ნუ გადაიხდით. კარცერის გასასვლელით კი იმ უბრალო მიზეზით ვერ ვისარგებლებ, რომ იქ ჩემი ჩაყვანა პრაქტიკულად გამორიცხულია. კარცერს ესენი კარგა ხანია აღარ იყენებენ, არ სჭირდებათ; ბევრად უფრო ჯოჯოხეთური მეთოდები აქვთ ადამიანების დასათრგუნავად. თუმცა იქ მოხვედრის შანსი თქვენ ნამდვილად გაქვთ, თქვენი ასაკის გამო.

- ნუ მიწყენთ, ბატონო ჩემო, მაგრამ ჩემი ასაკი რა შუაშია?

- ახლავე აგიხსნით. მოგეხსენებათ, დამნაშავეთა სამყაროს, როგორც სხვა ყველა ფარულ ორგანიზაციას, თავისი საინფორმაციო წყაროები გააჩნია და მათი სანდოობის ხარისხი ძალიან მაღალია, რადგანაც ამ ცნობების სიზუსტეზე სიცოცხლით აგებენ პასუხს. თამშუკმა კი გითხრათ, მოხუცს ყურს აკლიაო, მაგრამ არც ისე ცუდადაა ჩემი საქმე. გუშინ დილით, როგორც ჩანს, გარედან რაღაც ახალი ინფორმაცია მიიღეს და იმ ფრთაზე თათბირის მსგავსი გამართეს. გაირკვა, რომ ახალი ციხის უფროსი დორიფე ამათ სამყაროში საკმაოდ ცნობილი პიროვნება ყოფილა. როსტოვის ციხიდან შემოუთვლიათ, ამ დორიფეს ადრე ჩაჩულა ერქვა და ფონიჭალაში უცხოვრია დედასთან ერთად. დედამისი თურმე დუქანში სასომხეთისკენ მიმავალ მეეტლეებს ემსახურებოდა და სურსათ-სანოვაგის გარდა განურჩევლად ყველას სხვა რამერუმეებითაც უმასპინძლდებოდა, სათანადო ანაზღაურების ფასად, რა თქმა უნდა. ამიტომაც არავინ იცოდა დორიფე-ჩაჩულას მამის ვინაობა. განგებამ ეს არ აკმარა უბედურ ბიჭს და ერთ ღამეს დედამისის გალეშილი სტუმრის მსხვერპლი გამხდარა. იმ არაკაცმა დედასთან რომ მოითავა თავისი საქმეები, მერე პატარა ბიჭი გააუპატიურა. ჩაიდო ჩაჩულამ გულში ბოღმა. რომ წამოიზარდა და კაცური ძალა მიეცა, პირველი ვისზეც ეს ძალა გამოსცადა ისევ დედამისის, ოღონდ სხვა, მუშტარი იყო, რომელიც წლოვანებით მისი გამბახებლის ასაკის ყოფილა. ყმაწვილს შეზარხოშებული სტუმრისთვის ღვინოში არაყი შეუპარებია და უგონოდ მთვრალზე ჯავრი უყრია. კიდევ ერთი-ორჯერ გასვლია მსგავსი

საქციელი, მაგრამ მერე გასაქცევად მიეცა საქმე და რუსეთში გადაკარგულა. ბევრი უწვალია და საბოლოოდ ციხეში მოწყობილა ზედამხედველად და ოცდაათ წელს მიტანებული კაცებისაკენ მიდრეკილება იქაც შეუნარჩუნებია. ამ ასაკის ადამიანი, ვინც თვალში მოუვიდოდა, ან გააბრაზებდა, კარცერში ჩაჰყავდა და იქ აუპატიურებდა თურმე. მერე რუსებმა, 1921 წელს საქართველოს დაპყრობა რომ გადაწყვიტეს, თავის ქვეყანაში მოიძიეს არა მხოლოდ მოღალატე ქართველი პოლიტიკოსები, არამედ სხვადასხვა ჯურის მამაძაღლებიც. "ВЧК"-მ მთელს წითელ იმპერიაში თავი მოუყარა საქართველოდან გაქცეულ ადამიანებს, ვისზეც შეეძლოთ გავლენის მოხდენა მაკომპრომეტირებელი მასალებით და მეთერთმეტე არმიის რიგებში გამოუყენა საკუთარი სამშობლოს დასაპყრობ გზას. ჩაჩულაც ამხედრდა წითელ ცხენზე, დაიჭირა წითელი შაშხანა, დაიხურა წითელვარსკვლავიანი ქუდი, დახოცა ჩვენი გოგო-ბიჭები და სამაგიეროდ კარგი თანამდებობაც მისცეს აქაურ სადამსჯელო რაზმში. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთმა მის მიერ გაბახებულმა დედამისის მუშტარმა, რომელსაც ბოლშევიკებისგან ჩაჩულაზე უფრო დიდი თანამდებობა მიუღია, იცნო იგი.

ჩვენი ვაჟბატონიც იძულებული გახდა, საქართველოდან კვლავ გადახვეწილიყო.

– დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ დამნაშავეთა სამყაროსთვის, არამედ ბოლშევიკური ხელისუფლებისთვისაც ცნობილია დორიფეს მამათმავლური მიდრეკილებები. რაში სჭირდებათ ასეთი

ადამიანი? სისხლის სამართლის კოდექსშიც არის შესაბამისი მუხლი.

– ეჰ, მალაქია, ჩემო ბატონო, დორიფე-ჩაჩულა კი არა, პირადად სახალხო კომისარი ეჟოვიც აქტიურად იყენებს თავის ჰომოსექსუალურ თვისებებს პატიმრების წინააღმდეგ. ბოლშევიკური წამების ამ საშინელი მეთოდის გამოყენების მუქარის გამოცაა, რომ ახლა მიმდინარე სასამართლო პროცესებზე ხალხის მტრებად შერაცხული ადამიანები პროკურორებს ეჯიბრებიან თავისი თავის დადანაშაულებაში. თანამედროვე ევროპელები ამბობენ, რომ ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებააო, მაგრამ მათი მამები ღირსების შელახვისთვის დუელში იწვევდნენ ერთმანეთს, ანუ ღირსება მეტად ფასობდა, ვიდრე სიცოცხლე. ხალხის მტრად გამოცხადებულ და დაპატიმრებულ ქართველ კაცებს გაუპატიურებას სიკვდილი რომ ურჩევნიათ, რა არის ამაში საკვირველი? თუმცა სასამართლო პროცესებზე აღიარებითი ჩვენებების დიდი ნაწილი სულ სხვა უცნაური ფენომენითაა გამოწვეული.

ბავშვობიდან მწარედ დამამახსოვრდა ერთი ისტორია; მოურავის მეძებარი ძაღლი მგელმა დაკბინა, რის შედეგადაც საცოდავ ცხოველს უკანა ფეხები წაერთვა და ვეღარ მოძრაობდა. სანადიროდ ეს აღარ გამოდგება, ტყუილად უნდა იწვალოსო, განაცხადა მისმა პატრონმა და ტყეში წაიყვანა, რათა, მონადირეთა წესის თანახმად, იქ ტყვიით მოეკლა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, მიუშვირა თურმე ძაღლს ლულა, ცუგამ კი პატრონისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გამოსახატავად კუ-

დის ქიცინს უმატა. იმას ვერაფრით დაეჯერებინა, რომ წარსულ სამსახურს დაუვიწყებდნენ და სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ; მან ხომ პატრონს ამავე თოფით უამრავი ფრინველ-ნადირი მოაკვლევინა. სწორედ იმ ძაღლივით არიან სტალინის მიერ დაპატიმრებული ბოლშევიკური საქმის ერთგული პარტიული აქტივისტები, როდესაც სასამართლო პროცესებზე კუდს აქიცინებენ და აცხადებენ, ჩვენი დანაშაული სწორედ ისაა, რომ ხალხის მტრებს უფრო აქტიურად არ ვავლენდითო; თუმცა იმდენი მაინც დავხვრიტეთ, რომ ვიმსახურებთ სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეგვიცვალოთო.

დორიფეს დავუბრუნდეთ. ახლა, როდესაც რეპრესიების ამჟამინდელი ტალღა ააგორეს ბოლშევიკებმა, მათ ქართველ კოლეგებს ეროვნული სიამაყის გრძნობა ებღალებოდათ იმის გამო, რომ საპატიმროებში დამსჯელებად ძირითადად უცხოტომელები მუშაობდნენ და გადაწყვიტეს რუსეთში გაბნეული ქართველი ზედამხედველების სამშობლოში ჩამოყვანა. ასე აღმოჩნდა სამი დღის წინ ჩვენს ციხეში ჩაჩულა, რომელსაც თურმე უკვე დორიფე ჰქვია. ჯაბა კვდებოდა სიცილით: “თამშუკ დორიფეს საყვარელ ასაკში ხარ და აბა შენ იცი, იქნებ შაჰის ცოლობას გამოჰკრა ხელიო”! მერე სერიოზულად გადაწყვიტეს: თამშუკმა გააბრაზოს დორიფე, ამგვარად მოხვდეს კარცერში და იქ მის გასაუპატიურებლად მისულ ციხის უფროსს, როსტოველი ძმების გულის მოსაფხანად, დამნაშავეთა სამყაროს მიერ გამოტანილი განაჩენი გააცნოს. ამათაც დაიჩემეს, გინდა თუ არა, დორიფეს დასჯა ეროვნული ღირსების საქმეაო. ახლა ჩვენი ამოცანაა

თამშუკს დავასწროთ და დილით შემოსულ დორიფეს პირველებმა მივაყენოთ შეურაცხყოფა. მერე კი თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ.

– ნუ ღელავთ, ბატონო ჩემო. დარწმუნებული ვარ ადვილად მივაღწევ მიზანს. წინასწარ გიხდით ბოდიშს იმ საქციელისთვის, რომელიც კარცერში მოხვედრას გამიადვილებს. თუმცა გპირდებით, რომ უზრდელობას მაქსიმალურად ზრდილობიანად გამოვხატავ. ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ.

– "უზრდელობა, მაქსიმალურად ზრდილობიანად" – კარგად ჟღერს. საინტერესოა, გულისყურით დაველოდები ამ წარმოდგენას.

თავი მერვე

კარცერში, ჩემო კარგო, კარცერში!



საკნის კარი ღრჭიალით გაიღო და დერეფნიდან რკინიგზელების, ოთხიდან მხოლოდ ცალთვალანთებულმა, გამადიდებელშუშებიანმა ფარანმა თვალისმომჭრელად შემოსტყორცნა მიზანმიმართული შუქი, რომელმაც იატაკიდან საწოლებისკენ გადაინაცვლა, შემდეგ ჭერზე წრე გამოსახა, მერე ნარზე ჩამომჯდარ მალაქიას მიაშტერდა და საბოლოოდ მაინც საკნის მარჯვენა დაბალ კუთხეზე დაფიქსირდა; დაბალზე იმიტომ, რომ ადამიანი, რომელსაც ეს ფარანი ეჭირა იმდენად პატარა იყო, ქონდრისკაცებშიც ჯუჯად ჩაითვლებოდა. მალაქიას მოულოდნელი სტუმრის სიმოკლე ჯერ უკუნ სიბნელეში შემოჭრილი სინათლით გამოწვეული ოპტიკური ილუზია ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა,

რომ ყველაფერი ცხადად ხდებოდა: კარის ზღურბლზე მართლაც იდგა ციცქნა კაცი, რომელსაც კისერზე მასზე ოციოდე სანტიმეტრით მოკლე ფარანი ეკიდა.

– "სტაროსტა"!!! – ისეთი ძალით დასჭექა ბაჯაჯგუნამ, კედლებმა დაიზანზარა, ხოლო რამდენიმე პატიმარი ნარებიდან წამოხტა.

– ჰამე, – თამშუკი შეეცადა რიხი მიეცა ხმისთვის, მაგრამ ზედამხედველის გრუხუნთან მისი "ჰამე" წრუწუნას წრიპინს უფრო ჰგავდა.

– სადა ხარ? ვინ ოხერი ხარ? ახლოს მოეთრიე, კარგად გნახო!

– აქა ვარ, უფროსო!

მომხდურმა თამშუკს ახედა, ფარანი სახეზე მიანათა, თვალი თვალში გაუყარა:

– რას გავხარ, შე უპატრონო? ვინ უტვინომ დაგნიშნა "სტაროსტად"? რისი მაქნისი ხარ, ან რა საქმე უნდა გააკეთო, შე ოჯახქორო?! რა გქვია?

– თამშუკს მეძახიან, ამ სახელით მიცნობს მთელი ქალაქი და ბარე არაერთი ციხე, – თითქოს ავტორიტეტის აღდგენას შეეცადა ოდნავ გონს მოსული საკნის მეთვალყურე. – გაიკითხეთ, უფროსო, ხალხი პატივს მცემს.

– ეგდა მაკლია, შენისთანა ტუტუცების ვინაობის დასადგენად დრო დავკარგო და სხვების აზრი მოვისმინო. რა მოკითხვა გინდა? ზედ არ გეტყობა, რა მამაძაღლიც ხარ?! შენი ხმა არ გავიგო და მეორედ არ შემომეპასუხო, თორემ დაბადებას განანებ! დაიმახსოვრე, დღეიდან შენგან მხოლოდ

ორი ფრაზა უნდა გავიგონო: “დიახ, უფროსო!” და “არა, უფროსო!” გასაგებია?

– როგორც ბრძანებთ, უფროსო!

– რაო? შენ თამშუკი ხარ თუ ვიღაც უტვინო, მართლა ასეთი იდიოტი ხარ, რომ ჩემი ნათქვამი ვერ დაიმახსოვრე?

– არა, უფროსო!

– რა “არა, უფროსო”?

– დიახ, უფროსო!

მალაქია ამ დილით განსაკუთრებულად ყურადღებით რომ არ ყოფილიყო, ისიც კი იფიქრებდა: ქონდრისკაცი ჰიპნოზის ნიჭითაა დაჯილდოებული და მრავალგანსაცდელგამოვლილი თამშუკის დათრგუნვა ამგვარად შესძლოო. სამიოდე წლის წინ გაიცნო და დაუმეგობრდა ახალგაზრდა რეჟისორს გიორგი ტოვსტონოგოვს. ხშირად დასწრებია მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეპეტიციებს, სადაც ეს ახალგაზრდა კაცი რუდუნებით ასწავლიდა მსახიობებს სასცენო მეტყველებისას დამაჯერებელი ინტონაციების გამოყენებას. თანაც მალაქიას დედისგან მემკვიდრეობით განსაკუთრებული სმენა ერგო და ადვილად იჭერდა მოსაუბრის ხმაში ყალბ ნოტებს. თამშუკის პირველივე “ჰამე” ეხამუშა, ხოლო დანარჩენი პასუხები აშკარად ცუდი მსახიობის თამაშს ჰგავდა. და მიუხვდა მალაქია ცნობილ თაღლითს ჩანაფიქრს. მართალია, თამშუკი ყომარ-

ბაზი, მატყუარა, ქურდბაცაცა და სხვა უამრავ დანაშაულზე ხელისმომწერი არსება გახლდათ, მაგრამ იგი კაცის მოკვლას ვერ გაბედავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბას დაჰპირდა საძმოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებას – ჩაჩულადორიფეს კარცერში ჩატყუებას და იქ მის დასჯას, როგორც ჩანს, ფიქრის შემდეგ, მიხვდა, რომ არ იყო ამ საქმის გამკეთებელი. თამშუკმა გადაწყვიტა, ჩაფიქრებული ოპერაცია საწყის ეტაპზევე ჩაეშალა, დორიფესთან საკანშივე წაეგო ორთაბრძოლა და ასე სირცხვილნაჭამი დარჩენილიყო ჯაბას თვალში, ვიდრე კაცის ცოდვა დაედო. თუმცა თამშუკმა ერთი შეცდომა მაინც დაუშვა: საკანში რიხით შემოსული უცნობი ციხის ახალ უფროსად მიიჩნია. ქონდრისკაცი კი ჰქუხდა, მაგრამ მის ხმაში სიტუაციის სრული მაკონტროლებლისთვის დამახასიათებელი სიმშვიდე არ იგრძნობოდა. უცნობი ჯუჯა უფრო სხვისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი იყო, ვიდრე ნამდვილი მბრძანებელი. მისი ლექსიკა და ქცევა მიმბაძველის იყო და არ გადმოსცემდა შინაგან ბუნებას. თავისთავად, თამშუკის შეცდომა უკვე კარგი საწინდარი გახლდათ, რადგან მისი მხრიდან კონკურენცია გამოირიცხა და მალაქიას ჩანაფიქრის აღსრულება გაუადვილდებოდა. ახლა საინტერესოა, როგორ გამოიყურება ნამდვილი დორიფე-ჩაჩულა!

– დააწყვე ეგ შენი ამალა! ერთი კარგად დაგათვალიეროთ! – აღრიალდა ქონდრისკაცი.

– დიახ, უფროსო! აბა, ხალხო, ხელები ზურგს უკან და ჩამწკრივდით.

ნირწამხდარ თამშუკს მაინც დაემორჩილნენ და საკნის გასწვრივ მოეწყვნენ თირკმლებზე ხელშემოწყობილი და მხრებში წინწახრილი პატიმრები. მალაქია მწკრივის შუაში ჩადგა, უნდოდა სწრაფად დაენახა დორიფე, რათა შედარებით სრული წარმოდგენა შეექმნა მოწინააღმდეგეზე. საკნის კარი ბოლომდე ღია იყო, მაგრამ ბნელ დერეფანში არავინ ჩანდა.

ქონდრისკაცმა პატიმართა მწყობრს ისე ჩამოუარა, რომ არავისთვის შეუხედავს. შემდეგ ნარეებისკენ გაძვრა, ერთი საწოლი წამოშალა, ბოლოს ყურადღებით დაათვალიერა საკნის კუთხეები და კვლავ კარის ჭრილს დაუბრუნდა; ხვნეშით ჩამოიხსნა ფარანი, წინ ორი ნაბიჯი გადადგა, კარსა და მწყობრს შორის ზუსტად შუაში დადგა; დაიხარა, ჩამქრალი შუშების დამცავი დარჩენილი სამი ფირფიტა ამოიღო და ფარნის შუქი ახლა ოთხი მიმართულებით გაიფანტა.

– სამამდე ვითვლი და ყველანი ვიწყებთ ტაშისკვრას. გასაგებია! – იღრიალა ციცქნამ.

– დიახ, უფროსო! –კვერი დაუკრა თამშუკმა.

– შენ ვინდა გეკითხება, შე ღორიშვილო, ჩაიგდე ხმა და თვლას დაელოდე! აბა, ყურადღებით! ვიწყებ! ერთი . . . ორი . . . სამი!

ტაშის ხმა კანტიკუნტად გაისმა.

– არ ვარგა! აბა, ყველამ ერთად და ტაშისკვრას არ ვწყვეტთ, სანამ ხელს არ აგიქნევთ! ისევ სამამდე ვითვლი და ამყევით, ვისაც სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ! ერთი . . . ორი . . . სამი! . .

პატიმრებმა ქონდრისკაცს მხარი აუბეს. გაჩაღდა ტაშისკვრა, მაგრამ რა ტაშისკვრა. შიგდაშიგ კაცუნა ვაშას იძახდა. მალაქიას, ერთი პირობა, თეატრში წარმატებულ პრემიერაზე ეგონა თავი. ოვაციები უკვე სამ წუთზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რომ მოულოდნელად საკნის კარის ჭრილში უშველებელი ჩრდილი გამოჩნდა. მალაქია დააკვირდა და გაოცებისგან თმები ყალყზე დაუდგა. ფარნის შუქზე ნათლად ჩანდა, რომ საკანში შემოვიდა თეთრ კიტელში, გალიფესა და ჩექმებში გამოწკეპილი თითქმის ორი მეტრი სიმაღლის . . .

– სტალინი! – აღმოხდა მალაქიას გვერდზე მდგომ პატიმარს, რომელიც იმავე წამს იატაკზე გონებადაკარგული ჩაიკეცა.

ტაშისცემა უცებ შეწყდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მალაქია გულწასულ პატიმარს ეცა. საშიში არაფერი იყო. დამფრთხალი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თუმცა შოკს უკვე გაევლო. ეს კი გადარჩა, მაგრამ ამ სიმაღლე სტალინი სად გაგონილა?! თვალი ისევ მოულოდნელად გამოჩენილი აჩრდილისკენ გააპარა. როგორც ჩანს, ეს ვაჟბატონი საკნის კარებთან იყო გარედან ატუზული და მოთმინებით ელოდა, თუ როგორ ამზადებდა

მის თეატრალიზებულ ვიზიტს ქონდრისკაცი, რა-
თა უცაბედი გამოჩენით მიღწეული შედეგით
დამტკბარიყო. კარგად დააკვირდა. მსგავსება
სტალინთან, მოულოდნელობისა და ამგვარი გა-
ნათების ფონზე, მართლაც იყო, მაგრამ ეფექტი
მხოლოდ მსახიობური ოსტატობის დამსახურება
გახლდათ. საკანში სტალინი ნამდვილად არ იდგა.
ეს არსება მისი ბევრად უფრო ჯანმრთელი, ახო-
ვანი და მსუქანი ორეული იყო.

– ჰა, ხომ არ შეშინდით, თქვე დედლებო? მე
თქვენი ახალი ციხის უფროსი ვარ და დღეიდან –
მწ-მწ, რა ჰქვია, კაცო? Забота როგორ არის ქარ-
თულად? ხო – ვიზრუნებ თქვენს ჯანმრთელობაზე.
პატიმარი საღ-სალამათი უნდა იყოს. წინა უფროსს
ფეხებზე ეკიდეთ. მე კი ცივილიზაციას შემოვიტან
თქვენს ციხეში. "პარაშას" გავიტან და კანალიზა-
ციას შემოვიყვან საკნებში. ახალი დროება ახლე-
ბურ მიდგომებს საჭიროებს. და როგორც დიდი ბე-
ლადი ამბობს: "კადრები წყვეტენ ყველაფერს". მეც
ამიტომ შემარჩიეს, რომ ცივილიზაციას გაზიაროთ.
– დორიფემ დინჯად ჩამოუარა პატიმრების მწკრივს.
მალაქიასთან შეჩერდა, თვალი თვალში გაუყარა:
აჰა, მწ-მწ, გულისხმიერი ადამიანი ხარ, არა? მწ-მწ,
არ მიატოვე განსაცდელში ჩავარდნილი ამხანაგი,
მწ-მწ! არ არის ურიგო თვისება. მწ-მწ! – ჩიბუხი
გააბოლა დორიფე-ჩაჩულამ.

აი, როგორი ყოფილა. ამას ასე ადვილად ვერ
მოერევი. ხრიდოლის ხერხების მთელი არსენალის
გამოყენება გახდება საჭირო. რა ბედი ჰქონია თამ-
შუკს?! აშკარად მფარველმა ანგელოზმა დაიცვა და

აარიდა ამასთან კარცერში მოხვედრას, თორემ ნაღდად აუხდებოდა ჯაბას წინასწარმეტყველება შაჰის ცოლობის შესახებ. ასეა: ცუდ საქმეზე ხელს რომ აიღებ, ღმერთი აუცილებლად დაგიცავს.

– კაცის ბუნებაა ასეთი. ჩვეულებრივი, ადამიანური ინსტინქტია, წაქცეულ ადამიანს წაეშველო.

– ეგრეც ნუ გააუბრალოებ შენს საქციელს, ყმაწვილო. მწ-მწ. რა გქვია? მწ- მწ.

– მალაქია.

– მალაქია! მალაქია! მწ-მწ. ვიღაცას მაგონებს. მალაქია! Откуда Я его помнию, что за чёрт Малакия! მწ-მწ. გამახსენდა, კაცო! ან რამ დამავიწყა? გუშინ თვით ამხანაგ ქობულოვთან – ბოგდან ზახაროვიჩთან მქონდა მალაქიაზე ლაპარაკი. დავიჭერთ მალე. ხალხის მტერი ყოფილა. ხო, რა გვარია? მწ-მწ. ტოროშელიძე. ეს ვინ ყოფილა, კაცო?! მწერალთა კავშირის მდივნად დავნიშნეთ, უნივერსიტეტის რექტორადაც, მწერალთა საკავშირო ყრილობაზე თვით სტალინთან შეთანხმებული "რეჩი" წავაკითხეთ 1934 წელს. პარტიას ერთგულებას გვეფიცებოდა, ერთი-ორი მწერალიც გამოგვასწორებინა, ბოლშევიკების კურსით არ მიდიანო. ლავრენტი პავლოვიჩს ამიერკავკასიაში ბოლშევიკური მოძრაობის შესახებ წიგნის დაწერაში ეხმარებოდა. ჩემზე ერთგული კაცი პარტიას ცოტა თუ ჰყავსო და ხედავ, შენიღბული მტერი არ აღმოჩნდა, კაცო, თანაც რა საქმე გაუსკდა? ეგ მამაძაღლი თურმე ჩვენი პარტიის წევრიც არ ყოფილა. არადა, სა-

ქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანიც კი იყო თავის დროზე. როგორი სიფრთხილე გვმართებს, როგორი სიფრთხილე?! რას მომშტერებიხარ? შენი ნათესავი ხომ არ არის, ჩემო მალაქია, ა? მწ-მწ. თუმცა მეც რას გეკითხები?! სახელით ნათესაობა სად გაგონილა, კაცო?! მოიცა, ორ კაცს ერთი და იგივე სახელი რომ ჰქვია რას ვეძახით? ჰო, სეხნია! მწ-მწ. – დორიფე მალაქიას მიუახლოვდა, ლოყაზე უჩქმიტა. – ჰა, რა ლამაზად წაიკუზე ამხანაგის დასახმარებლად, შე მართლა, ტოროშელიძის სეხნიავ?

“გაჭრა, გაჭრა. ესე იგი, სწორად გავთვალე. ახლა მთავარია, ნერვებს არ ავყვე და განვიმტკიცო მდგომარეობა, თანაც უსწრაფესად უნდა ვიმოქმედო”.

– თქვენთვის კითხვის დასმა თუ შეიძლება? – სიტკბო შეაპარა ინტონაციაში მალაქიამ.

– შენთვის ყველაფერი შეიძლება.

– მერიდება, მაგრამ კითხვაც არის და თხოვნაც. თუ ამაზეც დამთანხმდებით, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება.

– იყოს თხოვნაც. ნუ გერიდება. გისმენ. მწ-მწ.

– არა უშავს, რომ ანატომიური ხასიათისაა?

– არა უშავს, თუ გინდა ზოოლოგიურიც იყოს.

– სწორად შენიშნეთ, არ არის გამორიცხული ზოოლოგიასაც ეხებოდეს.

– ჰე, ბიჭო, ამოღერღე!

– რადგან მაჩქარებთ კი, ბატონო! მაგრამ წინასწარ მაინც ბოდიში უნდა მოგიხადოთ. ერთხელაც მაპატიეთ და თუ ძალიან არ შეწუხდებით, უკან, ტრაკზე მოისვით ხელი, შიგ ვინმეს რამე ხომ არ ჩარჩა?

სამარისეული სიჩუმე ჩამოვარდა. დორიფე აუღელვებლად იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა მის წინ ამაყად მდგომ ახალგაზრდა კაცს. დუმილი თამშუკის ხმამ დაარღვია:

– ეს რა ჩაიდინე, მალაქია, რამ გადაგიყვანა ჭკუიდან, რატომ იღუპავ თავს?

დორიფემ ქონდრისკაცს გახედა, თვალით რაღაც ანიშნა, ეს უკანასკნელი კი თამშუკს მიუახლოვდა:

– შენ მე რა გითხარი, ვინ მოგცა ლაყბობის უფლება, შე ვირიშვილო, ჩოჩორო, შენა? მომე ყური, ჩუმად უნდა გკითხო.

თამშუკი დაიხარა და მარჯვენა ყური ტუჩებზე მიადო ქონდრისკაცს. იმანაც რაღაც უჩურჩულა.

– რას ამბობ, უფროსო! – თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოსცდა.

– ჯერ ერთი, რა გაყროყინებს, შე, მართლა, ვირო, შენა? მეორე, რა ”რას ამბობ, უფროსო”?

– არა, უფროსო! – მიხვდა ორივე შეცდომას თამშუკი. – არა, უფროსო, არა, უფროსო! – მეტი დამაჯერებლობისთვის ჩურჩულით გაიმეორა და გაოცებული სახით გაიხედა მალაქიასკენ.

– შეწყვიტეთ ლაზღანდარობა, – როგორც იქ-ნა დაარღვია დუმილი დორიფემ. – არაფერია, რა ვუყოთ მერე, ახალგაზრდა კაცს ნერვებმა უმტყუნა. მწ-მწ. Нервный срив у всех бивает. მე კიდევ კანალი-ზაციის შემოყვანა მინდოდა, – კვლავ მალაქიას მიუბრუნდა. – ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს, გპირდები, კმაყოფილი დარჩები. აი თურმე ვინ ყო-ფილხარ? კარგი ანდაზა აქვთ რუსებს: «В тихом болоте черти водятся!» -- მერე ციცქნას მიუბრუნდა: ნაკაწრის გარეშე ჩამოიყვანთ იქ, რა ჰქვია?! ჰო, Ни в пизду и ни в Красную Армию, а в карцер! В карцер его, сучье отродье! კარცერში, ჩემო კარგო, კარცერში! იქ ვნახავთ ანატომიას, ზოოლოგიას და, თუ გინდა, ბოტანიკასაც! – დორიფემ ერთი ნაფაზიც დაარტყა, მალაქიას სახეში შეაბოლა, სამხედრო ყაიდაზე ად-გილზე ოსტატურად შემოტრიალდა, ჩექმის ქუსლე-ბი ერთმანეთს მიარტყა და უშველებელი ნაბიჯებით გავიდა საკნიდან.

ქონდრისკაცმა ფარანს დაავლო ხელი და პატრონს გაეკიდა. ბნელ დერეფანში თეთრ კიტელ-ში, გალიფესა და შავ ჩექმებში გამოწკეპილ სწრა-ფად მიმავალ დორიფეს უკან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მისდევდა ციცქნა კაცი, რომლის მოთამა-

შე ფარნის სხივი, მხოლოდ შიგდაშიგ მოხვდებოდა თუ არა, წამიერად ანათებდა წინ მიმავალს. რადგანაც შუქზე მხოლოდ თეთრი ტანსაცმელი გამოჩნდებოდა ხოლმე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს უთავო და მუხლქვეშ უფეხო მოჩვენება გადაადგილდებოდა უკუნში. ეფექტს აძლიერებდა დორიფეს ჩექმების ლანჩებზე მიჭედებული ნალების, ქვის იატაკთან შეხების შედეგად, გამოსროლილი ნაპერწკლები. ალბათ, ასე მოძრაობს სატანა ჯოჯოხეთის ბნელ ლაბირინთებში. საკნის კარი მოულოდნელად დაიხურა. როგორც ჩანს, დორიფეს და მისი ქონდრისკაცის უსაფრთხოებას კიდევ ვიღაც იცავდა, რომელსაც კარის გაღება-დაკეტვაც ევალებოდა. არც მთლად გულადი ყოფილა დორიფე-ჩაჩულა.

– აბა, რა მინდაო ქონდრისკაცმა? რა გკითხა? – მიუბრუნდა მალაქია სიბნელეში იმ ადგილს, სადაც თამშუკი ეგულებოდა.

– რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი ტრაკითაო, – დაუბრუნდა ანდაზების ნიჭი თაღლითს. – რაო და, შენზე მკითხა, ეგ კაცი პედერასტი ხომ არ არისო?

– აჰა! ვითომ რატომ დაინტერესდა?! პედერასტობით ალბათ დამიწუნებდა არა?

– ალბათ კი არა – ნამდვილად! ეგ ზუსტად ვიცი. დორიფე ცნობილი აქტიური მამათმავალია, მაგრამ პედერასტებს არ აუპატიურებს! იხუმრე, იხუმრე! რა გეხუმრება, ვერ ხედავ, ბუღასავითაა,

მაგის ხელში მტერი ჩავარდა. შენნარი ბიჭები გაუფუჭებია, მაგ მართლა ღორის შვილს?!

– შენ ნუ ღელავ, ჩემო თამშუკ, შენი სფეროდანაა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა, – სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა მალაქია, რომელიც ჯერჯერობით ვერ ხვდებოდა, რომ დორიფემ შემთხვევით არ ახსენა ბოტანიკა!

– თამშუკ! – გაისმა ჯაბას ხმა

– ჰამე, ჯაბაჯან!

– ჰამე და შავი ქვა შენ. მოკიდე მაგ ვექილს ხელი, აქ მომიყვანე, უნდა დაველაპარაკო! დროზე, სანამ მოთრეულან და კარცერში ჩაუყვანიათ.

– მოვდივართ, ჯაბაჯან! – მერე მალაქიას მიუბრუნდა, – წამო, შე უბედურო, იქნებ ჯაბამ გვირჩიოს რამე.

თამშუკმა მალაქიას ხელის ჩასჭიდა; თაღლითს სიბნელეში ორიენტაციის ნიჭი აღმოაჩნდა, ექვსი ნაბიჯი და უკვე ჯაბას ნარზე ისხდნენ.

– აბა ჰე, დანარჩენებმა დაახვიეთ აქედან, გადადით პოლიტიკურების მხარეს და მოგუდულ ხმაზე ჩემი საყვარელი "წყალსა მოჰქონდა ნაფოტი" წაიმღერეთ, ოღონდ ისე, რომ თქვენ ჩვენი ხმა არ გესმოდეთ, ჩვენ კი თქვენი ყროყინი საუბარში ხელს არ გვიშლიდეს.

ჯერ ფაჩუნის ხმა გაისმა და ცოტა ხანში საკნის მეორე ნაწილიდან ჯერ მოზომილი ხმით საოცრად ტკბილი ჰანგები გაისმა: “წყალსა მოჰ-ქონდა ნაფოტი”, – მერე კი უფრო ხმამაღლა და თამამად გაგრძელდა: “. . . ალვის ხის ჩამონათალი, დადექ, ნაფოტო, მიამბე მოყვრისა შემონათვალი . . .” – როგორც ჩანს, “პრესტუპნიკებს” პოლიტიკუ-რებიც აჰყვნენ.

– ახლა აქეთ მომისმინე, ადვოკატჯან, კარ-ცერში დორიფე უნდა მოკლა, – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ჯაბა.

– ვაჰ, შენი ჭირიმე, ვითომ რატომაო? მერე მე რომ ქრისტიანი ვარ და ჩემი ღმერთი კაცის კვლას მიკრძალავს, ამას რა ვუყოთ?

– დალოცვილის შვილო, იმ ორ კაცს რომ კლავდი, მაშინ ქრისტიანობიდან შვებულებაში იყა-ვი გასული თუ “პერერივზე”?

– მე ისინი არ მომიკლავს.

– კაი, კაცო! ალბათ სხვამ მოკლა და შენ გაბრალებენ? ეგ სიმღერები გამომძიებლისთვისაა და აქ თითოეულ პატიმარს თავისი საკუთარი და-წერილი და ორიგინალური შესრულებით აქვს. არ გინდა ახლა: “არა კაც ჰკლა”, “არ იპარო”, “არ იმ-რუშო”, არ იბოზო და მისთანები. ეკლესია, კაცი არ მოკლაო, კი ქადაგებს, მაგრამ ჩვენს წინაპრებს ქრისტიანობის დასაცავად მტერი რომ არ ეჟუჟათ, ვინღა იქნებოდა ამ ქვეყანაში ქრისტიანი.?!

– რწმენის და მსხვერპლის სიცოცხლის დასაცავად მოძალადის მკვლელობას “არა კაც ჰკლას” ცნება არ ეხება. რადგანაც რწმენა თქვენ არ გაგაჩნიათ, იქნებ მითხრათ, მსხვერპლი ვინაა?

– მაგას რა დიდი ცოდნა უნდა? ვინაა მსხვერპლი და – შენ! – გაიოცა ჯაბამ. – შენ გიპირებს დორიფე გაუპატიურებას.

– არამგონია, ეგ იყოს თქვენი ძირითადი სადარდებელი და ამიტომ მოითხოვდეთ ჩემგან დორიფეს მოკვლას.

– ხედავ, თამშუკ, ეს რა ჯიუტი კაცი ყოფილა? მაშინ ასე გეტყვი: დორიფე-ჩაჩულას განაჩენი, ჩვენი თანამოძმეების წამებისა და სიკვდილით დასჯისთვის, საძმომ გამოუტანა და შენ უნდა აღასრულო. იარაღს მე მოგცემ. აჰა, ტისაკი გამომართვი.

– თქვე კარგი დედ-მამის შვილებო, თქვენს სამყაროს ვგულისხმობ, თუ ქურდობასთან ერთად მკვლელებისთვის განაჩენის გამოტანა შეითავსეთ, ბარემ სტალინისთვის მიგესაჯათ სიკვდილი ტისაკზე წამოგებით. მაგას ხომ დედამიწის ერთ მეექვსედზე ისეთი ხოცვა-ჟლეტვა გაუჩაღებია, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს და თანაც შეჩერებასაც არ აპირებს. სტალინის სიკვდილით დასჯა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მომავალი მსხვერპლისთვის და ამით უამრავი ადამიანის მადლიერებასაც დაიმსახურებთ. დორიფე, მაგასთან შედარებით, გარკვეული ლმობიერების

ღირსიც კია. სავარაუდოდ, ჩვენს ციხის უფროსს არაერთი ადამიანი უწამებია და მოუკლავს, მაგრამ ეგ მხოლოდ სავარაუდოდ და შესაძლოა დიდი ალბათობითაც, რაც საბოლოოდ არ არის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დამტკიცებული. ეს ერთი არგუმენტი, რატომაც დორიფეს ვერ მოვკლავ. მეორე არგუმენტია: მე ჯალათი არ ვარ, რომ ვინმეს განაჩენი აღვასრულო; მესამე: ჩემი და დორიფეს ურთიერთობის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე მოვკლა. რა თქმა უნდა, მთავარია, თუ როგორ იცხოვრებ, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანია, როგორ მოკვდები. ადამიანის სისხლით დამძიმებულ ცხოვრებას, კაცის კვლის ცოდვის გარეშე სიკვდილი მირჩევნია. მგონი საკმარისია. მე თქვენი ტისაკი არ მჭირდება.

– ვა! რა დალაგებულად ლაპარაკობ! შენ ხომ არ გავიწყდება, რომ კარცერის ერთი ბეწო სივრცეში დორიფესნაირ ხარკამეჩთან აუცილებლად დამარცხდები და მერე ჩვენთან მოსასვლელი პირი არ გექნება. ასე რომ, აიღე ეს ყამა და რასაც გეუბნებიან გააკეთე. თუ სიკვდილი გიწერია, კაცურად მაინც მოკვდები, თანაც, არამგონია, დორიფეს მოკვლა იმქვეყნად ცოდვად ჩაგეთვალოს. ასე არ არის, თამშუკ?

– დორიფემ თუ გაგათახსირა, მერე რაღა აზრი აქვს ცხოვრებას? ჯერ კიდევ რომის ამბობდა დიდი შოთა რუსთველი: “სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი,” – მიეცა ასპარეზი პოეზიის მოყვარულ თაღლითს.

– კარცერში რა მოხდება, არავინ იცის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. მე თქვენს საქმეებში არ ვერევი, თქვენს დავალებებს არ ვასრულებ. ჩემი საქმისა მე ვიცი და ახლა დროს სულ ტყუილად ჰკარგავთ.

– ერიჰა! ამას შიშისგან გონება დაუკარგავს, თამშუკჯან, და როგორც შენი იტყვი: გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ცნებასაო, თუ როგორ არი?! მე ჩემი გითხარი და შენი საქმისა, როგორც თქვი, შენ იცი!

თითქოს ჯაბას და მალაქიას საუბრის დასრულებას ელოდებოდა, საკნის კარი კვლავ გაიღო და ხელბორკილების ჟღარუნიც გაისმა.

სახელდახელოდ შეკოწიწებულმა პატიმრების გუნდმა “ჩაკრულო” დასცხო და კედლები დააზანზარა:

“ხიდისთავს შავკრათ პირობა,

ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანიო,

ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა,

თავს დავანგრიოთ ბანიო . . .”

თავი მეცხრე

ᲙᲕᲔᲨᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲙᲕᲔᲨᲘ

კარცერის კედლების გათეთრება ჩვეულებრივი რუსული ყოფითი კულტურის გამოძახილი იყო, რის გამოც მალაქიას საჭირო ლოდის მოძებნა და განსაკუთრებით მის შუა ნაწილში ნახვრეტის პოვნა გაუძნელდებოდა.

კარცერში მოხვედრამდე კი მოვლენები მოსალოდნელი სცენარის მიხედვით განვითარდა.

ზურგს უკან შემოწყობილ მაჯებზე ხელბორკილების დადებისას მალაქიამ ილუზიონისტის ოსტატობით შესძლო ზედამხედველების ყურადღება ფეხებზე გადაეტანა და მახათი, ასანთის ორი ღერის თანხლებით, ყველასთვის შეუმჩნევლად ჯერ მარჯვენა ხელის არათითსა და შუათითს, ხოლო შემდეგ მარცხენა მტევნის საჩვენებელ თითსა და შუათითს შორის დამალა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მალაქიასთვის მახათით ხელბორკილების საკეტის გახსნა სრულიად მარტივი ამოცანა გახლდათ, პრაქტიკულად საქმის ძირითადი ნაწილი გაკეთებული იყო, თუმცა, როგორც მალე გაირკვა,

პრობლემა, ხელბორკილები კი არა, სულ სხვა რამ ყოფილა.

პატიმარი და მისი გამცილებლები კარცერამდე მშვიდობიანად ჩავიდნენ. იქ ღია კართან გაბადრული ქონდრისკაცი დახვდათ, რომელმაც ფარშევანგის ბუმბულით გაწყობილი უზარმაზარი ქუდი მოიხადა და მალაქია საკანში ოსტატური რევერანსით შეიპატიჟა.

– აბა, ბიჭებო, სახით კედელთან მიაყენეთ, – მიმართა ორ მუტრუკს.

მალაქიამ ბეჭებს შუა ჩხვლეტა იგრძნო და იმწამსვე ნანემსარი აეწვა.

– ესეც ასე! თუ კარგად მოიქცევი, ცოტა ხანში, ხელბორკილებსაც აგხსნი. შენ კი ნუ დაფრთხები, საშიში არაფერია. დამიჯერე, ადრე ციხის მორგში სანიტრად ვმუშაობდი და სამედიცინო საქმეებში კარგად ვერკვევი. პრეპარატი გამოცდილი ალკალოიდია. ამ სიტყვის ნუ შეგეშინდება. ალკალოიდი ნიშნავს, რომ შხამი მცენარეული წარმოშობისაა. ნურც სიტყვა შხამის შეგეშინდება, ხომ გითხარი მცენარეულია, ესე იგი, ნაკლებად საზიანოა და თანაც მიოტოქსინია. რაო? მიოტოქსინმა შეგაშფოთა? არც ესაა დიდად სადარდებელი. მიოტოქსინი მხოლოდ კუნთების პარალიზებას იწვევს. ანუ ხელ-ფეხი წაგერთმევა, თორემ გონებას სრულად შეინარჩუნებ და კარგად დაიმახსოვრებ, რაც დაგემართება. მერე ღრმა სიბერემდე გაგყვება ტკბილი მოგონებები. პრეპარატი სრული ძალით

ნახევარ საათში ამოქმედდება. ასე რომ დრო გაქვს და დატკბი სასიამოვნო წუთების მოლოდინით.

“მცენარეული შხამი! აი თურმე რას გულისხმობდა დორიფე ბოტანიკაში! ესე იგი, პარალიზებამდე ნახევარი საათი მაქვს, მაგრამ ალბათ არასრული, რადგან წამალი თანდათან დაიწყებს მოქმედებას; არავინ იცის, როდის შემიზღუდავს გადაადგილების და ნივთების გადატანის უნარს.”

ქონდრისკაცმა პატივი სცა და პირადად შეხსნა ხელბორკილები; შემდეგ ერთი ლაზათიანად გადაიხარხარა, მას ბადრაგი აჰყვა, ხარხარი ხორხოცში გადაიზარდა, რომელსაც “გუბერნსკის” სარდაფის კედლები ექოთი შეეხმიანა და ამ ორკესტრმა, ნამდვილი ჯოჯოხეთური ხრჭიალის, კივილის, სატანური კისკისის ძარღვებში სისხლის გამყინავი, საშინელი მუსიკა გააჟღერა.

კარცერის კარი მიიხურა. მალაქიამ ბადრაგის ფარნის შუქზე მოასწრო თვალით მოენიშნა კირის რამდენიმე ფენით დაფარული, შუა კედლის მარჯვნიდან მეორე რიგში სავარაუდოდ არსებული ლოდის ადგილსამყოფლამდე მანძილი და ახლა ფრთხილად დაიძრა იქითკენ. ფეხებში გარკვეული სისუსტე უკვე იგრძნო. უნდა იჩქაროს.

თითებით დააფიქსირა სასურველი ლოდის კონტურები და ფრჩხილებით სცადა შუა ნაწილიდან ნესტიანი კირის ფენის აფხეკა. არ იყო რთული. როდესაც დარწმუნდა, რომ ქვის საჭირო მონაკვეთი გასუფთავდა, საქმეში მახათი ჩართო. ნახვრეტი ვერა და ვერ იპოვა. ლოდი ტუფის ქვისგან იყო გამოთლილი, შესაბამისად, ბუნებრივი ნასვრეტებით მოფენილი. თანაც, კირს და ჭუჭყს ციცქნა ხვრე-

ლებიც ამოევსო. ზედმიწევნითი სიზუსტე, მოთმინება და დრო იყო საჭირო, რომლის ნაკლებობას ყოველ წამს გრძნობდა. თითები უკვე თითქმის არ ემორჩილებოდა, რომ მახათის წვერი თითქოს რაღაც რბილში მოხვდა, მალაქია ფრთხილად მიეძალა და ისიც, თითქოს კარაქში ერჭობაო, ადვილად დაიძრა ლოდის სიღრმისკენ, მერე რაღაც მკვრივს მიადგა და გაჩერდა. მალაქიამ მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილი მიადო მახათის ბოლოს და მარჯვენა ხელით მიაწვა; იმავე წამს სრულ სიჩუმეში სუსტი ჩხაკუნი გაისმა. მალაქია უკვე თითებს ვერ იმორჩილებდა. ახლა იატაკზე ისე მოეწყო, რომ მარცხენა იდაყვი ლოდის შუა ნაწილს მიადო, გაშლილი მარჯვენა მტევნით და მთელი ტანის ძალით მარცხენა მუჭს დააწვა. ლოდი ფოლადის ჩარჩოში ჩასმული კარი აღმოჩნდა, რომელიც გაიღო, მარჯვნივ მისთვის სპეციალურად გამოჭრილ ნიშში ჩაჯდა და მალაქიას გზა გაუთავისუფლა.

უცნაურია, მაგრამ კარცერში დატრიალებული ამბებიდან მხოლოდ ის უკვირდა, რომ აქამდე არაფერი გაჰკვირვებია.

ლოდი-კარი საკმაოდ დიდი იყო და მალაქია თავისუფლად შეეტია ხვრელში. სისუსტე უკვე მუხლებშიც იგრძნო, მაგრამ ჯერჯერობით მოძრაობის უნარი ჰქონდა. კარცერის კედლის სისქე ნახევარ მეტრზე მეტი არ იქნებოდა. მალაქიამ მონადირის ასანთი ქვას გაჰკრა და ხუთიოდე კვადრატული მეტრის ოთახი გაანათა, რომლის მარჯვენა კედელში კარი იყო. იატაკზე ჩვრებში გახვეული მუმია ესვენა და გვერდზე ბიდონი ედგა. მალაქია ხვრელიდან გადმოძვრა, მაგრამ წამოდგომა ვერ

შეძლო. ბობღვით ადგილზე დატრიალდა და მუმიას გვერდზე მიუწვა. მარჯვენა ხელისგულით სცადა, ბიდონისთვის თავსახური მოეხსნა; მოახერხა; ნედლი ნავთობი, რომელსაც რკინის ჭურჭელი ჟანგისგან კარგად დაეცვა, მუმიას დაასხა, მერე უკვე კარგად გაჟღენთილ გვამს ხელი მოჰხვია და ფეხებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ძალით სცადა ხვრელამდე მიეტანა; თავი შეაყოფინა, თვითონ მუმიის მეორე ბოლომდე მიბობღდა და ახლა უკვე მხრით მიაწვა. ვინ იცის, ვისი სხეულის ნარჩენები მკვრივად შეკრული და საკმაოდ მსუბუქი აღმოჩნდა; მალაქიამ იგი კარცერში გადაიტანა. თვითონ მხოლოდ თავი და ხელები გაჰყო ხვრელში და დარჩენილი ასანთი იატაკს გაჰკრა. ასანთის თავმა ერთი ფშ გამოსცა, ოდნავ გაკრთა და ჩაქრა. ყველაფერი ისე კარგად მიდიოდა, რომ აუცილებლად რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო.

ამ სახით მუმიის კარცერში დატოვება ოპერაციის სრულ კრახს გამოიწვევდა. ნედლი ნავთობის კვალი ზედამხედველებს საიდუმლო ლოდკართან მიიყვანდა; მოვლენების შემდგომი განვითარების განჭვრეტა კი ადვილი იყო . . .

კვესი, რა თქმა უნდა, კვესი, რომელის შესახებაც საუბრობდა მოხუცი რკინიგზელი, მაგრამ ეყოფა ძალა, კარცერში გადაძვრეს და მუმიის სხეულზე მიმაგრებული კვესი იპოვოს ამ სიბნელეში? თანაც გრძნობდა, რომ ხელებში ძალა თანდათან ეცლებოდა. მუცლის კუნთებით დახმარებით შესძლო წინ წაწევა და, ხელით შეეხო თუ არა, იგრძნო იატაკის სიცივე. ეს უკვე კარგის ნიშანია. ესე იგი, მართალია, ხელის თითების კუნთების მო-

ტორიკა პრაქტიკულად ატროფირებულია, მაგრამ ტემპერატურის შეგრძნების გრძნობა ჯერჯერობით შენარჩუნებულია. ცივი კვესი მუმიაზე შემოხვეულ ჯვალოს ნაჭერზე ადვილად შეიგრძნო და ასევე ადვილად ააწყვიტა. საიდუმლო გასასვლელთან მიცოცდა, რამდენჯერმე გაჰკრა ფილაქანს და ნაპერწკლები მუმიის ნავთობით გაჟღენთილ ნაჭერზე ცეცხლად გარდაიქმნა. მალაქიამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, თავი ხვრელში შეჰყო, რის ვაი-ვაგლახით გადაცოცდა საიდუმლო ოთახში და მიხვდა, რომ მოძრაობის უნარს კარგავდა. არა, ოღონდ ახლა არ შეიძლება გათიშვა. ახლაა სწორედ ის მომენტი, როდესაც, ყოველ ადამიანში ჩაბუდებულ, ზებუნებრივ ძალას უნდა მოუხმოს და მალაქიამ მოახერხა ისევ უკან, ხვრელისკენ შემობრუნება, ხელებში ძალაც მოუვიდა, ლოდი-კარი მიხურა და იმწამსვე მთელი სხეული გაუშეშდა. ახლა ვინ იცის, რამდენ ხანს მოუწევს ამ მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ თავისი საქციელით მაინც კმაყოფილი იყო. მუმია, ნედლი ნავთობი და მუმიაზე შემოხვეული ნაჭერი წვის შედეგად ისეთ ჭვარტლს წარმოქმნის ციცქნა ოთახში, რომ იქაური კედლები სრულად გაიმურება, შესაბამისად ამოივსება კარი-ლოდის კირის საღებავის დაზიანებით წარმოქმნილი ღრიჭოები. დანახშირებული გვამი რომ მალაქიასია, ამაში ეჭვის შემტანი ვინ იქნება?! ასე რომ, ოპერაციის ეს ეტაპი წარმატებულია.

ორგანიზმიდან შხამის გამოსვლას და მოტორული ფუნქციების აღდგენას სავარაუდოდ სულ ცოტა თორმეტი საათი დასჭირდება. ასე რომ, ამდენი ხნის განმავლობაში მოუხერხებელ მდგომარეო-

ბაში უძრავად ყოფნის და ამ ყოფის სრულად აღქ-
მის პერსპექტივა ძალიან დამთრგუნველი იქნებოდა
ფსიქიკისთვის. ამ შემთხვევისთვის მეტად სასარ-
გებლო იყო მედიტაციის საფუძვლების გახსენება
და გონების ამგვარი მეთოდით გათიშვა. მართალია,
სრული მედიტაციის მიღწევას ადრეც ძალიან ძნე-
ლად ახერხებდა, მაგრამ როგორც თამშუკი იტყვის:
ცდა ბედის მონახევრეაო. . .

თავი მეათე

ქვისმთლელ მასონთა ლოჟა

“თამშუკი . . . თამშუკი, თამშუკი . . . “

თამშუკი რა შუაშია? აჰა, გაახსენდა, “ცდა ბედის მონახევრეაოს” ავტორად ვაგზლის ყომარბაზი რომ გამოაცხადა.

ვინ იცის, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მალაქიამ მოახერხა გონების გათიშვა?! ხელის და ფეხის თითები აამოძრავა, იდაყვებს დაეყრდნო, მუხლები უკან ჩააცურა და საიდუმლო ოთახში იატაკზე აღმოჩნდა. კუნთები ემორჩილებოდა და ოდნავ სტკიოდა, მაგრამ ეს არაფერი. მთავარია, გონება მუშაობდა სხარტად. პერანგს პატარა ნაჭერი მოახია, ბიდონში დარჩენილ ნავთობში დაასველა, კვესს გაჰკრა და სახელდახელოდ დამზადებული პატრუქი აანთო. კუთხეში კარადა შეამჩნია, მივიდა, გამოაღო და იპოვა, რასაც ეძებდა. ზედა თაროზე ლამპა იდგა.

ოთახი გაანათა. კარადაში შენახულ მუქ ქილებს თავი დალუქული ჰქონდა. ერთ-ერთი გახსნა, ქიშმიში კარგად იყო შენახული. ქვედა თაროზე ჩამწკრივებულ ბოთლებში წყალი აღმოჩნდა. ალბათ, ნათლისღების დღესასწაულზე ჩაასხეს და ამიტომაც ჰქონდა სიცოცხლის ძალა შენარჩუნებული. მალაქია დანაყრდა და წყურვილიც მოიკლა. წყალს უფრო მეტად დაეწაფა. იცოდა, ამ ღვთაებრივ სითხეს კარგად გამოჰყავს ორგანიზმიდან შხამები. ახლა ოთახის მშვიდად დათვალიერებაც შეიძლება. საოცარია, მაგრამ არა თუ ობობას აბლაბუდა, არამედ მტვერიც კი არსად ჩანდა. კედლებს დააკვირდა. განსაკუთრებული სინატიფით გამოჭრილი ქვებისგან იყო ნაგები, რომელთა შორის ღრიჭო პრაქტიკულად არ არსებობდა. რა დიდებული ოსტატური ნამუშევარია! აჰა, რას გაუგებ გონების კაპრიზებს? მალაქიას ცნობიერებაში წამოტივტივდა ამბავი იმის შესახებ, რომ პირველი თავისუფალ მასონთა ორდენი სწორედ ქვისმთლელების ლოჟა იყო.

კართან მივიდა; მას საკეტი არ ჰქონდა, მიაწვა, ადვილად გააღო და იდენტურ სივრცეში ამოჰყო თავი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ოთახს ორი კარი ჰქონდა და იატაკზე, მარჯვენა კედელში გაჭრილ ხვრელთან, ნაჭრებში გახვეული მუმია ჯერ კიდევ ესვენა. მეორე კართან მიირბინა. იგი ურდულიანი იყო, გასაღები იქვე ეკიდა. შეათვალიერა უფრო უნივერსალურს ჰგავდა, აი ისეთს ქურდები “ატმიჩკას” რომ ეძახიან; ამით სხვა კარების გაღებაც შეიძლებოდა; ადვილად მოარგო, გა-

დაატრიალა და ამჯერად მორიგი ოთახის ნაცვლად ვიწრო გვირაბში შესასვლელთან აღმოჩნდა.

“გუბერნსკის” ამ ნაწილს ორი კარცერი ჰქონდა და თითოეულს თავისი საიდუმლო ოთახი ემსახურებოდა.

დრო არ ითმენდა. მალაქიამ მეორე მუმია გვერდზე გასწია, ხვრელში შეძვრა; საიდუმლო ლოდი-კარის შიდა საკეტი ზამბარაზე იყო მომართული, ადვილად გახსნა; კვლავ ოთახში დაბრუნდა; “ატმიჩკა” ჯიბეში ჩაიდო, ლამპა დაშალა, პატრუქი ამოაძრო და თავით კვლავ კარცერისკენ გადაეშვა. ლოდი-კარი ფრთხილად მოიხურა, მაგრამ არ ჩაუკეტავს. როგორც მოსალოდნელი იყო, კარცერის კარი ღია დახვდა. თუ საკანი ცარიელია, მას, როგორც წესი, არ რაზავენ. დერეფანში დამწვარი ხორცის და ტილოს სუნი იდგა. აი თურმე რა არომატი მიმოვაფრქვიე “კოცონზე დაწვის” შემდეგ. მალაქია კიბეს აუყვა: სარდაფიდან ციხის ზედა სართულებზე ასასვლელი კარი უნივერსალურ გასაღებს ადვილად დაემორჩილა. ახლა რამდენიმე საფეხური და მისი ყოფილი საკნის დერეფანში იქნება. ერთის მხრივ, თურმე რა კარგია, ბოლშევიკურ ციხეებში სულ მუდამ ღამე რომ არის, უჩუმრად გადაადგილება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. ყველაფრის დათვლის ჩვევაც გამოადგა; ზუსტად იცოდა კიბიდან საკნამდე რამდენი ნაბიჯია. ხელის ფათურით მოძებნა საკეტი და გასაღებიც მოარგო. ოდნავი წინააღმდეგობა და საკეტი გაიხსნა; კარი გამოაღო და შეცვლილი ხმით დაიძახა:

– “სტაროსტა”!

– ვა, კიდევ ახალი ზედამხედველი?! – გაიოცა თამშუკმა. – რა ხდება? ხომ მშვიდობაა? ამ შუაღამისას რამ შეგაწუხა ან ჩვენ რას გვერჩი? ფარანი რა უყავი? რაო, ნავთი ხომ არ შემოგელიათ? ბაქო აქვე არ არის?! იქ თურმე იმდენი საწვავია, მთელ ქალაქში მაზუთის სუნი დგას.

– ახლოს მოდი და გაოცება ახლა ნახე! – თავის ხმას დაუბრუნდა მალაქია

– ვაი, დედა! ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! – პირჯვარს იწერდა თამშუკი.

– ჩუმად, ხალხი არ გააღვიძო! ნუ ხმაურობ! სახელს ნუ დამიძახებ! – ჩურჩულზე გადავიდა.

– აბა, დორიფემ ნავთი გადაასხა და დაწვაო?

– "სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ: ვახარებ ჩემსა იასა; მოვკვდები, გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა. "ახლა საქმეზე! დრო არ მაქვს. ჩუმად მომიყვანე შენი "ბეზხოზნი" პატიმარი. ჩვენ წავალთ და დაიმახსოვრე: არ გიცნობ, არ მიცნობ და თვალითაც არ გინახივარ, მოხუცი სად წავიდა არ იცი; არც ყოფილა-თქო. დაიმახსოვრე?

– როგორ არ ვიცი, მალაქიაჯან, როგორ არ ვიცი? მე თუ არ ვიცი, სად წავიდა რკინიგზელი, აბა ვინ იცის? შენი დაწვის ამბავი რომ მოვიდა, მერე დორიფეს დაჭერის "სვოდკაც" მივიღეთ. ნასადილევს კი ციხის სულ ახალ უფროსთან ერთად ორი რუსი კომისარი შემოვიდა, წითური თმა, წვერი და შავი წარბები ჰქონდათ, ჩემხელა მაუზერები ეკიდათ; კრემლიდან, მოსკოვიდან სახალხო კომისრების დირექტორის ბრძანებით ჩამოფრენილან.

აეროდრომიდან პირდაპირ აქ მოვიდნენ, “ბეზხოზნი” რკინიგზელს ხელი მოჰკიდეს და წაიყვანეს. თურმე მაგას ლენინი ჩამოუყვანია რუსეთში ჩვიდმეტ წელ-ში. ისე ჩვენში დარჩეს და თარსი კაცი ყოფილა. წაიყვანეს თუ არა, სულ ცინცხალი ციხის უფროს-იც მოხსნეს. იმას რაღას ერჩოდნენ. მაგან ხომ არ დაიჭირა, კაცო? პირიქით, გაუშვა!

– სახალხო კომისრების დირექტორი რაღა უბედურებაა? შავი წარბები თუ შეამჩნიე, თვალის ფერი არ გამოგრჩებოდა. რუსულად აქცენტით ხომ არ ლაპარაკობდნენ?

– ვა, კომისრების დირექტორი როგორ არ იცი? აი სკოლის დირექტორი მასწავლებლების და მოსწავლეების უფროსი ხომ არის? ახლა კომისრები ვნახოთ. იმათაც სჭირდებათ დირექტორი. ისა, კაცო, რა გვარია? ასეთი აი, – თამშუკმა ორივე ხელის თითები გაშალა და სცადა ზღარბი გამოეხატა.

– ეჟოვი? ეგ დირექტორი კი არა გენერალური კომისარია, თანაც დორიფეს “მასტის” ყოფილა.

ეჟოვი

– ხო, რამ დამავიწყა? ეჟოვი. კაი, კაცო, ეგეც? რა ჭირთ, ეტყობა, მარქსმა მაგათ უთხრა: ‘პედერასტებო ყველა ჯიშისა, შინსახკომში შეერთდითო”. იმ “რიჟების” თვალის ფერი არ დამინახავს. მტერმა ჩახედა მაგათ თვალებში. ისე ერთი სულ ციხის უფროსს მიშტერებოდა. რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდნენ. “Авксентии Иванович, простите ради Бога”-ო, გაიძახოდნენ. “Мы этих врагов народа, всех к стене , сволочей”-ო, ყვიროდნენ.

– აჰა! მაშინ მე წავედი. ჩათვალე, რომ მოგელანდე! – მალაქიამ საკნის კარი ჩაკეტა და სწაფი ნაბიჯებით კარცერისკენ გაემართა . . .

“ის წასულია სხვათა ქვეყანაში, დიდ საქმეებს აკეთებს”, – კვლავ გაახსენდა მალაქიას ივანე მაჩაბლის დედის სიტყვები.

მეორე დილით თამშუკი ჯაბას საშინელ ისტორიას უყვებოდა:

– არა, ჯაბაჯან, აი როგორც შენ გხედავ, არა?! ზუსტად ასე ველაპარაკებოდი. ეტყობა მისი აჩრდილი იყო. ბავშვობაში წამიკითხავს, ტანჯვით მოკლულების სულები, სანამ შურს არ იძიებენ იქ დაძრწიან, სადაც გარდაიცვალნენო. თურმე მთელი ინგლისის სასახლეები სავსეა ამნაირი მოჩვენებებით. . .

მალაქია საიდუმლო ოთახში სწრაფად დაბრუნდა. ქიშმიშით ერთხელაც მოიკრიბა ძალა, ქილას თავი ლამპის ცეცხლზე გადამდნარი ლუქით მოუხუფა და კარადაში თავის ადგილზე დააბრუნა. მიიხედ-მოიხედა, ძველი წესრიგი, შესაძლებლობის ფარგლებში, აღდგენილი იყო. ლამპის პატრუქის ნაწილით გასასვლელამდე გზა გაინათა. ამ ნაჭრისა და კვესის გარეშე ვერ გაბედა გზის გაგრძელება.

აგურით მოპირკეთებულ თაღოვან გვირაბში გადაადგილება მხოლოდ ხოხვით შეიძლებოდა. ადრე "გუბერნსკის" ციხის მხრიდან ორთაჭალის კუნძულზე მტკვრის ტოტზე გადებული საცალფეხო ხიდით მოხვდებოდი. ბოლშევიკებმა მდინარის ეს ნაწილი ამოავსეს და ორთაჭალის ბაღები უკვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილიღა გახდა. გემოვნებიანი მესვეურები ხელოვნურ კუნძულებს ჰქმნიან, რათა მეტი პეწი და სიკოხტავე შესძინონ ქალაქს – ამათ კი ორბელიანების და ორთაჭალის ორი ბუნებრივი მარგალიტი მოუშალეს თბილისს. როგორც ჩანს, გვირაბი მტკვრის იმ ყოფილი ტოტის

ქვეშ გადიოდა და ამიტომაც საკმაოდ გრძელი უნდა ყოფილიყო. მალაქიამ პატრუქი ჩააქრო და ხელში მომუჭა; კვესი ჯიბეში ედო და საჭიროების შემთხვევაში ადვილად გაინათებდა. წინ უცნობი გზა ედო და მალაქიაც დინჯად დაადგა მას. სასურველი იყო გათენებამდე გასულიყო სამშვიდობოს, რადგანაც ხოხვისგან საშინლად დაბინძურდებოდა და დღის შუქზე ქალაქში ამგვარად გამოჩენა ზედმეტ ყურადღებას მიიქცევდა.

მოძრაობა მაინცადამაინც არ გასჭირვებია. ერთადერთი, რაც აფერხებდა ხოლმე, სახეზე მოდებული აბლაბუდები იყო. ოციოდე წუთის შემდეგ მალაქიამ იმის გაფიქრება მოასწრო, რომ უკვე შეიძლება გვირაბის ბოლოს იყო და მარჯვენა ხელით წინ მყარი სხეული იგრძნო. კარგად მოსინჯა, ფაქტურით ქვა იყო. ჩამკეტად ზუსტად ისეთივე მექანიზმი ეყენა, როგორიც საიდუმლო ოთახიდან კარცერში გასასვლელ ლოდ-კარზე. ზამბარა მოქაჩა, მიაწვა. ლოდი ჯერ მყარად დახვდა, მაგრამ რყევის შედეგად თანდათან დაიმორჩილა და წინ გააღო. მალაქია მიჰყვა. მიხვდა, რომ გვირაბი კი დამთავრდა, მაგრამ კვლავ რაღაც დახურულ სივრცეში აღმოჩნდა. წამოდგომა სცადა, გამოუვიდა; წელში გაიმართა, ჯიბიდან კვესი ამოიღო და პატრუქს ცეცხლი წაუკიდა. დაახლოებით ორი კვადრატული მეტრის ფართობის ბუნებრივ გამოქვაბულში იმყოფებოდა. წინ ვიწრო გასასვლელი ჩანდა. მასში ადამიანი თავისუფლად გაეტეოდა. მალაქია მიუახლოვდა, ხელი გაჰყო და ნახევარ მეტრში მიწას წააწყდა. იქვე, ღრიჭოსთან ნიჩაბი იყო მიყუდებული. შემოტრიალდა, ლოდ-კართან მივიდა და

ჩხაკუნით მიხურა. ქვა ისე შეერწყა გამოქვაბულის ლოდებს, რომ მის ბუნებრივ ნაწილად იქცა. ისეთი ოსტატური ნამუშევარი იყო, ცნობიერებაში ისევ ქვისმთლელ მასონთა ლოჟა წამოტივტივდა.

მალაქია შეუდგა გასასვლელის გათავისუფლებას. ნიჩბით იღებდა მიწას და შიგნით ყრიდა. ნიადაგი თავიდან მკვრივი და ნესტიანი იყო, მაგრამ თანდათან გაფხვიერდა. ჯერ გაუკვირდა, მაგრამ რომ გაახსენდა ვისთვის იყო გვირაბი გათვალისწინებული, იფიქრა ამგვარი მსუბუქი მიწა სპეციალურადაა შერჩეულიო. გამოქვაბულის ლოდებს შორის სივრცე უკვე სრულად გაწმინდა და წინ თითქმის ნახევარი მეტრით წაიწია, რომ ზემოდან ნიადაგი მოსწყდა; აჰა, ესე იგი გასასვლელი ზემოთაა და მალაქიამაც ახალი ძალით განაგრძო სამაშველო საქმიანობა. ჩამოყრილი მიწა კიდევ უფრო ფხვიერი აღმოჩნდა და საქმეც წინ ადვილად მიიწევდა. უკვე ბუნებრივი გამოქვაბულის გარეთ მუშაობდა. ზემოდან მიწას ქვემოთ გამოქვაბულში ყრიდა, რომ უცებ ნიჩაბი რაღაც უცნაურს შეეხო; იფიქრა ან ხის მორია ან სხვა მსგავსი რამო; ნიჩაბი მიაყუდა, მტვერი ჩამობერტყა და ხელით დაქაჩა. ვერ დაიმორჩილა. გვირაბში დაბრუდა, პატრუქი აანთო, გამოვიდა და უცნაურ ნივთს მიანათა. თვალებს ვერ დაუჯერა: მის ზემოთ ერთმანეთზე მიტყუპებული წყვილი ჩექმის ლანჩები და ქუსლები გამოჩნდა. მალაქია ახლა ორივე ხელით მისწვდა ჩექმებს, რომლებშიც აშკარად რაღაც იდო; რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაქაჩა. ჩექმები მალაქიასკენ დაიძრა და თან მიწის მასასთან ერთად რაღაც სხვა სხეულიც გამოიყოლა. მალაქიამ, მტვერი რომ

არ ჩაყროდა, თვალები დახუჭა. მალევე ხელი ჩამოისვა სახეზე, მიწა ჩამოიბერტყა და თვალი გაახილა. ზემოთ პატარა ნახვრეტიდან ბუნებრივი სუსტი შუქი ჩამოდიოდა. გვერდზე გაიხედა და ვერ დაიჯერა: მიწით გათხუპნულ ადამიანის სახეს ოციოდე სანტიმეტრი აშორებდა. პატრუქი მიანათა, კარგად დააკვირდა. უცნობს შუბლზე ნატყვიარიდან გადმოღვრილი შედედებული ჭუჭყიანი სისხლი რქასავით ეტყობოდა. მარცხენა ხელით სახიდან მტვერი მოაშორა და უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის გვერდით ნამდვილად დორიფე-ჩაჩულას გვამი იყო. აი თურმე რატომ იყო მიწა ასეთი ფხვიერი და ფაფუკი. მალაქია დახვრეტილი დორიფე-ჩაჩულას სახელდახელო საფლავს ქვემოდან თხრიდა. სანამ მალაქია საიდუმლო ოთახში პარალიზებული და გონებაგათიშული იყო, როგორც ჩანს, ციხეში მოვლენები უცნაური სცენარით განვითარდა. შესაძლოა, მალაქიას კარცერში დაწვის ამბავი გახმაურდა, დორიფეს არ აპატიეს ამგვარი იაღლიში, გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და სასწრაფოდ იქვე ორთაჭალის ბაღში დახვრიტეს კიდეც. ესე იგი, არ ტყუოდნენ ის ადამიანები ვინც ამტკიცებდნენ, რომ ღამღამობით ორთაჭალის ბაღებში სროლის ხმა ისმის, იქ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება ხდებაო.

თავი მეთერთმეტე

სკინტლეა ფული იცისო

დორიფეს საფლავიდან ამოძვრა. მთვარის შუქი ჯერ კიდევ ჯაბნიდა აღმოსავლეთით დედამიწას ამოფარებული მზის სუსტ სხივებს, მაგრამ უკუნეთში გატარებული დღეების შემდეგ მალაქიასთვის ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა; ცას ახედა, მთაწმინდისკენ გაექცა თვალი; მთის ფერდობებს გამოჰყვა, მტკვრის ხეობას გახედა; ავლაბრიდან მდინარეზე გადმოფენილი სახლების აივნების მშვენიერებით დატკბა; მეტეხის ეკლესიის კონტურებმა საოცარი სიმშვიდე მოჰგვარა. ახლა უკვე მიწაზე დაბრუნებაც შეიძლებოდა.

მიმოიხედა თუ არა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უცნაურ სასაფლაოზე იმყოფებოდა. უბორცვებო, უჯვრო, უწარწერო სხვადასხვა ზომის ახალთახალ ნამარხებს შორის იდგა. ორთაჭალის ეს მტკვრისპირა ზოლი ბოლშევიკებს "გუბერნსკის" მხრიდან შემოუღობავთ და კაცთა სასაკლაოდ უქცევიათ. დორიფეს მესაფლავეებს წერაქვი და ნიჩბები აქვე დაუყრიათ. მალაქია დატრიალდა და ორმოს ჩა-

ვარდნილი ნაწილი მიწით შეავსო; ყოველი შემთხვევისთვის ქვებით ჯვრისებრი კომბინაცია გამოსახა და ესეც მიწაში ჩატკეპნა. მერე მიმოიხედა, თვალით ორიენტირები მონიშნა და დაიმახსოვრა.

მტკვრისკენ დაეშვა, მდინარეში შევიდა. წყალი მდორედ მიუყვებოდა კალაპოტს. დინების საწინააღმდეგოდ განაგრძო გზა. ორთაჭალის დასახლებასთან შეჩერდა, შარვალი და პერანგი გარეცხა, მაგრად გაწურა, კარგად დაბერტყა, ბუჩქზე გადაფინა.

ქალაქი გასაღვიძებლად ემზადებოდა.

მალაქია მდინარეში ღრმად შევიდა და მის ტალღებში შეცურდა. ორიოდე წუთი ისიამოვნა, იგრძნო როგორ განიბანა არა მარტო ციხის ჭუჭყისგან, არამედ რაღაც სხვა ხელშეუხებელი, არამატერიალური სიბინძურისგანაც. ნაპირზე გამოვიდა, ხელები გაშალა, ზეცას ახედა და თვალები დახუჭა.

“აი თურმე, რა ტკბილია თავისუფლება?!”

მაგრამ ნეტარება დიდხანს არ გაგრძელდა; შუბლზე რაღაც თბილი და ბლანტი დაეცა. თვალები გაახილა, მის თავზე თოლიების გუნდი დაფრინავდა. ხელი მოისვა, დახედა: სკინტლი!

“ფული იცისო, იტყოდა ამბაკო.”

ხელი დაიბანა, სკინტლი შუბლიდანაც ჩამოირეცხა. სველი შარვალი ჩაიცვა, ფეხსაცმელები მოირგო, პერანგი დაკეცა, ხელში დაიჭირა და ორიოდე

წუთში უკვე არტახებში ჩასმულ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სახლისკენ მირბოდა. სველი ფეხსაცმელები კი ჭყაპუნობდა:

“სკინტლმა ფული იცისო, სკინტლმა ფული იცისო. . . განძი, განძი, განძი. . . ნუთუ ეს ყველაფერი ცხადში ხდება და ახლა სამიზნე ხევში დაცული საგანძურია? გამიგია, რომანოვების განძი სადღაც კავკასიის მთებში ინახებაო; თუმცა მანამდე დედას უნდა ჩავეხუტო, მერე იდოტ ამბაკოსთანაც გავარკვიო ურთიერთობა და, რაც მთავარია, პოლიკარპეს გამოვეცხადო. სკინტლმა ფული იცისო, სკინტლმა ფული იცისო, განძი, განძი, განძი. . .

თავი მეთორმეტე

თეთრი შლაპა შავი კანტით

საკუთარი ბინის კარებთან იდგა და დაკაკუნებას ვერ ბედავდა. გული შინისკენ მოუჩქაროდა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ მოულოდნელი გამოჩენით შეიძლება დედისთვის ევნო. მას ხომ უკვე აცნობებდნენ შვილის გარდაცვალების შესახებ. ცუდი ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება.

კარი თავისით გაიღო, ზღურბლთან ძაძებში ჩაცმული მაგდა დახვდა.

– შემოდგი ფეხი, კარებში კოცნა არ შეიძლება, თანაც ავმა თვალმა არ დაგინახოს, სწრაფად შემოდი.

– დედა!

– მოდი, შვილო, ნუ გეშინია. შავები საჩვენებლად მაცვია, თორემ შენს სიკვდილს როგორ დავიჯერებდი?!

– გული გიგრძნობდა!

– ისიც კი ვიცოდი, რომ კარებთან იდექი. ასეთია დედის გული, – მაგდა შვილს ჩაეხუტა და სპირიდონის გარდაცვალების შემდეგ პირველად წასცდა ცრემლები.

– ნუ ტირი, დედა, ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ! “ქალო, რას სტირი, რას სტირი, რას დაგითხრია თვალები, მინდორში შენის ცრემლითა სავსეა საგუბარები!”

– ნეტავ ოდესმე თუ ვნახავ იმ ქალს, ვისაც ეგ უნდა უმღერო?

– აჰა, გიცანი, გიცანი! ისევ ის მაგდა ხარ!

– წამო, ვისაუზმოთ. წინ რთული დღე გველოდება.

მალაქიამ ტანსაცმელი გამოიცვალა, მაგიდას მიუჯდა, კუნელის ჩაი მოსვა:

– ვაჰ, რა კარგია!

– ნახე?

– ვნახე!

– ის არის?

– ნამდვილად ის არის!

– სამშვიდობოსაა?

– ყოველ შემთხვევაში “გუბერნსკის” ციხიდან გამოყვანილია, სხვა არაფერი ვიცი.

– დავალება მიიღე?

– მაქვს პატივი.

– შორს მიდიხარ?

– ჯერჯერობით ხევში.

– ყველაფერი გამზადებული მაქვს, შენს ჯადოსნურ საკვოიაჟში ერთი ხელი ტანსაცმელი, ყალბი შტამპებისა და ბეჭდების დასამზადებელი ლუქი და შრიფტი, ნიკოლოზას რუსეთის დაბადების მოწმობის ცარიელი ბლანკები დავამატე. მამაშენის მემკვიდრეობაა, სხვენში მქონდა საგულდაგულოდ შენახული.

– ვიცი, რატომაც მაჩქარებ, მაგრამ დღეიდან ვერაფერს წავუყრუებ. ახლა იდიოტი ამბაკო ჩუმად ამომიყვანე. მერე პოლიკარპესთან გავასწორებ ანგარიშს. ცხოვრება წვრილმანებისგან შედგება და მათი უგულებელყოფა არის ყველა სერიოზული შეცდომის სათავე.

– გეთანხმები, მაგრამ წვრილმანი შურისძიებაც არ არის კაცის საქმე.

– შურისძიებას არც ვაპირებ. უბრალოდ უამრავი დეტალი მაქვს დასაზუსტებელი, რომლის გარეშეც ჩვენი საქმე წინ ვერ წაიწევს.

– მაშინ გავაღვიძებ ამბაკოს.

მაგდა მეზობელთან გავიდა. მალაქიამ საკვოიაჟი გახსნა, სარკეს მიუჯდა. ულვაშებმა, ხშირმა წარბებმა, მრგვალმა სათვალეებმა, ცოტაოდენმა გრიმმა თავისი ქნა, თეთრმა შავკანტიანმა შლაპამ ბოლო შტრიხი შემატა და სახლმმართველ დომენტისგან ვერავინ განასხვავებდა.

კარი გაიღო და ამბაკომ შემოყო თავი.

– ვა, დომენტი? რა იყო, რა ვერ გასვენებს, აქ რამ მოგიყვანა ამ დილაუთენია? აცალეთ კაცს გაციება და მერე შეიტანეთ შესწორება "დამავოი კნიჟკაში".

– მოდი, დაჯექი. გაციებით ახლა შენ გაგაციებს. რით ვერ ისწავლე გაციება სხვაა, გაცივება სხვა. ვის უნდა აცალო გაცივება, ბიჭო?

– არა! . . მალაქია, ძმაო! ცოცხალი ხარ?

– რა გაღრიალებს? ჩუმად! ხალხი არ შემიყარო! აბა ერთი, მომიყევი, რატომ დახოცე ის ორი მამაძაღლი.

– ღმერთი, რჯული, აჰა, პირჯვარი გადამიწერია, არ მომიკლავს. არ დაგიმალავ, ვაპირებდი, მაგრამ, რომ მივბრუნდი, იმათი სოროდან ვიღაც გამოდიოდა. იქვე კუთხეში მოვყუჩდი. ახლოს ჩამიარა, ჩამიარა კი არა, ჩამიქროლა. ქურდივით გარბოდა, მაგრამ მაინც ვიცანი. პოლიკარპე იყო მილიციის უფროსი.

– ფაიზადი? ხომ იცი, შეცდომის უფლება არა გაქვს?

– გინდა ხატზე დავიფიცებ?

– შენს ხატზე დაფიცებას რა ძალა აქვს, შე ურ-ჯულო?!

– პოლიკარპე იყო ნამდვილად. სხვა იქ არავინ დამინახავს. სასწრაფოდ მიწურში შევვარდი. ორივეს ყელი ჰქონდა გამოჭრილი და ჯერ კიდევ ცახცახებდნენ. ასე რომ, ის ორი მამაძაღლი შენმა ძმაკაცმა პოლიკარპემ დახოცა და არა მე. შენი და-ჭერის, და მერე დახვრეტის, ამბავი რომ მოვიდა, ფიცი დავდე: უნდა მოვკლა. აბა შენ სისხლს ხომ არ შევარჩენ.

– კარგად შემომხედე. ვის სისხლს არ შეარჩენ, ბიჭო? ახლა სად ბრძანდება? რადგან მოკვლას უპირებდი, დაადგენდი მაგ მამაძაღლის ადგილსა-მყოფელს. ერთად ვმუშაობდით და მაშინ არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა.

– ვიცი. ჯერ სამსახურში აგდია, როზა ჰყავს სტუმრად. რვა საათისთვის ის ქალი ჩეკას სამ-მართველოში მიდის, პოლიკარპე კი თავის სარდაფ-ში წავა დასაძინებლად. ყოველ შემთხვევაში გუშინ ეს გრაფიკი ჰქონდათ. მოვიცდი, ერთ ღამეს როგორ არ გაათევს სახლში, რომ ღორივით ყელი გამოვ-ჭრა?!

– მაგ ბედნიერ ღამეს ვერ დაველოდები. ახლა წახვალ და როგორც კი ნახავ, რომ მილიციიდან გამოვიდა, შემატყობინებ. მე თავად დავადგები სახლში. რაო, რა მითხარი, სად ცხოვრობსო?

– არა, მაგას აღარ ვჭამ! უჩემოდ ვერ მიაგნებ და მარტოსაც არ გაგიშვებ! მე წავალ, იქნებ დღეს უფრო მალე გამოვიდეს. ისე დომენტის მაგრად ჰგავხარ. ჰა, ძია სპირიდონს ხომ არ უმამაძაღლია რამე?!

– ნეტავი გამაგებინა, ვისგან დაგყვა ამ უნიჭო ანგლობის ნიჭი?! წადი, ბიჭო, და იქნებ დღეს დილიდან, ჩემი ხათრით, ორასი გრამი არ დაჰკრა.

– აი მაგას კი ვერ დაგპირდები, – ტრადიციის ერთგული დარჩა ამბაკო.

– დედა, სხვენში მეც მაქვს ერთი პატარა საქმე. ავალ და მალე ჩამოვალ. . .

თავი მეცამეტე

მაუზერი ყვერებში

– ვინ ოხერი ხარ? სახლში მაინც მომასვენეთ. ეს წუთია ჩამეძინა. რა უბედურებაა კარზე ბრახუნი. ხო, მოვდივარ! თუ ქვეყანა არ დაქცეულა, ჩათვალე რომ გვამი ხარ და თანაც უკვე გახრწნილი, – პოლიკარპემ ურდული გასწია და კარი ოდნავ შეაღო. – დომენტი, შენ ხარ, კაცო? შემოდი. ხომ სრული სიით მოხვედი? – კარი ბოლომდე გაუღო სტუმარს და წინკარის გავლით ოთახში შებრუნდა.

“ესე იგი, დომენტი აქ მიღებული კაცია! ან რა გასაკვირია, სახლმმართველი რომ ამათი აგენტი იყოს?!”

მალაქია პოლიკარპეს შეჰყვა. ათიოდე კვადრატული მეტრის ოთახში მხოლოდ პატარა ტანსაცმლის კარადა და უზარმაზარი საწოლი იდგა. საცოდავი სანახავი იყო ამ საწოლზე დაგდებული ნიფხვისამარა დარჩენილი მილიციის უფროსი, რომელიც

მაუზერის შეყენების ხმაზე დაფრთხა და ყურადღებით აკვირდებოდა სტუმარს:

– ხმა ამოიღე, დომენტი, ეს რა ხუმრობაა? ხომ ნამდვილად დომენტი ხარ, ბიჭო? მოაშორე ეგ იარაღი!

– არა ვარ ნამდვილად დომენტი! მიხვდი ალბათ, მოვიდა შენი განკითხვის დღე!

– შენ?

– დიახ, მე!

პოლიკარპე გაშეშდა. გულწრფელად იყო გაოცებული და შეშინებული, მაგრამ რამდენიმე წამში თვალებში მისთვის დამახასიათებელი უცნაური ნაპერწკალი გაუკრთა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამძაფრებულმა გადარჩენის ცხოველურმა ინსტინქტმა ხსნის გზა უკარნახა. მალაქია ყურადღებით იყო და ეს ცვლილება არ გამოჰპარვია.

“აჰა, აბა ვნახოთ რა ტაქტიკას აირჩევს.”

– არ მესროლო, მალაქია, ყველაფერს მოგიყვები. მე არაფერ შუაში ვარ. თუმცა რას გიხსნი, შენც ხომ მშვენივრად იცი. თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი, რომ თქვენს თამაშში პაიკი ვიყავი. სად მე – ხეპრე და გაუნათლებელი და სად თქვენ – განათლებულები და გონიერები? უნდა მცოდნოდა, გამომიყენებდით და გადამაგდებდით. ჭკუა არ მეყო მე უბედურს. ვერ მივხვდი: შენ, ლავრენტი ბერია, ის მოხუცი “ჟელეზნოდოროჟნიკი” და მოსკოველი კომისრები – ერთი “კამანდა” რომ იყავით.

“თავს გაუნათლებლობით მაცოდებს და ცდილობს მსხვერპლად გამოჩნდეს; უცნაური ვერსიის მოყოლით ეცდება დრო მაქსიმალურად გაწელოს; შესაძლოა, ვინმეს მოსვლას ელოდება, თორემ ეგ ასე ადვილად კარს არ გააღებდა.”

– მოდი, ასე შევთანხმდეთ. თუ სიცოცხლე გინდა, მე გეკითხები, შენ კონკრეტულად მპასუხობ. მიეთ-მოეთი, ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ გაქცევის მცდელობაა და დაუფიქრებლად გესვრი. სიკვდილს მხოლოდ იმიტომაც იმსახურებ, რომ იმ ორ შენს დამქაშს, ვისაც დასაპატიმრებელთა ბინების გასაძარცვად იყენებდი, ყელი გამოსჭერი და იცოდე, ხელი არ ამიკანკალდება. დავიწყოთ 12 ივლისით. რა მოხდა მოხუც რკინიგზელთან დაკავშირებული ამ დღეს? აბა, ჰე! პირველი. . .

– გასგებია. იმ მამაძაღლების ამბავი უკვე გცოდნია. პირველი: 12 ივლისს შენ რომ ქეიფობდი და სუფრაზე შენთან ერთად ლავრენტი ბერიას უახლოესი მეგობრებიც იყვნენ, მაშინ უნდა მივმხვდარიყავი, არ ხარ ხელწამოსაკრავი კაცი, მაგრამ ჭკუა არ მეყო.

– პოლიკარპე, ხომ შევთანხმდით: მხოლოდ მოხუც რკინიგზელთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები! სხვა სახის მსჯელობები დროს მოგების მცდელობად შეფასდება. შენს მიერ დროის გაყვანა რასაც ნიშნავს, იმ საჭადრაკო ტურნირიდანაც კარგად მახსოვს. გაგახსენდა ხომ? რადგან აზრებს თავს ვერ უყრი, კონკრეტულ კითხვაზე გამეცი პასუხი: საიდან გაიგე, რომ მოხუც რკინიგზელს იჭერდნენ?

– ასე ჯობია. 12 ივლისს საღამოს როზასთან ვიყავი უშიშროებაში. დასაპატიმრებელთა განწესი, სადაც მათი გვარ-სახელები, დაბადების წელი და მისამართია მითითებული, რვა საათისთვის უკვე დაბეჭდეს და შემოუტანეს. მე ჩვეულებრივად გავეცანი სიას. ძირითადად სოლოლაკელები იყვნენ და ჩემი უბნიდან მხოლოდ ის წყეული მოხუცი იყო. მისამართი მარცხენა ხელით გადმოვიწერე და იმ ვირის შვილს დათქმულ ადგილზე სამალავში ჩავუდე.

– აჰა, კარგად მიდიხარ. ახლა გააგრძელე, მერე რა მოხდა?

– მერე, გვიან განყოფილებაში დავბრუნდი. სასტუმრო "ორიენტის" ერთ-ერთი "ოფიციანტის", ჩვენი აგენტის, "დანოსი" დამხვდა. იქ ეწერა, რომ მაგიდასთან, რომელსაც იგი ემსახურებოდა, თურმე ქართველი მწერლები ქეიფობდნენ ვიღაც ქართულად მოლაპარაკე უცხოელებთან. კარგად რომ დამთვრალან, ერთ-ერთ უცხოელს დაუჩემებია, გინდა თუ არა, კონსტანტინე ბალმონტისგან ზუსტად ვიცი, მარჯორის "ვეფხისტყაოსნის" ინგლისურად თარგმანის რედაქტირებაში იმჟამად ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი ვანო, გვარი არ მახსოვს, ეხმარებოდაო. გვარი თუ არ იცი, ეგ ამბავი როგორ დაიჯერე ან რად დაიმახსოვრეო, – დაუცინიათ ქართველებს. – არ ვიცი კი არა, არ მახსოვს. ის კაცი ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო და შექსპირი აქვს ქართულად თარგმნილი. – არა თქვა ახლა, ვანოს გვარი მაჩაბელიაო, –ახარხარებულან მწერლები. მარჯორიმ თავისი ინგლისური "ვეფხისტყაო-

სანი” 1912 წელს გამოსცა, როდესაც ვანო მაჩაბელი კარგა ხნის გარდაცვლილი იყოო. – დამიჯერეთ, ბალმონტმა ისიც მითხრა, მერე ის კაცი, მსოფლიო ომის დაწყებამდე საქართველოში საპორტო ქალაქ ფოთში ვნახე და ვესაუბრეო. – აი ეგ კი ბოლო ყანწის ბრალია, მაგან ნამდვილ ქართველად გაქცია: ფანტაზიორობასთან ერთად ჯიუტობაც დაგაწყებინაო.

ლავრენტი ბერიამ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარედ რომ დანიშნეს, მილიციის უფროსები დაგვიბარა სპეციალურ თათბირზე და ილია ჭავჭავაძეზე რამეს, თუნდაც უმნიშვნელოს, თუ მოჰკრათ ყური, აუცილებლად მაცნობეთო. მე სულელმა გადავწყვიტე, თავი გამომეჩინა და ეს ამბავი ლავრენტი პავლოვიჩთან მიმეტანა. მაშინვე როზას დავურეკე, იმასაც მეტი რა უნდოდა, სასწრაფოდ მილიციაში მოვიდა და მთელი ღამე ბერიასთან შეხვედრის გეგმებს ვაწყობდით ჩვენებურად. დედის რძე არ შემარჩინა. მერე დილიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტში წავედი და იქ მიღების მოლოდინში თითქმის შუაღამემდე დავრჩი. მხოლოდ თერთმეტი საათისთვის შემიშვეს ბერიასთან. ყურადღებით მომისმინა, ყოჩაღო, შემაქო და უცნაური დავალება მომცა. შენს უბანში თუკი სადმე ოთხმოცს მიახლოებული და გადაცილებული მოხუცი ცხოვრობს, ყველას გვარ-სახელი, მისამართები დამიზუსტე და მომაწოდეო.

ცეკადან რომ გამოვედი, განყოფილებაში დავბრუნდი და შევუდექი დავალების შესრულებას. ეგ

საკმაოდ ძნელი საქმე იყო. ჩვენი საპასპორტო მაგიდის მონაცემები არასრული იქნებოდა, რადგან საპენსიო ასაკზე, შენც კარგად მოგეხსენება, პასპორტიზაცია არ ვრცელდება. დავიბარე ჩემი მეგობარი დომენტი, იცოდე, პირველად შენ გეუბნები, მაგას ვენდობი, ჩემი "ტრუსიკის" ძმაკაცია და ვუბრძანე ჩამოევლო ყველა სახლმმართველობა, ენახა ყველა აგენტი, ვინც უპასპორტო და ჩაუწერელი მოხუცების გამოვლენაში დაგვეხმარებოდა და სია მზად ექნებოდა თუ არა, ნებისმიერ დროს, ჩემთან უნდა მოეტანა. დომენტის ველოდი და სარკმლიდან რომ გამოვიხედე ის მეგონე. სხვა ჩემს შესაწუხებლად აქ ვერ მობედავდა.

"აი, თურმე რა ხდება. ესე იგი დომენტის ელოდა და ახლაც მას ელოდება. შესაბამისად პოლიკარპე დროს გაყვანას დომენტის და იღბლის იმედით ეცდება."

– დომენტი კარგად იყოს. საქმეს დავუბრუნდეთ.

– ამ საქმეებს რომ მოვრჩი, კრებსის პაკეტი გავხსენი და თვალი გადავავლე. გუშინდელი მოხუცი გამახსენდა. იმის დაბადების წელი ზუსტად არ მახსოვდა. ვიფიქრე, ერთიც ვნახოთ, ეგეც ჩვენთვის საჭირო ასაკის არ იყოს-მეთქი. თურმე სადა ხარ? სადღაა სიაში მოხუცი. ჯერ თვალებს არ დავუჯერე, კარგად მოვიფშვნიტე, კიდევ ერთხელ წავიკითხე მთელი კრებსი, იქნებ სადმე სხვაგან მიაწერეს–თქო, მაგრამ გაგონილა?! მაშინვე მივხვდი, რაღაც ვერ იყო კარგად საქმე და გავიქეცი იმ ვირიშვილების სანახავად ჭიჭიაშვილზე. იმათი გამოქვაბულიდან კი ვიღაც ჩეკისტი გამოვიდა ზურგზე

კაცმოკიდებული. თურმე შენ ყოფილხარ, მაგრამ მაშინ, იმ სიბნელეში, რას მივხვდებოდი? ღამე კი არა, აგერ დღისით ვერ გიცანი. ახია ჩემზე. მერე იმ სოროში შევედი და პირაკრული ორი მამაძაღლი ვნახე ერთმანეთზე მიბმული. ვიფიქრე, ბერიას ხრიკებში გავეხვიე, იმ ჩეკისტმა ესენი დროებით დატოვა და თვითონ რაზმის გამოსაძახებლად წავიდა. ამათ უშიშროებაში გადაიყვანდნენ და დაკითხავდნენ თუ არა, ეგრევე ჩაშვებული ვიყავი. ერთ-ერთს პირი გავუხსენი იქნებ რამე ვათქმევინო-მეთქი და ისეთ ხმაზე იყვირა: “ხომ გეუბნებოდი, გვისადკავებენ-მეთქიო”, შემეშინდა, ჩეკისტს არ გაეგონა და მარტივად გამოვჭერი ყელი ჯერ მყვირალას და მერე მეორესაც.

“გამოდის რომ, იმ საღამოს ერთ-ერთი ბანდიტის ხმა კი არ მომეჩვენა, არამედ რეალურად გავიგონე.”

– მართლა ასე ადვილია შენთვის კაცის მოკვლა?

– აბა თავს ხომ არ დავიღუპავდი? იქიდან წამოვედი და გზაში უკვე გადავწყვიტე: ჩემი საქმე ცუდადაა და ჯობია, გავეცალო აქაურობას. განყოფილებაში იმიტომ დავბრუნდი, რომ სეიფიდან ტყვიაწამლის მარაგი და ფული ამეღო. სწორედ მაშინ დამადექი თავზე. ვიფიქრე, ბედი კარზე მომადგა და ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ იქნება-თქო. თურმე სად ხარ? თუ მიდიხარ, წადი რა?!

– მაინც საიდან მოხვდა მოხუცი დასაპატიმრებელთა განწესში?

– გაგეცინება. ეგ როზამ გამირკვია. ვიღაც მბეჭ-დავ-მემანქანე ჰყოლია განყოფილებაში, მგონი, მარ-გო ჰქვია. ჰო, მარგო ყოფილა მოხუცის მეზობელი კომუნალურ ბინაში და თურმე გათხოვებას აპი-რებს; საქმრო ზედსიძედ უნდა შემოიყვანოს ოჯახ-ში, სადაც ისედაც ვიწროდ არიან. იმ გოგოს უფი-ქრია, თუ მოხუცს დაიჭერენ, მის ფართს ჩვენ მოგვცემენო და რკინიგზელის გვარი მიუბეჭდავს დასაპატიმრებელთა სიისთვის.

– დორიფეზე და ციხეზე რა იცი?

– ეგ ამბებიც როზამ მიამბო. მაგ საქმეს საიდუმ-ლო განყოფილებაში "განსაკუთრებით საიდუმლო" გრიფი ადევს. ეგ დორიფე რომ გადმოიყვანეს "გუ-ბერნსკის" უფროსად, მაგის საბუთები როზას გა-ნყოფილებამ ცეკაში გააგზავნა. ასეთი წესია: დიდ თანამდებობებზე დანიშნული ხალხის დამტკიცება პარტიის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. იქ ეს საბუთები მიუტანიათ ცეკას ერთ-ერთ მდივანთან. აღმოჩნდა, რომ ის დორიფე სინამდვილეში ჩაჩულა ყოფილა და იმ მდივნის ძველი ნაცნობი. თურმე ამ ჩაჩულას ადრე, გასაბჭოების წლებში რევოლუციის საქმისთვის უღალატია. ცეკას მდივანს მაგის საქ-მეზე რეზოლუცია დაუდია: სასწრაფოდ ამხილეთ როგორც ხალხის მტერი და გაასამართლეთო. ჩეკა იმწამსვე წავიდა ციხეში ჩაჩულას დასაკითხად. ეს დორიფე-ჩაჩულა ამ დროს კარცერში ხანძრის ჩა-ქრობას ხელმძღვანელობდა. ჩავიდა ეს კომისია სარდაფში და რას ხედავს: შენ ხარ თურმე დამწ-ვარი. მეტი რა უნდოდათ? დორიფე დაიჭირეს, და-კითხეს. ყველა ცოდვა აღიარა და დახვრეტაც მი-

უსაჯეს. განაჩენი გუშინ ღამე აღასრულეს და საქ-
მეც დახურულ არქივში გადააგზავნეს. აწი მაგის
გამკითხავი არავინაა. შენზე ფიქტიური პროცესი
გააფორმეს, სიკვდილი მოგისაჯეს და ასე ჩამოგ-
წერეს. მაგრამ რად გინდა: აგერ დგახარ საღ-
სალამათი. მითხარი მართლა ვინ ხარ? რა ძალა და
გავლენა გაქვს ასეთი? ან ის მოხუცი ვინ ოხერია?
მაგის წასაყვანად მოსკოვიდან სპეციალური
თვითმფრინავით იმისთანა ხალხი ჩამოფრინდა, აქ
სახეზე არავინ იცნობდა. თქვეს, განსაკუთრებით
საიდუმლო ქვედანაყოფის კომისრები არიანო. რო-
ზამ მითხრა ეგენი არსად, არც ერთი საბუთით არ
არსებობენ, პირადად სტალინს ემორჩილებიან და
მხოლოდ მის მითითებებს ასრულებენ, ყველაფრის
უფლება აქვთო. ამხელა ხალხში ხარ გარეული და
ჩემი დაღუპვა რად გინდა? ნებისმიერ შავ საქმეში
გამომიყენე, ყველაფერზე მოვაწერ ხელს, ოღონდ
ახლა ნუ მომკლავ, – პოლიკარპე მუხლებზე დაეცა
და საწოლის გასწვრივ მალაქიასკენ ხოხვით წამო-
ვიდა. – ფეხებს დაგიკოცნი და ბოლომდე შენი
ერთგული ვიქნები.

მალაქიას ზურგსუკან ფარდის შრიალი მოესმა,
მიიხედა და –“არ ისროლოო”– იყვირა, მაგრამ უკვე
გვიან იყო. ამბაკოს ფინური დანა ტყვიაზე უსწრა-
ფესად გაფრინდა იქითკენ, სადაც პოლიკარპე უნდა
ყოფილიყო. თვალი მიაყოლა და ახლა უკვე მუხ-
ლებზე დაჩოქილ პოლიკარპეს ეჭირა გულში გარ-
ჭობილი დანის ტარი. მისი მაუზერი კი იატაკზე
ეგდო.

– ამას რას ელოლიავებოდი? ეგრევე უნდა მოგეკლა. ხომ იცოდი, რა გველიც იყო. ნახე, სად ჰქონდა ფიშტო დამალული? ეგეთი რამ არც გამიგია; ამხელა იარაღი ყვერების ქვეშიდან გააძრო, – ბავშვურ გაოცებას ვერ მალავდა ამბაკო.

“ამ იდიოტის ტვინში ჩამახედა. ეს-ესაა, ადამიანი გააგორა და საჭურვლის შენახვის ადგილითაა გაკვირვებული! მე კიდევ რა უმადური ვარ? მეგობარმა სიცოცხლე შემინარჩუნა და იდიოტს ვეძახი! არა, მთავარი მაინც სხვა რამაა: ამბაკომ სიკვდილთან ერთად, კაცის კვლას ამარიდა და ჩემი ცოდვა აიღო თავზე! აჰა! არის კიდევ ერთი საკითხი: საინტერესოა, რამდენად ზნეობრივია ცოდვის სხვისთვის გადაკისრება? თუმაცა ამაზე მერე, ხევისკენ მიმავალ გზაზე ვიფიქრებ.”

– აიღე შენი დანა და წავედით აქედან, ძმაო!

თავი მეთოთხმეტე

მოხევის ქალო, თინარო

სოფლიდან სივანის ეკლესიისკენ მიმავალი გზის გასაყარზე მოთამაშე ბავშვებმა ყარაჯეთ იაგორას სახლი მიასწავლეს. სიღრმეში, წყაროზე ჩასასვლელთან მარცხნივ შეუხვია, აღმართში ოციოდე მეტრი გაიარა და გამოჩნდა მოგრძო, საკმაოდ მაღალ საძირკველ-ნახევარსარდაფზე აგებული, შენობა. ფასადს მთელ სიგრძეზე შუშაბანდი გასდევდა და ორი ქვის კიბე ჰქონდა მიშენებული. ქაბარჯინას მთაზე უკვე დასამალად გამზადებული მზის სხივები შუშაბანდის მინებზე ირეკლებოდა და იქაურობას მოციმციმე ბურუსში ხვევდა. მარცხენა კიბის წინკარზე მოკლედ შეჭრილი თმით, თეთრ პერანგსა და კუბოკრულ ქვედაბოლოში ჩაცმული, გასაფენად გამზადებული თეთრეულით სავსე გობით იდგა და იღიმებოდა ახალგაზრდა ქალი.

ხუთივე გრძნობა ერთდროულად ამოქმედდა. მალაქიამ შორი მანძილიდან, რაღაც აქამდე უცნობი ნიჭის წყალობით, იგრძნო მის წინ მოთამაშე სხივებში მდგომი არსების: თმების სპეტაკი სურნელი, გულის ფეთქვა, ტუჩების სიტკბო, მკერდის სითბო, ბარძაყების სასიამოვნო სიგრილე, მასთან მიჭრის და ჩახუტების მწველი სურვილი და ამ ყველაფერთან ერთად იშვა ის მეექვსე გრძნობაც, რომლის ახსნასაც დღემდე ვერ ახერხებს კაცობრიობა. სწორედ ამ ექვსი გრძნობის ერთიანობით განსხვავდებიან ადამიანები ცხოველებისგან და მას ჩვეულებრივ მეტყველებაში იმ სიტყვას ეძახიან, რისიც დღემდე ასე ეშინოდა მალაქიას.

– მე თინა მქვია, შენ?

“რასაკვირველია, თინა! “მოხევის ქალო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო!” ეს ჰარმონია ბავშვობიდანაა! და, რა თქმა უნდა, “შენ?” ახლა ამას თქვენობით, რომ მოემართა, დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდებოდა.”

– მალაქია.

– ვის ეძებ, მალაქია?

– შენ!

– მე?

– არა. არა კი არა, კი. ყარაჯეთ იაგორას.

– დაბნეული მეჩვენები. ალბათ ნამგზავრი ხარ და თანაც მთამ დაგცადა. იცის ასე. ძია იაგორა რად გეკუთვნის?

– მამაჩემის მეგობარია.

– მეც რამ გამაშტერა? გადავეჩვიე სტუმრის მიღებას, – გობი დადგა, კიბე ჩამოირბინა და მალაქიას ჯერ მარცხენა ხელი გაუწოდა, გაეცინა, უკან წაიღო და ახლა მარჯვენათი მიესალმა. – ცაცია ვარ და სულ მეშლება.

“გაშტერება შენ ჩემი უნდა ნახო. ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ. თითქოს სული ხორცს დაშორდა, თითქოს დედამიწამ მიზიდულობის ძალა დაჰკარგა და არა თუ მხოლოდ გრავიტაციის, არამედ მთელი კოსმოსის აქამდე აღმოჩენილი ყველა კანონი დაირღვა.”

– სიცხე ხომ არა გაქვს? – შეშფოთება გამოკრთა თინას ხმაში.

– არა, არა უშავს, გამივლის. იცნობ იაგორას?

– ვიცნობდი. იმ ზაფხულს გარდაიცვალა, როდესაც უნივერსიტეტში ჩავირიცხე.

– ესე იგი უნივერსიტეტში სწავლობ?

– ვსწავლობდი, წელს დავამთავრე და განაწილებით ჩემს სოფელში დამაბრუნეს. ახლა აქაურ ბალღებს უნდა ვასწავლო წერა-კითხვა. გამოდის რომ, ძია იაგორა აგერ უკვე ხუთი წელია აღარ არის.

– მეუღლე, შვილები თუ დარჩა?

– მეუღლე თალალა დეიდა შარშან გარდაიცვალა. შვილები: ნათელა ცხრა წლისაა, უფროსი ცუცუ – თერთმეტის. სადღაც თამაშობენ, მზის ჩასვლამდე დაბრუნდებიან. ცხონებული მათი დედა სულ ჩასჩიჩინებდა: ქალი დაღამებამდე შინ უნდა იყოსო.

– დაველოდები, ბავშვები აუცილებლად უნდა ვნახო, – მნათობს გახედა.

“დღეს ცის მბრძანებელი თუ არ ჩავა, იაგორას შვილებიც კარგად გაერთობიან, მეც თინასთან საუბრის მიზეზი მექნება და, საერთოდ, კაცობრიობას ამ ერთი დღის უსასრულობით არა მგონია, რამე დაუშავდეს.”

. . .

მალაქია სკამზე იჯდა, თინა სარეცხს ჰფენდა. ვაჟი მიხვდა, რომ ამ ქალთან უსასრულოდ შეეძლო ნებისმიერ საკითხზე საუბარი და ეს ურთიერთობა მარადიულად თუ გაგრძელდებოდა მათზე ბედნიერი არავინ იქნებოდა.

. . .

მზე უღელტეხილს გადასცდა თუ არა, ეზოში აქოშინებული გოგონები შემოვარდნენ.

– თინა! თინა! ხომ მოვასწარით მზის ჩასვლამდე? დედა ხომ არ გავაბრაზეთ?

– ნუ გეშინიათ, ჩემო კარგებო, მოასწარით, აბა რა?! თალალა დეიდა ზეცაში კმაყოფილია და იქიდან გლოცავთ. თუ ჩემთან შემოხვალთ, თაფლიანი რძე მაგიდაზე გელოდებათ. ეს ახალგაზრდა კაცი კი თქვენთანაა სტუმრად.

– გამარჯობა, ლამაზებო. მამათქვენის მეგობრის შვილი ვარ. აქეთკენ ვიყავი და შემოგიარეთ, თინამ იმდენი გაქოთ, ძალიან მომინდა თქვენი ნახვა.

– საღამო მშვიდობისა, – ერთხმად მიესალმნენ გოგონები.

– თქვენ ალბათ ძია სპირიდონის შვილი ბრძანდებით, – ინიციატივიანი უმცროსი და აღმოჩნდა. – ჩვენ სულ გელოდით და ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდით.

– იცოდით? საიდან? იცნობდით მამაჩემს?

– არა, მაგრამ დედამ სიკვდილის წინ საწოლთან მიგვიხმო და დაგვიბარა, აქ ქალაქიდან ძია სპირიდონი მოვა ან მისი შვილი და აუცილებლად გადაეცით, რომ “მამამ თავისი ჯვარი სნოველ შიოლეთ გიორგის გადააბარაო”. დაო, ხომ ზუსტად ასე თქვა: “მამამ თავისი ჯვარი სნოველ შიოლეთ გიორგის გადააბარაო”? სიტყვასიტყვით დაიმახსოვრეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანიაო.

– კი, ზუსტად ასე თქვა: “მამამ თავისი ჯვარი სნოველ შიოლეთ გიორგის გადააბარაო.”

– ახლა უნდა ვიჩქარო, მზე უკვე ჩავიდა და მალე დაღამდება; თქვენს სნოველ შიოლეთ გიორგის უნდა ვესტუმრო, – მალაქიამ უკვე იცოდა, რომ ამ ადამიანებთან გულღია და გულწრფელი უნდა ყოფილიყო.

თავი მეთხუთმეტე

შიოლეთ გიორგი

შიოლეთ გიორგიმ ღამის სტუმარს ჭიშკართან დაწვრილებით გამოჰკითხა ვინაობა. გაიგო თუ არა, რომ ყარაჯეთ იაგორას მეგობრის შვილთან ჰქონდა საქმე, შეყოვნებისთვის ბოდიში მოუხადა და შინ შეიპატიჟა.

– ცუდი დროა ეხლა, ყველას ვერ ენდობა კაცი. წვრილშვილის პატრონი ვარ და ვფრთხილობ. შენც უნდა გამიგა. ამ წუთიდან კი ჩემი სტუმარი ხარ და მიმსახურე, – მერე მეუღლეს გასძახა: ნატალიავ, ღვთის კაცია ჩვენთან და დატრიალდი, არ შავრცხვეთ.

რამდენიმე წუთში მალაქია და გიორგი ცხელ ხაბიზგინას მიირთმევდნენ, პატარა ყანწებით არაყს აყოლებდნენ და დიდი ხნის უნახავი მეგობრებივით საუბრობდნენ.

– ძალიან გაუჭირდა მოხევეს. ეს რაიღაც ოხერი კოლმეურნეობა მაიგონეს და დაიქცა ფეხზე მდგარი ოჯახები. მეც იძულებული გავხდი ძაუგს გადავსულიყავ საცხოვრებლად; სნოჩი ზაფხულობით ჩამამყავს ჯალაბი. ბალღებს აქაური ჰავა და ვეძა იმდენ ძალას აძლევს, რომ მთელი ზამთარი ისე გადააქვთ, ერთი თავს არ აიტკივებენ.

– სიდუხჭირე სხვა საქართველოსაც აწუხებს, მაგრამ, სულიერ დაცემასთან შედარებით, ლუკმაპურის უქონლობას ვინ ჩივის?! ეკლესიამონასტრების ნგრევას ზნედაცემულობა მოჰყვა. ასე დიდხანს თუ გაგრძელდა, ქართველები კი გვერქმევა, მაგრამ თავად ეს სიტყვა არ იქნება ვაუკაცობის, ზნეობრიობის, გულისხმიერების, გამტანობის, თავისუფლებისა და სილაღის აღმნიშვნელი.

– ეკლესიის სულის ნაწილი შინ გადმავიტანე. აქ მუდმივად ანთია კანდელი, ხატები გვიფარავს და თითოეულო ჩვენთაგანი ღვთისნიერად ვცხოვრობთ. უფლის შიში დიდი ძალაა და გადარჩენის იმედიც მაქვს.

– აქ რომ შემოვდგი ფეხი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ტაძარში ვარ! აქაური გარემო საოცრად მამშვიდებს და სულიერებით მავსებს.

– ცოტა ხანჩი ბალღები ნწუხრის საგალობლებს რომ შამასძახებენ, ნეტარება მემრე ნახე. იმათი ხმის გაგონებაზე გონება მინათდება, სისხლი მითბება და შემოქმედის ძალა მეძლევა.

– კარგია, ცხოვრების წესი რომ ვერ შეგაცვლევინა წითელმა ურჩხულმა.

– ბოლშევიკები ხორცს იმისთვი გვჯიჯგნიან, ჰგონიათ, ესრე სულს წოგორთმენ. ეგონათ. მთავარია, ჩვენ გავიგათ, რომ სული უნდა გადავირჩინათ. ეხლანდელ დროჩი ხსნა სწორედ ემაჩია. ხორციელი ყოფის დათრგუნვით ბოლშევიკები ბევრი ცოდვილი სულის გადაბირებასაც შასძლებენ, მაგრამ ბევრიც მაგრად დაუდგებათ და განსაცდელის ჟამი რომ გადავა, აუცილებლად მოვა ჟამი სიხარულისა და ნეტარებისა. იმ დროს უნდა შავხვდეთ მინიმალური დანაკარგებით. ალბათ ეს არის ჩვენი თაობის ამოცანა.

– მე მაინც მგონია, შიგდაშიგ არსებობისთვის იარაღითაც უნდა გავიბრძოლოთ. მართალია, აჯანყებებით და რევოლუციებით ამათ ვერ გავეჯიბრებით, რადგანაც თავად ამ საქმის უზადო ოსტატები არიან და ჩვენი ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ მიმბაძველობა იქნება. მიმბაძველი კი ავტორთან ჭიდილში წინდაწინვე დამარცხებულია. თუმცა გაბრძოლებას აქვს აზრი. ბარათაშვილმა თქვა კარგად:

“ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.”

– არც ილიას უთქვამს ურიგოდ: “ხსნა ყველგან არის!”

– თუ ნებას მომცემ, საქმეზე გადავიდეთ!

– ნება შენია. მაგას მაინც ვერ გავექცევით.

– ყარაჯეთ იაგორას უნდა სცოდნოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

– რაც იაგორამ იცოდა, ეხლა მე ვიცი.

– აჰა!

– რადგან მახვე, ესე იგი დრო დადგა. ეხლა უნდა იპოვნა, მაჩვენა და მემრე ჯერი ჩემზეა! სულ ეს არის ჩემი ფუნქცია. ძიების პროცესში მიმსახურე, ნურაფრის მოგერიდება.

“იაგორას გარდა საუნჯის პოვნაში კიდევ სამი ნიშანი გამოგადგება: პირველი – სოფელი სნო, მეორე – იქაური თინათინი და მესამე – განძის ჭურჭელი იადონის ხმას უნდა გამოსცემდეს. გონიერი კაცი ხარ და დანარჩენს შენით მიხვდები,” – გაახსენდა მოხუცის სიტყვები.

“იაგორას შემცვლელი აგერაა არაჩვეულებრივი კაცი; სოფელი სნო ღამითაც ლამაზია და, წარმომიდგენია, დღის შუქზე რა საოცრად გამოიყურება; აქაური თინათინის სახლის დადგენა ჩემი მასპინ-

ძლის დახმარებით არ უნდა გამიჭირდეს. განა რამ-დენი თინათინი ცხოვრობს ამ პატარა სოფელში?! თინათინი. თინა. სივანელ თინას ალბათ უკვე სძი-ნავს ან ამ მშვენიერ, ლამის სავსე მთვარეს უყუ-რებს. თუ თინა მთვარეს უყურებს, მეც იგივე მთვარეს ვხედავ, სოფისტიკურად გამოდის, რომ მე და თინა გვერდიგვერდ ვართ. სოფისტიკა ხვალ. ახლა საქმე; ჭურჭლის ხმას ალბათ საგანძურის ნახვის დროს დავადგენთ. აჰა, რაც მთავარია – ღუდუშაურები, სწორედ ამ გვარშია საგანძური შე-ნახულიო.”

– გიორგი, ორი კითხვა მაქვს.

– რაო, მალაქია, ეგ კითხვები მთვარეზე ხომ არ წაიკითხე?! ეგეთი ყურადღებით ათვალიერებდი.

– არა, უბრალოდ მთვარე ასე ახლოს არასოდეს მინახავს.

– ასეა, მთელ საქართველოჩი მხოლოდ აქ არის მთვარეც და ვარსკვლავებიც ხელის ერთ გაწვდე-ნაზე. აქ გადის ზეცასა და დედამიწას შორის უმოკლესი გზა. მკითხე, აქა ვარ.

– სანამ ძებნას დავიწყებ, ორი რამ მაქვს დასა-ზუსტებელი. სოფელში მცხოვრები ყველა ღუდუ-შაურის და ასევე თინათინის სახელის მატარებელი ქალების მისამართები მჭირდება.

გიორგის გაეცინა.

– ამ სოფელჩი მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ღუდუშაურია, ხოლო თინათინების პოვნაჩი ნატალია დაგვეხმარება, მხოლოდ ხვალ დილით, როდესაც დღის შუქზე სოფელი გამოჩნდება. აქედანვე გაჩვენებთ თინათინების სახლებს.

უცებ სადღაც ახლოდან მოისმა სამშაბათის ძილის წინ ლოცვა: *"უფალო, მეუფეო ზეცისაო, ნუგეშინის-მცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, ნუგეშინის-მცემელ მექმენ და შემინდვენ მე უღირსსა მონასა შენსა. . ."*

ლოცვას ხმა შეუწყვეს და დაასრულეს თუ არა უნაზესი საგალობელი აჟღერდა:

"ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი

დედა, ქალწული, შვენიერი შროშანი,

მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:

შენგან იშვების მეფე გვირგვინოსანი,

და მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი. . . "

თავი მეთექვსმეტე

ორთა მიერ ბრწყინვალეთა

ღმრთისა კაცთა, სასურველთა

მთელი დღე სოფელ სნოს, მისი კოშკების და კოპწია სახლების, სნოსწყალის, მთლიანად ხეობის მშვენიერებით ტკბებოდა; აქაური ადამიანების ფიზიკური და სულიერი სილამაზეც ამ ბუნების სადარი იყო.

განსაკუთრებით ისიამოვნა აქაურ თინათინებთან ურთიერთობით. მათ შორის პატარა ხუთი წლის გახლდათ და როგორც კი უთხრეს, შენ გეძებენო, სიხარულისგან ეზოში ამობურცულ ქვის უზარმაზარ ლოდზე აძვრა, ხელები გაშალა და უნატიფესი ნაზი ხმით დაიწყო ვაჟას ლექსი:

“ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას,
ნუ აუტირებ მშობელსა,
ნუ მიაბარებ შავ მიწას
ამ სოფლის გაუცნობელსა,
ნუ ვნახავ ბავშვის კუბოსა,
ნუ გამხდი შენსა მგმობელსა!”

ოთხმოცდაათს გადაცილებულმა თინათინმა კი, მალაქია დაინახა თუ არა, გულში ჩაიკრა;

– პაპამ გიამბა ჩემს შესახებ არა, შვილავ? იმას შემეევლას ჩემი ჯანი და ახალგაზრდობა. ჯერ მას ველოდი, მემრე იმის შვილსა, ბოლოს ვიფიქრე, შვილიშვილი მაინც მამაკითხავს-მეთქი. მევესწარ ემ დღესა. ჩემები სულ დამცინოდნენ და აჰა, თუ არ ვყოფილვარ მართალი?! როგორ ჰგვიხარ?! აბა, მისი უშვილძიროდ გადაგება იქნებოდა, რა ლამაზი და ახოვანი კაცი იყო?! იქნებ ცოცხალიც არის ჩემი ტარასი?..

თავიდან იფიქრა მივაგენი, ვისაც ვეძებდიო, მაგრამ მალაქიას, არც მამის და არც დედის მხრიდან, არც პაპა და არც პაპის მამა ტარასი არ ჰყოლია. თურმე მოხუცი მთელი ცხოვრება ციმბირში გადასახლებული თავისი საქმროს შთამომავლებს ელოდა.

უცნაურ სასიყვარულო ისტორიებს რა გამოლევს?!

სოფლის ღუდუშაურებსაც შეხვდა და ესაუბრა, მაგრამ საგანძურზე ხელშესახებს თითქოს ვერაფერს მიაკვლია. საღამოსკენ მიხვდა, რომ ამ სახის ძიებას აზრი არ ჰქონდა და გადაწყვიტა მზის ჩასვლამდე დაბრუნებულიყო მასპინძლის სახლში და მის გონებასხარტ ოჯახის უფროსთან ერთად მოეფიქრებინა შემდეგი ნაბიჯები. ხომ ურჩია მოხუცმა, მოხევეებთან გულწრფელი იყავი და ისინიც გულში ჩაგიკრავენო. სნოსწყალზე გადავიდა და გიორგის სახლს გახედა. მის წინ გადაშლილმა ხედმა რაღაც ძალიან ნაცნობი გაახსენა. თითქოს ეს ყველაფერი სადღაც უკვე ნანახი ჰქონდა და თანაც არა შორეულ წარსულში, არამედ – სულ ახლახან. გონება დაძაბა. აჰა! ეს უკვე ქრონიკულია. რა თქმა უნდა, სივანელი თინა! ჩამავალი მზის სხივები ისე ირეკლებოდა შიოლეთ გიორგის სახლის ფანჯრის მინებზე, როგორც გუშინ – ყარაჯეთ იაგორას შუშაბანდზე. ახლა ღუდუშაურების კოშკისკენ გაიხედა. ნაგებობას თავზე თითქოს დიადემა ადგა. “წესით, მთის ბროლი უნდა ბზინავდეს”, – გაიფიქრა მალაქიამ, ადგილს მოსწყდა და სირბილით გაიქცა მოციმციმე სხივებთან შესახვედრად. იგი მზად იყო ეს სხივები ისევე ჩაეკრა გულში, როგორც სივანელი თინა! საოცარი აღმაფრენა იგრძნო.

“დანარჩენს თქვენით მიხვდებით! დანარჩენს თქვენით მიხვდებით! დანარჩენს თქვენით მიხვდებით”, – ჩაესმოდა უწყვეტად ციხეში მოსმენილი ჯადოსნური სიტყვები.

. . .

ხეობაში ბინდი ჩამოწვა. მალაქია და გიორგი გუშინდელივით აივანზე ისხდნენ. ამჯერად ქერის ფქვილისგან გამომცხვარ მხლოვანს მიირთმევდნენ და საფერავს აგემოვნებდნენ. სტუმარმა ითხოვა, ეს ჯადოსნური საღამო გარკვეულ დრომდე უხმოდ გავატაროთო და იყვნენ ასე, თითქოს სასწაულს ელოდებიანო.

შიოლეთ გიორგის ოჯახის ტრადიცია არ დაირღვა და 1937 წლის 21 ივლისი ოთხშაბათის ძილის წინ ლოცვით სრულდებოდა: *"დიდო მთავარანგელოზო, რაფაელ, რომელსა გაქუს ნიჭი ღმრთისაგან სენთა განკურნებისაი, განკურნე უკურნებელნი წყლულებანი გულისა ჩემისანი..."*

ლოცვა მთავრდებოდა, როდესაც თრუსოს ხეობაში გამთბარმა სიომ სნომდე მოაღწია.

"გუნდნი იგი ზეცისანი

შენ, წმიდასა, განწყობითნი

გიგალობენ:

მე ულირსი შეგივრდები,

რათა ვიყო მათთანავე

შენგან უძაგ, "

– გაისმა სიჩუმეში და ვარსკვლავებით მოჭირხლული ცა დედამიწაზე ჩამობრძანდა.

– ახლაღა მივხვდი რატომაა აქ მთვარე და ვარსკვლავები ერთი ხელის გაწვდენაზე. ისინი ხომ

ამ ჰარმონიის მოსასმენად ისე ქვემოთ ეშვებიან, რომ მერე, როდესაც ეს გალობა შეწყდება, აღარ სურთ შორს წასვლა, რადგან მეორე დღეს ისევ უნდა დაბრუნდნენ და დაგვიანების ეშინიათ, – მალაქია ადგა, გიორგი მოიხმო, ეზოდან გავიდნენ და იმ კოშკს მიუახლოვდნენ, საიდანაც გალობა ისმოდა.

“ესე შესხმა სულიერი,
შენ მიერვე მოცემული,
კაცთა მიერ მოღუაწეთა
ფრიად სიბრძნით გამოთქუმითა
შეიწირე ჩემ მიერცა
კაცთ-მოყვარე.

ორთა მიერ ბრწყინვალეთა
ღმრთისა კაცთა, სასურველთა
სიღრმითა მით გულისაითა,
სათნოდ ღმრთისა შეკრებილი,
ვითარცა რაი მარგალიტი
ურიცხვისა სასყიდლისა,
ჩუენ მოგუეცა მორწმუნენო. . .”

– აჰა, ჩემო გიორგი. ჩემი ამოცანის პირველი ნაწილი შესრულებულია. ივანე მაჩაბელმა დამავალა, მეპოვა საგანძური, რომელიც ჩვენი ქვეყნის გადარჩენას უნდა მოემსახუროს. ოთხი ნიშანიც მასწავლა, რითაც იმ განძს მივაგნებდი. ***ნიშანი პირველი***: სოფელი სნო. უცილობელია, რომ აქ ვიმყოფებით. ***მეორე ნიშანი:*** სნოველი თინათინი. საღამოს, როდესაც ვბრუნდებოდი, სწორედ შენი სახლის ფანჯრებიდან არეკლილმა თინათინმა გამინათა გონება და მომცა საიდუმლოს გასაღები. ***მესამე ნიშანი***: "განძის საიდუმლო ღუდუშაურებშია დამალულიო." დღეს სოფელში მითხრეს, რომ შენი გვარი შიოლა ღუდუშაურის პატივსაცემადაა თქვენს მიერ მიღებული, ანუ შიოლენი სინამდვილეში ღუდუშაურები ხართ. და ბოლოს, ***მეოთხე ნიშანი***: "განძის ჭურჭელი იადონის ხმას უნდა გამოსცემდეს." აბა მოისმინე, განა ეს გალობა არ არის იადონის ხმა? ასე რომ, საგანძური, რომელიც უნდა მეპოვა, აი იმ კოშკშია.

– გასაგებია. თითქოს ყველაფერი ემთხვევა, თუმცა არის ორი მაგრამ.

– აბა, ყურადღებით გისმენ.

– საიდუმლოს ჩემი ნაწილი მავალებს, შენს მიერ ნაპოვნს და მითითებულს გადავცე საქართველოს ფარული ხელმძღვანელის ბრძანება: გადალახოს ყოველგვარი წინააღმდეგობა, ითანამშრომლოს ნებისმიერ ფაქტობრივ ხელისუფალთან – თუგინდ მტერთან, მოითმინოს დამცირება, შური, ჭორი, ოღონდ აუცილებლად გახდეს საქართველოს ეკლე-

სიის მეთაური და ამ გზით ემსახუროს ქვეყნის და მისი ხალხის გადარჩენას.

– აჰა, აი თურმე როგორი საგანძური ყოფილა. მით უკეთესი! ამას რა ჯობია?! ხელს რა გიშლის, ჩემო გიორგი?

– ცოტა არ იყოს, დავიბენი. ისინი ორნი არიან და თანაც ძალიან მცირეწლოვანნი ბრძანების აღსაქმელად!

– ვინ ისინი?

– იადონის ხმის პატრონნი. კოშკში მეათე საუკუნის საოცარ საგალობელს ამ საღამოს ორნი ასრულებენ: ჩემი შვილი და მისი ბიძაის ბალღი.

– გიორგი, აბა საგალობლის სიტყვები გაიხსენე. იოანე-ზოსიმე გვკარნახობს შორეული წარსულიდან:

“ორთა მიერ ბრწყინვალეთა, ღმრთისა კაცთა სასურველთა”.

ორივეს უნდა გადასცე ბრძანება და ვინ იქნება მათ შორის პატრიარქი, ეს უკვე უფლის ნებაა. რაც შეეხება წლოვანებას? ივანე ამბობდა, ეს საგანძური სრულად დაახლოებით ორმოცდაათი წლის შემდეგ დაგვჭირდებაო. იმ დროისთვის სწორედ სიბრძნის ასაკში იქნებიან. ასე რომ, ჩვენ არსად გვეჩქარება. თანაც დაველოდოთ რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული დამოუკიდებლობის აღიარებას და მაშინ აზიარე ბალღები

საიდუმლოს. როგორც ივანემ ბრძანა, იმ დღემდე ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი წლები დარჩა. მცველის ფუნქციების შესრულებას უკვე შევუდგები, მხოლოდ მათ ამის შესახებ არ უნდა იცოდნენ. ესაა შემდეგი დავალება, ასევე შენი და ჩემი საიდუმლო.

. . .

მალაქიამ ცას ახედა. მთვარემ მიიპყრო მისი ყურადღება; კარგად დააკვირდა და შეამჩნია, რომ მნათობის ერთი განსაკუთრებული სიკაშკაშის სხივი სნოს ხეობის მარცხენა მხარეს იმ ადგილს უმიზნებდა, სადაც სოფელი სივანი მდებარეობს. კაცმა უკვე ზუსტად იცოდა, ეს მთვარის სხივი კი არა, არამედ თინათინი იყო, თანაც სივანელი თინას თინათინი.

. . .

არ ეძინებოდა და აივანზე იდგა. აეკვიატა მასპინძლების სახელები: გიორგი და ნატალია, გიორგი და ნატალია. . . ნეტავი, რას უნდა ნიშნავდეს? აჰა, ესეც ალბათ მისტიკაა: ივანე მაჩაბლის დედ-მამასაც გიორგი და ნატალია ერქვათ და პატარა ვანოს ოცნება საქართველოს პატრიარქობა იყო.

ეს ღამე საოცარი ოცნებების ღამე იყო! . .

– **მზიანი ღამე,** – მოესმა მალაქიას ზურგიდან, მოტრიალდა, პატარა ბიჭს სავსე მთვარისკენ გაეშვირა ხელი. – **მზიანი ღამე!**